

ისტორიანი

ერაყოფნის
ბეჭრის
მამლებაზონა

უცნობი
მისა საღაშვილი

ბაჟონი ლ ბაი
– საკუანითვაცონს
ფინანში მატრიუმი

ცუკლი ჩაძირები
უკრ-პირების აკადემია



კუანითვაცონის ბაზისი ვაკოვა

გრიგოლ აგაშიძის
ისტორიული ტრილოგია
6 ტომაჟი, ტომი 4

დიდი ლავა (ნიბრ II)
ფასი 3 ლარი
ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი

ლადოვილი
საკუანითვაცონი
– ვოლეიტიაზი

ლოთავაზი
ნერინგი
საკუანითვაცონი

ანაკისხები
საკუანითვაცონი
კარივი
პილოტი
| მსოფლიო
ომში

მარია
| მსოფლიო
ომში

აბიცნიერების
სანდის
საილერო
ერაყოფნაზი

პილიანი –
ბორის ბანია



10



12




18



6




8



31



50



26

სახელიშვილი

სახელი ემანუელი

აფეთქების, ხერთვისსა და გამორისცისის სულიერ მიუსტრებეს.....	6
სადაცონ ვირივიტებას ღურუშები	
ზარატუშტერი ერაყს დაუგარებებენ	8
სპარსი კავლი თმარი აღდგება.....	9
მოსახ ემანუელი	
არგვიტინაზი სუნიდის საიდუმლო	
დოკუმენტებს მიაკვლიერ.....	10
SOS	
ცყალაში ჩატილული ტაო-კლარჯეთი.....	12
მოთვის ლ წადახი	
ქადეაგაგადი ზარამართული ღმერთების კაცონონიდან.....	18

კახოცილ ემანუელი

„ქვედურებლი რაინდი“ – აფხაზი თავადი ძართული საქმის სამსახურში	26
კასება 80 ლის შალება	
უცნობი მისა ხელამვილი	31
მოხატვი კონკორდი ჩნანიერი	
„გენრიელი სტუმრები მყავს და რაცხას ვდინებათ...“	35
კოლუმბუს კასივიანი	
ანარქისტები საქართველოში	43
მოსახ ემანუელი	
გაიცს გოგელენის ღიზანერის ვინაობა დაგენერილია	48
კახოცილი პირველი მხედრი რაში	
ერთი საკავშირო ბრძოლის ისტორია	50



63



90



84



76



106



98

საქართველო

კულტურის მარტინი

ბარონი დე ბაი — საქართველოს ფრანგი	
მეგობარი	56
შეხვეძეს ხასებისა	
„დაპარვულები“ ქალაქის ცენტრში	63
ბიზნესის ისტორია	
სკანდალი — „პორტლიანი ტაურეტიდან“	
უმაღლესი კლასის	
ავტომობილამზე	68
რესურსი აუგის ბათუმი	
პაინის პოლიტიკი — გერმანიის	
პორტი გენია	76

ლაშვილის საკანცელოში

ფარმაცეტ მოლდევიტის შთამომავლობა	84
ნაიოლონის თავი	
ნაოლონი ეგვიპტში	90
მოფიციონ სწორი ყოსისაჩხაბი	
ღმინდა მიქალის მთა	98
ცენტრის	
მფავე ჯევილი და ტითელი ქაფარობი	106
ჯ სახანის განედ-გაზოთაზი	
მნიარული ამაგაბი „ივერიიდან“	112
„ისტორიანი“ გვევებისთვის	
500 ფაქტი ისტორიიდან	118
სპაციორდი	122

**უკრნალ „ისტორიანის“ ქველი ნომრების შეძენა შეიძლიათ
„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი**

հԵՂԱՔՄԻՈՒՅ ՆՅԵՐՈՒ

ტაო-კლარჯეთში ბოლო დღოს შექმნილ ვითარებაზე უურნალ „ისტორიანის“ წინა ნო-მერში მოგითხოვდით, თუმცა მაშინ მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლეთ. ამჯერად კი გთავაზობთ ექსკლუზიურ ფოტორეპორტაჟს, სადაც თეალნათლივ ჩანს ის ცვლილებები (რა თქმა უნდა, უარყოფითი), რაც რეგიონში მოხდა კაშხლების შექნებლობის წამოწევების შემდეგ. რაოდნენ სამწუხაროც უნდა იყოს ამის აღიარება, ჯერ მხოლოდ სამი კაშხალია აგებული და ესეც საკმარისა აღმოჩნდა ისტორიული კლარჯეთის დიდი ნაწილის წყლის ქვეშ მოსაქცევად. სამწუხაროდ, იგივე ბედი ელოდება ტაოსაც. დღეს ამ ძირძღველი ქართული პროგნოციების მოსანა ხელებდლად ჩასული ტურისტი ისტორიული მხარის ულამაზეს პეიზაჟების მხოლოდ ნაწილს თუ იხილავს. ცად აზიდული კანიონები წყალს ნახევრად დაუფარავს, კლარჯეთისა და ტაოს წარმტაცი ბუნება ხელოვნურ წყალსაცავთა მსხვერპლად ქცეულა.

კვიფქობით, სახელმწიფო უწყებებმა სასწრაფოდ უნდა მიიღონ ამ კუთხით შესაბამისი ზომები. უნდა შეიქმნას კომპეტენტურ სპეციალისტთა კომისია, რომელიც არა მარტო განსაზღვრავს მოსალოდნელ საფრთხეებს, არამედ მუდმივ მონიტორინგს გაუწევს თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ძალების.



ჭირ პილებ შეუსწოვდებო ისტო-
რიული მარის, ტან-კლანებითს
ძეგლების დიდი ნაზილის შუალსაც-
ვიზში საძირკვ, საქათოველოს ისტო-
რიისთვის უზიდები ანაკარბია

ისტორიულ-შემცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშა

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი

အလျှော်ပါသနရှုရွှေ ပိုမိုစီခွာဂိုလ်၊ ကျော်ပေါ်ရ အိုဘ်ရှု၊
နိုင် အာဘုရားဝါယံ၊ စိမိစိုးရှာ စိလ္လာပျော်ရွှေ၊
မိုးကျိုလ် ပုံရန်ဘွာ၊ မြော့သ မူတေသနခွာဂိုလ်၊ ကာစာပျော်
ပုံရန်ဘွာ၊ နိုတ်ဖြူစီ ဗောဓရနာ

კორექტორები:

ნანა მაჭუვარიანი

ნინო აბესაძე

რედაქტირების მისამართი:

თბილისი, იოსებიძის ქ. №4

ტემ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება

ტელ.: 237-78-07, 238-78-7

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გაძლიერდა თვეები ერთ ხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადატეჭდვა აკრძალულ

ეურობალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და
წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელფა-ჯი“.
ჭავა : 238-26-73

Digitized by srujanika@gmail.com

„პალიტრა ედიცის“ ცხელი ნაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

აცყურს, ხერთვისსა და ბეჭრისციხეს სულზე მიუსწოდეს



ხერთვისის ციხე 2007 წლიდან იუნესკოს
წინასწარ ნუსხაშია შეტანილი

მეწყერმა ბებრისციხის ციტადელის ნაწილი
გრუზნითან ერთად ძირითად ციხეს მოწყვიტა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ისტორიული ციხესიმაგრების ეტაპობრივ აღდგენას იწყებს. პირველ ეტაპზე ხერთვისის (ასპინძა), აწყურისა (ახალციხე) და ბებრისციხის (მცხეთა) რეაბილიტაცია მოხდება. სააგენტოში ამბობენ, რომ ეროვნული მნიშვნელობის მქონე საფორტიფიკაციო ნაგებობები ფურადღების მიღმა იყო დარჩენილი. გადაუდებელ საკონსერვაციო სამუშაოებს ისინი უკვე წლებია საჭიროებენ.

ბებრისციხე მეწყერმა რამდენიმე წლის წინ დააზიანა; მძიმე მდგომარეობაშია აწყურის ციხე; იუნესკოს წინასწარ ნუსხაშია შეკვანილი ხერთვისის ციხე. სამიერ მეგლის გადასარჩენად გადაუდებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია. პროცესს ზედამხედველობას უწევს ახალშექმნილი ხარისხის კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობას სამსახური, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ექვემდებარება. სარეაბილიტაციო სამუშაოებსაც სააგენტო აფინანსებს.

სამი ძეგლიდან ყველაზე მძიმე ბებრის-

ციხის მდგომარეობაა. 2009 წელს, მეწყრის შედეგად მირითად ციხეს ციტადელის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გრუზნითან ერთად მოსწყდა და დასავლეთისა და ჩრდილოეთისკენ მიმართული კედლები განადგურების პირას აღმოჩნდა. ბებრისციხის დაზიანება ყველაზე მძიმე, მესამე კატეგორიით შეფასდა.

სპეციალისტები ამ ეტაპზე ძეგლის ყველაზე დაზიანებული — ჩრდილოეთი კედლის გამაგრება-აღდგენაზე მუშაობენ.

„ბებრისციხის სრული აღდგენა ეტაპობრივად წარიმართება. წლეულს მხოლოდ ერთ კომპონენტს ვიწყებთ. უნდა მოეწყოს

გადაუდებელი გამაგრუბით
სამუშაოები მიმდინარეობს
აწყურის ციხის ჩრდილოეთ
კედლის გველაზე აურიულ
მონაკვეთში



ხიმინჯები, შეიგსოს მიწით მთელი ფერდი, რათა კედლები დაიჭიროს“, — ამბობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი.

აწყურის ციხეზეც გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოები ჩრდილოეთი კედლის გველაზე აურიულ მონაკვეთზე მიმდინარეობს. სპეციალისტები ამბობენ, რომ აქ, პრაქტიკულად, ყველა კედლელი და გოლოლი აურიულია. ამიტომ სამუშაოები დაიწყო ყველაზე რთულ მონაკვეთზე, რომელიც საფრთხეს სოფლის მოსახლეობასაც უქმნის.

ახლა მთაგარი ამოცანაა, კედლის ძირგამონგრუული ნაწილი გამაგრდეს, რათა თავიდან აირიღოს არა მხოლოდ მისი, არამედ მომიჯნავე აურიული უბნების ხგრევა.

„ასეთი მასშტაბის სამუშაოები აქ წლებია არ ჩატარებულა. ამიტომ ძეგლის დიდი ნაწილი დანგრევის რეალური საშიშროების წინაშე იდგა“, — ამბობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხარისხის კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი ნინო კორძახა.

მძიე მდგომარეობაშია ხერთვისის ციხის დასაცავთის მრუდწახნაგოგანი კოშკი და ციტა-

დელის გალავანი. ძეგლზე, რომელიც იუნესკოს წინასწარ წესაში 2007 წლიდანაა, სამუშაოები ადგილობრივი ქვითა და კირის დუღაბით ხორციელდება. ხერთვისის რეაბილიტაციის პროექტი ორგანიზაცია იკომოს-საქართველომ რამდენიმე წლის წინ მოაშადა.

„მწვავე, გადაუდებელი სამუშაოები აუცილებელი იყო ციხის ქვედა ნაწილში. აქ კედლები დაფუძნებული იყო კლდეზე, რომელიც უკვე გამოქარუულ-ჩამონაგრუული და გამორცხილი გახლდათ და კედლების ჩამონაგრევის საშიშროებას ქმნიდა. ეს ადგილები უკვე აღდგენილია. ახლა ძირითადი სამუშაოები მრუდწახნაგოგი კოშკზე მიმდინარეობს, რომელსაც პერანგის ქვა აქვს ჩამოშლილი“, — განმარტავს არქიტექტორ-რესტავრატორი შალვა მელიქიძე.


კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოძე ამბობს, რომ აურიული კომპლექსური ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია საქამაოდ გრძელებადან სამუშაოებს მოითხოვს და მომავალ წლებშიც გაგრძელდება. ბებრის, აწყურისა და ხერთვისის ციხეების რეაბილიტაციის პირველი ეტაპი კი წლის ბოლომდე დასრულდება.

ნორ პაცარიძე

სადავო ფირფიტებს ლურსმული ნარცერებით ერაყს დაშარუნებენ

ნიუ-იორკის შტატის კორნელის უნივერსიტეტი ერაყში დააბრუნებს ლურსმული წარწერების კოლექციას, რომელიც სასწავლებელს საჩუქრად ჯონათან როზენმა გადასცა. ის სიძველეებით მოვაჭრე რობერტ პეტრის ყოფილი ბიზნესპარტნიორი იყო. 10 ათასი ცალი მესოპოტამიური ფირფიტა, რომელიც ძვ.წ. 4 000 წლით თარიღდება, ერაყიდან სავარაუდოდ 1991 წელს, სპარსეთის ყურეში მიმდინარე სამხედრო ოპერაციისას გაიტაცეს.

ფირფიტები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ყოველდღიური ცხოვრების, რელიგიური რიტუალების, ლტოლვილთა განსახლების შესახებ, ასევე სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ჩანაწერებს, შუმერთა პრინცესას პირადი არქივიდანაა.



სიძველეებით მოვაჭრე რობერტ პეტრი

„დანაშაულში არავის ვდებთ ბრალს, მაგრამ მაგვაჩნაა, რომ ფირფიტები ერაყში უნდა დაბრუნდეს“, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური პროკურორის მოადგილემ მირო ლოვრიკმა.


მომზადებულია
Archaeology Magazine-ის მიხედვით



მესოპოტამიური ფირფიტები,
რომელიც ძვ.წ. 4 000 წლით
თარიღდება, ერაყიდან სავარაუდოდ
სამხედრო ოპერაციისას გაიტაცეს



საქართველოს ძველი თეატრის კლებები



შეცნიერები ამბობენ, რომ თეატრი 16 ათას
მდეწებელი იტევდა და იმ პერიოდში
მსოფლიოში უდიდესი იყო

სპარტის ძევლი თეატრის აღდგენის საკითხს საბერძნეთის ცენტრალური არქეოლოგიური საბჭო სწავლობს. შემორჩენილი ნანგრევების მიხედვით თეატრის აღდგენის გეგმებზე სპეციალისტები სწორედ საბჭოს ევილით მუშაობენ.

თეატრი რომაულ ეპიქაში, ძევლი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ბოლოს ააგეს ადგილობრივი თეატრი მარმარილოს ქვით. კლასიკური სტილის ნაგებობა იმ პერიოდში მსოფლიოში უდიდესი იყო.

როგორც შეცნიერები ამბობენ, თეატრი 16 ათას მაყურებელს იტევდა, პერიოდის მობილური სცენა და ძველი მსოფლიოს ტურისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ადგილს წარმოადგენდა.

თეატრის დარბაზის დიდი ნაწილი ბიზანტიის პერიოდში დაინგრა. შენებლობის დროს გამოყენებული მარმარილოსა და ქვის ფილები კი ეროვნის დააზიანა.

**მოძალურებულია
Archaeology Magazine-ის მიხედვით**

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შეინიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

კალიტრა მედია გისმენთ!..

დარეკალი: 219 60 13

მოგვცერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

არგენტინის ხუნტის საიდუმლო დოკუმენტების მიაკვლიას



ხუნტის
მითაურს
სამუდამო
პატიმრობა
ჰქონდა
მისჯილი

ბუენოს-აირესში, სამხედრო-საპარო
ძალების შტაბინის მიტოვებულ
ფლიგელში, არგენტინაში სამხედრო
ხუნტის მმართველობის პერიოდის
1500-ზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი
აღმოჩინეს.

არგენტინის პრეზიდენტი იზაბელ პერონი
1976 წელს მოვიდა და არგენტინას 1983
წლამდე მართავდა.

არგენტინის თავდაცვის სამინისტროს
ცნობით, მიკვლეულ მასალათა შორისაა
სამხედრო მთავრობის ყველა სხდომის ოქმი.
ქვეყანაში სამხედრო ხუნტა ხელისუფლება-
ში 1976 წელს მოვიდა და არგენტინას 1983
წლამდე მართავდა.

აღმოჩინილ დოკუმენტებს შორის არის
ხუნტისთვის არასანდო პირთა შავი სია. ამ
სიაში კულტურის მოღვაწეებსაც ვხვდებით:
ფოლკლორული სიმღერების შემსრულებელი
მერსედეს სოსა, მწერალი ხულიო კორტასა-
რი, მუსიკოსი ოსვალდო პულეშე და მასახიობი
ნორმა ალექანდრო... ეს მცირე ჩამონათვალია
იმ ცნობილი არგენტინელებისა, ვისი შემოქ-
მედებაც მკაცრ ცემზურას გადიოდა.

„საზოგადოებისთვის მათგან მომდინარე
საფრთხის შესაბამისად, ისინი ოთხ კატეგო-
რიად იყოფილნენ“, — აღნიშნა არგენტინის
თავდაცვის მინისტრმა აუგუსტინ როსიძე.

ანალიტიკოსები ჯერ ვერ აკონკრეტებენ,
მოჰყენს თუ არა ეს დოკუმენტები ნათელს

იმ ათასობით საქმეს, რომელიც სამხედ-
რო ხუნტის წინააღმდეგ სასამართლოში
განსახილებული შევიდა. მათ შორის მრავ-
ლადაა ხუნტის მიერ მოკლულთა ან მისი
მმართველობის პერიოდში გაუჩინარებულთა
საქმეებიც.

ნაპოვნ დოკუმენტებს შორის სამხედრო
ხუნტის შტკედერების 280 ოფიციალური ჩა-
ნაწერიცაა.

„ჩვენს ხელში პირველად აღმოჩნდა დოკუ-
მენტები, რომლებიც სამხედროების მმართ-
ველობის მთელ პერიოდს ასახავს. მასალები
დალაგებულია ქრონოლოგიურად და იმავდ-
როულად, დახარისხებულია ოქმების მიხედ-
ვით“, — ამბობს აუგუსტინ როსიძი.

სამხედრო ხუნტის მმართველობის პე-
რიოდის საიდუმლო მასალების აღმოჩინის
შესახებ ოფიციალური განცხადება ბუენოს-
აირესში გაკეთდა. საგანგებო პრესკონფე-
რენციაზე არაფერი თქმულა ფოლკლენდის
ომის დროინდელ დოკუმენტაციაზე, რომლის

**ხუნტის მეთაური გენერალი ვიდელა
ციხეში გარდაიცვალა**

წაგებაც სამხედრო ხუნტისთვის დასასრულის მაუწყებელი აღმოჩნდა.

არგენტინაში სამხედრო გადატრიალება 1976 წელს მოხდა. პრეზიდენტი იზაბელ პერონის ჩამოგდების შემდეგ ხუნტის მეთაური გენერალი ხორხე რაფაელ ვიდელა გახდა. 5 წლის შემდეგ მან ძალაუფლება გენერალ რიბერტო ვიოლას გადასცა. ხუნტის წევრები იყვნენ ასევე საპარო ძალების გენერალი ორლანდო რამონ აგოსტი და ადმირალი ემილიო მასერა.

1982 წლის მარტიდან ტნისამდე დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში დამარცხებიდან მაღვე, არგენტინაში სამხედრო ხუნტა დაემხო.

გენერალი ხორხე რაფაელ ვიდელა წლეულს მაისში გარდაიცვალა. 87 წლის გენერალი ამ დროს ციხეში იხდიდა სასჯელს. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის სამუდამი პატიმრობა მას 2010 წლის 22 დეკემბერს მიესაჯა.

ადამიანის უფლებათა დამცველების მონაცემებით, სამხედრო ხუნტის 7-წლიანი მმართველობის პერიოდში რეჟიმმა 30 ათასშე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.


მომზადებულია BBC-ის მიხედვით

გენერალი ხორხე რაფაელ ვიდელა (ციხეში) ფიცს დებს, როგორც არგენტინის 38-ე პრეზიდენტი, 1976 წლის 29 მარტს. ამ დღიდან ქვეყანაში სამხედრო ხუნტა ს მმართველობა დაიწყო



არგენტინის ხუნტის შმართველი სამეული





ცუალში ჩაძირებული ტაო-კლარჯეთი

“უკველესი ქართველი ეგზოგრაფის დატბორვასთან
ერთად, ოთხი მდინარის აუზში დღემდე უკუსოვლელი
არქეოლოგია სამუდამოდ დაიღუაა

ყველაფერი დაიწყო 1997 წელს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის დექლარაციის ხელმოწერით. საქართველოსთვისაც ხელსაყრელ საერთაშორისო პროექტებთან (კასპიის შელფის ნავთობის დამუშავების პრესპექტივა, ბაქო-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობა და სხვ.) ერთად, თურქელმა მხარემ საგანგებოდ შეიტანა მდინარე ჭოროხის აუზში დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტების სფეროში თანამშრომლობის მუხლი. დექლარაციას ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის მხრიდან სულეიმან დემირელმა. ამის შემდეგ კარგა ხანს მხოლოდ ორმხრივი დიალოგი მიმდინარეობდა. ბევრს ისიც ვონა, რომ ჩვენი მეხოდელი ამ მასშტაბის მშენებლობას ვერ შევჭიდებოდა. უნდა ითქვას, რომ ქართულ მხარეს არც შესაბამისი ინფორმაცია ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ფაქტად რჩება — წლების განმავლობაში მხოლოდ ვიწრო ჯგუფი თუ ლაპარაკობდა იმ საფრთხეებზე, რაც კაშალთა მშენებლობას შეიძლება მოეტანა ჩვენი ისტორიის, ეკოლოგიისა და დემოგრაფიისთვის...



ციხესიმაგრეს, რომელიც ხეობის თავზე
ამავად იყო წამომართული, დღეს წყალი
საძირკველთან მისდგომა

ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტატუსის მუდმივი ცალება-დობის მიუხედავად, დაბეჯითუბით შეიძლება ითქვას, ეს რეგიონი ქართული სახელმწიფო ერთობრივი და ეთნოკულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო. მეტიც, არაერთი დიდი ქართული სახელმწიფო ბრივი გაერთიანების გენეზის სწორედ ამ რეგიონში ჩაეფარა საფუძველი: არიან-ქართლი, „ქართველთა სამეფო“. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის უდიდესი წვლილი, რომელიც ტაო-კლარჯეთის საეკლესიო და კულტურულ-საგანგა-

ნათლებლო ცენტრუბმა (ანჩის, ბანას, იშხნის, ტბეთისა და სხვა საეპისკოპოსო კათედრები, ოძიზის, ხანძთის, შატბერდის, ხაულის, პარხლის, ოშეისა და სხვ. მონასტრები) შეიიტანეს ზოგადად ქართული კულტურის ფორმირების საქმეში.

ტაო-კლარჯეთი ისტორიკოსთა მეტ შექმნილი ტექნიკური ტერმინია და მასში იგულისხმება შეძლვები მსხვილი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები: ტაო, კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, კოლა, არტაანი, ერუშეთი.

1578 წელს სამხრეთ კავკასიაში იღავსქრა ლალა მუსტაფა ფაშაში. ოსმალებმა მოახერხეს მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთი საქართველოს დამორჩილება. 1579 წელს სულთანმა საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფუშო დაარსა. თავდაპირველად სამხრეთი საქართველოს ქართული მიწები ძირითადად ორ ნაწილად იყო გაყოფილი. საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ახალციხის საბეგლარბეგოში იყო გაერთიანებული, ხოლო დასავლეთი ნაწილი, ძირითადად, ტაო-კლარჯეთი — არზარუებისაში. ასეთი კითარუება თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილა. შავშეთ-კლარჯეთის, კოლა-არტანის, ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ოლთისის უბანი) რუსეთის იმპერიამ 1877-1878 წლებში რუსეთ-ოურქეთის ომის შედეგად მიიღოთ. ეს საუსებით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ მოვლენად. ორმოც წელიწადს ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი ბათუმის, ხოლო ნაწილი კი ქარსის ოლქში იყო გაერთიანებული.

1916 წლისთვის, პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთის ჯარმა ოსმალთა სამხედრო ნაწილები დაამარცხა და არზრუში და მისი მიდამოები დაკავა. რუსების ხელში გადავიდა ასევე ორორუშის ხეობაც. მაგრამ მაღლე ეს წარმატება ისტორიის კუთვნილებად იქცა. 1917 წლის ნოემბერში პეტერბურგში დროებით მთავრობა დაემხო და ბოლშევკობა დიქტატურა დამყარდა. ლენინის მთავრობამ გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის ბლოკუან სამშეიდლობო მოლაპარაკება გამართა ბრესტ-ლიტვისში. 1918 წლის 3 მარტს მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის ძალით რუსეთი უარს აცხადებდა თვისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე.



კრუელი ხეობა, რომელის ძირშიც სოფელი მოჩანს (მარცხნა ფოტო), დღეს წყალსატყვად იქცა (მარჯვნივ)

ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებით, თურქეთის ხელში გადადიოდა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები. 1918 წლის მარტში ოსმალებმა ბათუმის ოლქის რკუპაცია მოახდინეს. ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დასჭირდა შში, თურქთა წნევის შესაკავებლად, მათი პრეტეზიები ნაწილობრივ ცნო, მაგრამ შემდგენ ვითარება კარდინალურად შეიცვლა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირის, ოსმალეთის დამარცხებამ საქარ-

თველოს მთავრობას შესაძლებლობა მისცა, დაკარგული ტერიტორიები შემოერთებინა.

1919 წელს საქართველო იეროუბს ჯერ ჩრდილოეთ არტაანს, შემდეგ კი ამ პროვინციის სამხრეთ ნაწილსაც მიმდინარეობს დიპლომატიური მუშაობა ართვინისა და ტაოს ოლქების შემოერთებისთვის. ამ პროვინციებში აქტიურად ყალიბდება ხელისუფლების აღგილობრივი ორგანოები. პროცესი თითქოს საქართველოს სასიკეთოდ იყო მოტრიალებული, მაგრამ მოკლე ხანში პირველი ქართული

თამარის ერთ-ერთი ხიდი (მარცხნა ფოტო) წყალსატყვის ფსკერზე დარჩა, რომელმაც ხეობა შეავსო (მარჯვნივ)





რესპუბლიკა წითელი რუსეთის აგრესიის მსვერბლი შეიქნა. ბუნებრივია, უდიდესი მოვლენა — ქართული მიწების შემოკრება-გაერთიანების პროცესი ისტორიის კუთვნილებად იქცა. საბჭოთა რუსეთმა უყოფმანდ განაცხადა უარი სამხრეთ და სამხრეთ-და-სავლეთი საქართველოს ტერიტორიებზე და იგი თურქებს გადაულოცა.

ტაო-კლარჯეთის შემოკრობის განზრახვა კიდევ ერთხელ გაჩნდა 1945 წელს, სტალინის მეცადინეობით, მაგრამ ბოლო მომენტში საბჭოთა ლიდერმა გადაიფიქრა თურქეთზე სამხედრო აგრესის განხორციელება.

ეს ყველაფერი იყო წარსულში, თუმცა

არც XX საუკუნის მეორე ნახევარში სუფე-ლა რეგიონში სიმშვიდე ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ტაო-კლარჯე-თის დემოგრაფიული სურათის კარდინალური ცვლილება, ათიათასობით ქართული ოჯახის თურქეთის შიდა პროენციებში გადასახლება. ქართული ძეგლების მიზანმიმართული განაღურებაც ამ ღროს მიმდინარეობდა. გავიხსენოთ აფეთქებული ტბეთის კათედრალი ან არადა, ობიზის მონასტერი.

ამ ყოველივეს დაემატა XX საუკუნის მიწურულს მასშტაბური პროექტის წმოწება, რომელიც ჭოროხზე ათი და მის შენაკა-დებზე — ხუთი ჰიდროელექტროსადგურის





ახალი გზების მშენებლობისას (ზემოთ). დღეს ისინი წელის ზედაპირის დონეზე მაღლა გადას (ქვემოთ)



აშენებას ითვალისწინებს. ამათგან დღეს სამი კაშხალია დასრულებული. ქართველი საზოგადოება უკვე დიდი ხანია, უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს პროექტისადმი იმ ზიანის გამო, რომელიც შეიძლება მიადგეს შავი ზღვის სანაპიროს ბათუმის ზოლში. მდინარე ჭოროხში მყრი ნატანის გაქრობა გამოიწვევს ეროზიული პროცესების გააქტიურებას. ნაპირების წარეცხვის ტექპი ჭოროხის ყოფილ შესართავსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საკრძნობლად მოიმატებს. ნაპირების უკან დახევა, დროთა განმავლობაში, გადაწვდება სამხრეთით სოფელ გონიოსა და ჩრდილოეთით — ბათუმის მჭიდროდ დასახლებულ უბნებს.

ამდენად, შეიძლება ტაო-კლარჯეთის უახლეს ისტორიაში ორი პერიოდი გამოვყოთ — კაშხლების შენებლობამდე და შენებლობის დაწყების შემდეგ. რაოდენ სამწუხაოც უნდა იყოს, ფაქტია, რომ დღეს ამ ძირძღვლი ქართული პროექტის მოსანაზულებლად ჩასული ტურისტი ბუნების უღამაზე პეიზაჟების მხოლოდ ნაწილს თუ იხილავს. ცად აზიდული კანიონები ნახევრად წყალს დაუფარავს, კლარჯეთისა თუ ტაოს წარმტაცი ბუნება ხელოვნურ წყალსაცავთა მსხვერპლად ქცეულა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მდინარეების — შავშეთისწყლის, არტანუჯისწყლის, ჭოროხისა და ოლთისწყლის აუზში დღემდე შეუსწავლელი არქეოლოგია სამუდამოდ დაიღუპა, კითხველისთვის ადვილი წარმოსადგნია, რაზარალი განიცადა საქართველოს ისტორიამ. წყლის ქვეშ მოექცა უძველესი ხიდები, მათ შორის ერთ-ერთი მდინარე არტანუჯისწყალზე. ამასთანავე, არავინ იცის, რა საფრთხის შემცველი შეიძლება გახდეს ამ წყალსაცავთა წყალობით მომატებული ტენიანობა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისთვის.

ვფიქრობთ, სახელმწიფო უწყებებმა სასწრაფოდ უნდა მიიღონ ამ კუთხით შესაბამისი ზომები. უნდა შეიქმნას კომპეტენტურ სპეციალისტთა კომისია, რომელიც არა მარტო განსაზღვრავს მოსალოდნელ საფრთხეებს, არამედ მუდმივ მონიტორინგს გაუწევს თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ძეგლებს.

პარა სამუშაო

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი




ეს ულამაზესი ხეობა აღარ არსებობს. ის მოლიანად წყლითაა დაფარული

ქანდაკებები წარმართული ღმერთების კანონიდან

თანამედროვე მსოფლიოში,
მცირე გამოინაკლისის გარდა,
ერთოდმერთიანობაა გაბატონებული.
ადრე კი სხვადასხვა ხალხში, მათ
შორის ქართველებშიც, ქვის ხანიდან
ადრეულ შუასაუკუნებამდე, არსებობდა
წარმართული სარწმუნოება, რომელიც
მრავალლმერთიანობას ეფუძნებოდა.
წარმართული ღმერთების პანთეონიდან
ადსანიშნავია ძველ წარმართულ
მსოფლიოში გაურცელებული
ნაყოფიერების ღვთაება, რომლის
სიმბოლოს წარმოადგენდა მამაკაცისა
და ქალის სასქესო ასო (ფალოსი და
კტიებისი). ფალოსს, როგორც ადამიანისა
და დედამიწის გამანაყოფიერებელ
ღვთაებას, განსაკუთრებულ თაყვანს
სცემდნენ. მას მეტწილად ორსქესიან
არსებად წარმოსახვდნენ და
შესაბამისად, ქალის სხეულითა და
მამაკაცის ასოთი აქანდა კებდნენ.

სურ. 1. მამაკაცის ითიფალური ქანდაკების
სიმაღლე 32 სმ-ია

ადამიანის კოსმოსურ წარმოდგენათა გან-
ვითარება და ცვალებადობის ისტორია ადას-
ტურებს, რომ ნაყოფიერების ღვთაებისადმი
ყველა ხალხს, განვითარების განსაზღვრულ
საფეხურზე, ორგვარი დამოკიდებულება
ჰქონდა. ადამიანისა და ბუნების ცხოვრების
წყაროდ მდედრობითი ან მამრობითი საწყისი
მიიჩნეოდა. ეს შეზღულებები მატრიარქალურ
და პატრიარქალურ საზოგადოებებს შევსა-
ბამება. ერთი იდეოლოგია ჩანაცვლებისას
სრულად ვერ განდევნის მეორეს, ზოგჯერ
ვწერდვთ ადამიანისა და ბუნების წარმოშობის
საკითხის, ასე ვთქვათ, კომპრომისულ გადაწყ-
ვეტას, როცა ყოველი არსებულის შემოქმედად
ორივე ელემენტის შერწყმა მიიჩნევა. ამას
ადასტურებს ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის



სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზე-
უმში დაცული ქანდაკება (სურ. 1), რომელიც
1914 წელს მდინარის ნაპირას იპოვეს სოფელ
ფერსათში, ბაღდათის რაიონში.

მონოლითური ფიგურა მამაკაცის ითიფა-
ლური (ნაყოფიერებასთან დაკავშირებული)
ქანდაკებაა. ოდნავ განზე გამდგარი ფქვები
მყარად დგას კარცხლებებზე, ქანდაკებას აქვს
ვიწრო, მოგრძო ტორსი, განიერი მხრები და
შედარებით მოკლე ფქვები. სახე მოგრძო და
ბრტყელია, ფართო თვალები და პირი ღრმა
ფოსოებშია ჩამჯდარი. აქვს კქიანი ცხვირი,
ოდნავ წამოწეული ნიკაპი და ხშირი თბა. სა-
ხის მკაცრი ნაკვთები მნახველზე ეფექტურ
შთაბეჭდილებას ახდენს. ორივე ხელი იდაყ-
ვში მოხრილია და წინ გაწვდილი თითები

— მოკუმშული. ფალოსი ნატურალურადაა
გამოქანდაკებული. ფიგურას უკანა მხარეს
გრძელი თბა კისერზე აქვს დამაგრებული
დიდი შკრდი, განიერი ოქმები და დავიწრო-
ებული წელი მიგნიშენებს, რომ ეს ქანდაკება
ორსექსიან არსებას უნდა წარმოადგენდეს.
გრავირებული მორთულობა კისერსა და ხე-
ლების ზემო ნაწილზე, ჩვენი აზრით, მხოლოდ
დეკორატიული მოტივი როდია, მას ასტრ-
ალური, სიმბოლური დანიშნულება უნდა
ჰქონდეს, დაკავშირებული გაჩენის, დაბადე-
ბის, შექმნის იდეასთან.

ფიგურის დეომის მფარი პოზა, სხეულის ნაწილების პროპორციები და გამომეტებელების სიმკაცრე მონუმენტური ქანდაკების იერს ქმნის. მის უკანა მხარეს მთელ სიგრძეზე გაკეთებული ღარი უნდა ნიშნავდეს სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს (დვთაებრივი ხე, „ხე ცხოვრებისა“, „ხე ცნობადისა და ქეთილისა“). ღარის წვერზე პარალელური ჭრები გადადის.

სიცოცხლისა და ნაყოფერგბის ხე საქართველოში ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში ჩნდება. თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ვერცხლის სასმისის თასზე გამოხატულია რიტუალი, რომელსაც სათვო ღვთავებები ასრულებენ სატომო ღვთავების კარზე, სადაც აღმოცენებულია სიცოცხლისა და ნაყოფერგბის ხე.

„სიცოცხლის ხე“ სხვადასხვა კულტურებში ვლინდება, ოოგორც სამყაროს ხატება და აერთიანებს ზეცას, მიწას და ქვეს სწერებს. ქართველთა ცნობიერებაში ხის სიმბოლიკას

დღიდ მნიშვნელობა ჰქონდა, ეთნოგრაფიული
მონაცემები ადასტურებენ, რომ საქართვე-
ლოში გავრცელებული იყო წეს-ჩვეულება,
რომლის მხედვითაც ახალშობილის სახლზე
რგავდნენ ხეს, ხოლო გარდაცვალებისას —
ჭრილნენ.

წმინდა ხეთა შორის საქართველოში გავრცელებული იყო მუხისა და ცაცხვის თაყვანისცემა, რომლებზეც უამრავ შესაწირავს ჰქონდიდნენ. წიაპართა წარმოდგენით, ხე ცოცხალი არსება იყო და საკუთარი სული გააჩნდა. შემდგომში ხე წმინდა არსებების, ღვთაებათა სამყოფლად იქცა.

ფერსათის სტატუების ანალოგიურია გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის მახ-ლობლად აღმოჩენილი აზოვოპომორფული (ადამიანის შსგავსი) ფიგურუბი და კაჭრეთთან ნაბოგნი ქანდაყბა.

სტილისტური მონაცემებითა და პარალელური ძეგლებით, ფერსათის ქანდაკება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ରୋଗରୁ ବ୍ୟନ୍ଦୋବୀଲୀଯା, ମୁକ୍ତିଲ୍ଲଙ୍ଘାରତୀ ଶୁଭ-
ରୀଗଲ୍ପେସିବା ଯାଲାନ୍ତିରୀ କୁଣ୍ଡିଲ୍ଲିଶ ଉକ୍ତାବଶିରିକ୍ଷବା
ଅନିମିତ୍ତମେ — ତିରିଗ୍ରେଲ୍ପାର୍ଟ୍‌ଫ୍ରିଂ ବ୍ୟାଲକ୍ଷ୍ମୀରେଖା,
ରୁମ୍ହ ଗ୍ରେଲ୍ଲା ସାଗାନ୍ତି ଏକ୍‌ଷି ଶ୍ଵରିଲ୍. ମିଠା ଶୁଭେତ୍ରୀରେ,
ରୁମ୍ହ ଆମ ବ୍ୟାଲକ୍ଷ୍ମୀରେ ବ୍ୟାଲାନ୍ତି କାହିଁକି ବ୍ୟାଲାନ୍ତି ଏକ୍‌ଷି
ମାନାଗ୍ରେଲ୍ପାର୍ଟ୍‌ଫ୍ରିଂକ୍ରେଲ୍ଲି ଦାଲିନ୍ତି ଶ୍ଵେତାଶ୍ରୀ. ବ୍ୟାଲାନ୍ତି
ଅମିତିଶ୍ୟାରି ଶ୍ଵେତରନ୍ଧେବିଦାନ ଶ୍ଵରିଲ୍ ଚାରମନ୍ଦିରିଲ୍-
ଲ୍ଲିପିଲ୍ ସାକ୍ଷେତିରୀ ଏବଂ ଗାନ୍ଧିରାତ୍ମିକା. ଏହି ଶ୍ଵେତରନ୍ଧ
ଗାନ୍ଧିଏତିଥିରେ ବ୍ୟାଲାନ୍ତିରେ ରାଜମନ୍ଦିରରେତେ ଏହି
ଅମିତିଶ୍ୟାରି ଦ୍ୱାରା ବ୍ୟାଲାନ୍ତିରେ ମିଳିତିରୀକ୍ଷିତ ମାନ୍ଦିରରେ
ଗାନ୍ଧିକୁ ଶ୍ଵେତରେ, ରୁମ୍ହା ଦ୍ୱାରା ବ୍ୟାଲାନ୍ତି ଏକ୍‌ଷି ଦାଲିନ୍ତି
ମାନାଗ୍ରେଲ୍ପାର୍ଟ୍‌ଫ୍ରିଂକ୍ରେଲ୍ଲିରେ, ଏକର୍ଷିତାରେ ଶ୍ଵେତରନ୍ଧିରେତେ, ରୁମ୍ହା



სურ. 2



კონარეის მზის ტაძარი, ანუ ე.წ. შავი
პავორდა ინწილები, მის ფასაღზე
გამოსახულია მრავალი ფიგურა და სცენა
სიცარულის ხელოვნების შესახვა

მწიფე ნაყოფი იკრიფება და მარცვლეული ითესება.

ფალოსის მისტერიებს უნდა უკავშირდებოდეს ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცული ითიფალური ქანდაკებები ახორციელობული და ზოომორფული (რეალური ან ფანტასტიკური ცხოველების მსგავსი) გამოსახულებებით, რომელთათვის დამახასიათებელია მოძრავი პოზა, მეტყობენ გამოსახული ითიფალობა და რომელიმე ცხოველის ატრიბუტი (სურ. 2).

ძველ საბერძნეთსა და რომში ფალოს თალისმის ძალას აძლევდნენ და ავთვალის წინა-აღმდევ იყენებდნენ. კლასიკური ხანის საბერძნეთში ფალოსი გამოსახულა ღმერთების — ღიონისებს, ჰერმესის, პრიამოსისა და აფროდიტეს სიმბოლოს. ღიონისებს მისტერიებში, რომელიც შემოღომაზე ყურძნის კრეიტისას და ყოველ გაზაფხულზე იმართობოდა, უმთავრეს როლს ფალოსის ქანდაკება თამაშობდა, რომელსაც წითელი ტყავისგან აშადებდნენ და ჯობზე წამოცმულს პროცესის შეუში ატარებდნენ. მისტერიის მონაწილეთ ყელსა და გვერდებზე ეკიდათ პატარა ფალოსები. ფალოსს სოფელ-სოფელ ატარებდნენ, რათა ნათესი ავი სულებისგან დაეცვათ. ქორწილში პატარძალს ფალოსზე სეამდნენ, თითქოს ამით იგი თავის უმანყობას სწირავდა. გარდა

ამისა, არსებობდა ფალოსის ღვთაების სადი-
დებელი სიმღერები და თამაშობანი.

თანამედროვე კულტურულ ერთა შორის ფალოსის კულტი დღემდე იაპონიაშია დაცული და მთებედაგად სამთავრობო აკრძალვისა, მდაბიო ხალხი მას დღესაც თაყვანს სცემს. ისინი აშხადებენ სხვადასხვაგვარ ფალოსს, უმეტესად წამოზიდული კლდეებისა და გრძელი ნახევარკუნძულების განსახიერებით, სხვადასხვა ზომით და სხვადასხვა ნივთიერებისგან და თილისმად ატარებენ. მათი ოწმენით ფალოსი, და კტეისი ადამიანს კურნავს სასქესო ორგანოს ტკიფილისგან და ორსულს შემობიარობას უმსუბუქდებს.

ფალოსის კულტი გავრცელებულია ინ-
დოეთშიც. ბედიზმი მისდამი რწმენითაა
გაეღენთილი, რაც აშკარად არის გამოხა-
ტული ინდოელების ღვთაებათა ეროტიკულ
მხატვრობა-ქანდაკებაში. აღსანიშნავია, რომ
ინდოეთში კონარების შინის ტაძრის, ანუ ეწ-
შავი პაგოდის ფასაღზე მოცემულია მოძღ-
ვრება სიყვარულის ხელოვნების შესახებ,
რომელიც შექმნილია ძვწ. II საუკუნეში და
სადიდებელ ჰიმნს უძღვის ფალოსსა და კტე-
ისს, როგორც ნაყოფიერებისა და სიცოცხ-
ლის მომზადებელ ღვთაებას. მაგრამ ფალოსი
განსაკუთრებით დაკავშირებული იყო შიგა-
თან, როგორც ჩასახვისა და აღორძინების



ინდურ ღვთაებასთან, რომლის სიმბოლოდაც იგი იქცა.

ფალოსის მისტერიებს დიდი ადგილი ეთმობა ქართული წარმართული მითოლოგიის წიაღიძან მომდინარე ბერიკაობა-ყევნობის ღღესასწაულში, რომელიც ადრიან გაზაფხულზე იმართებოდა. სოფელ უაბეშში თოვლისგან „მურყებაშის“ ანუ კოშკს აგებდნენ, რომელსაც შუაში მაღალ ხეს ჩაატანდნენ. ამ ხის წვერზე ძველ კალათს ან საცერის ჩამოაცვამდნენ, ორ ხის ხმალსა და ხისგან გამოთლილ ფალოსს ჩამოჰკიდებდნენ. კალათა ან საცერის ძირი, სვანთა რწმენით, ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. ყმაწვილები თავიანთი წრიდან ორ მეთაურს ირჩევდნენ, რომელთაგან ერთს „ყაინი“ ეწოდებოდა, მეორეს კიდევ „საქმისა“. „ყაინსა“ და „საქმისაის“ შორის იმართებოდა ჭიდაობა. ჭიდაობის დამთავრების შემდგე — ცეკვა და ფერხული სიმღერით შიდა ჩასვლისას კოშკს ანგრუვდნენ და ხეზე ჩამოცმულ საგნებს იტაცებდნენ. კოშკის დაშლისას საითაც ხე გადაიხრებოდა, იმ მიმართულებით მდებარე სოფლისთვის კარგი მოსავალი იყო მოსალოდნელი.

ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემაზე მიუთიებს ფალოსის ფორმის მარმარილოს სეპტი, რომელიც მუზეუმშია დაცული და აღმოჩნდა ქუთასის მახლობლად, სადგურ ბროწეულასთან, წინარეანტიკური ხანის ფენაში, მიწის ზედაპირიდან — 1-1,5 მეტრის სიღრმეზე (სურ. 3). მისი სიმაღლეა 2,35 მეტრი. მას უშვილო ქალები და რძედაკარგული დედები წყალობას შესთხოვდნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით დამტკიცებულია, რომ ასევე ხდებოდა გასათხოვარი ქალების გამოლოცვა დაგენილი წესისა და შესაწირის საშუალებით.

ასეთივე ფორმის საკულტო ქვები დაცულია სოფელ არახლოს წმინდა გიორგის სახლობის ეკლესიაში, მთიულეთში, სოფელ საირეში და სხვ.

პროექტისათვაზე ნაპოვნი მარმარილოს სკეტჩის სიმაღლე 2,35 მეტრია





სურ. 4



სურ. 5

ფალოსის მსგავსად კტეისსაც სცემდნენ თაყვანს როგორც ადრეული ხანის, ასევე ძველი აღმოსავლეთის ცივილიზებული სამყაროს აგრარულ მისტერიებში.

საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითის ხანაში გარკვევით იკვეთება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების, „დიდი დედის“ კულტი, რომლის იკონოგრაფია ქალის მცირე ზომის ქანდაკებით არის წარმოდგენილი.

ქალის ტერაკოტული (გამომწვარი ფერადი თიხის) ფიგურები დაკავშირებულია სიცოცხლისა და ნაყოფიერების კულტთან და „დიდი დედის“ ბუნების მფარველ ქალას

განასახიერებენ. ქვისა და ძვლის დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესებას თან სდევდა ადამიანის გრძებრვი განვითარება, ბუნების ძალების უკეთ შემცნება და „დიდი დედის“ კულტიც ვითარდებოდა. ოჯახის კეთილდღეობის მფარველიდან, „დიდი დედა“ ნელ-ხელა ნაყოფიერების ქალღვთაებად იქცა, მისი კულტი უფრო მეტად განხოგადდა, განვითარების კულმინაციას კი წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის პერიოდში მიაღწია, როცა ნაყოფიერება უფრო მეტად არის დამოკიდებული ბუნებაზე, ვიდრე ადამიანის ცდაზე.

თავდაპირველად „დიდი დედა“, „ღმერთის დედა“, სხვადასხვა სახელით გვხვდება, მოგვიანებით კი მისი კულტი გაფორმდა, როგორც ქალღმერთ „კიბელას“ თავგანისცემა. კიბელას, რომელიც მარადმოქმედ, სიცოცხლის მომნიჭებელ ბუნების ძალას განასახიერებს, უძველესი ძროიდან სცემდნენ თავგანს მცირე აზიაში. კულტის სამშობლოდ მიჩნეულია ფრიგია, საიდანაც გავრცელდა ლიდიაში, ლაპონიაში, ბითვინიაში, კაპადოკიაში და მცირე აზიის სხვა ქვეყნებში.

ნაყოფიერების მდედრობითი სქესის ღვთაებას შუმერები უწოდებდნენ ნინას, ნანას (ნინი, ინინა). იბერიაში აინინასა და დანანას სახელით მოიხსენიებენ და მათი კერპები, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, მცხეთაში ან მის შემოგარენში იყო აღმართული. „ღმერთების დედის“, ანუ „დიდი დედის“ კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოშიც.

მუზეუმში დაცულია ქანდაკება (სურ. 4), რომელიც წარმოადგენს მშვიდ პოზაში მჯდომი ქალის მცირე ზომის სტატუეტს (სიმაღლე 5 სმ), როგორც ფქი მოტეხილი აქვს, მოუხშავად არის გამოძერწილი და ყალიბში ჩასხმული.

ფიგურა ტლანებადა აგებული, საქართველოდან გარკვევით იკვეთება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების, „დიდი დედის“ კულტი, რომლის იკონოგრაფია ქალის მცირე ზომის ქანდაკებით არის წარმოდგენილი.

ფიგურას უკანა მხარეს (სურ. 5), კეფაზე შეკრული ნაწილი წელამდე ეშვება. ტორსი სწორია და თავისუფლად გადადის ქვედა ნაწილში, რაც ჯდომის პოზას მეტ ბუნებრიობას ანიჭებს. მკერდი ოდნავ შეიმჩნევა. მკლავები

იდავეში მოხრილია და გულ-მკერდისკენაა მიძართული. მარცხენა ხელის მტევნი მოტეხილი აქვთ, ხოლო მარჯვენა — წვერწამახულია და მთლიანობაშია წარმოდგენილი. ხელის მტევნი თითქმის ყელთანაა მიბჯენილი. ქალის ხელების მკერდიან მიტანა ვეღრუბას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო სტატუეტი უნდა უკავშირდებოდეს წინამორბედ აღმოსავლურ ღმერთებს, რომლებიც მიიჩნევიან ნაყოფიერების წარმართულ ღვთაებებად. ფიგურა შესრულების მანერით პრიმიტიულია. ოსტატის ყურადღება ძირითადად შინაარსსა და იდეაზე გადატანილი. ჩანს, ფიგურის შემქმნელისთვის მთავრი იყო სხულის ცალკეული ტრადიციული ელემენტების გამოსახვა, ამიტომ ქანდაკება, ნატურალურის ნაცვლად, სქემატური გახდა. ის ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული, მუზეუმში კი შემოსულია სოფელ გორისას (საჩხერის რაიონი) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან, 1926 წელს.

ძველი ჩეულების მიხედვით, საქართველოში მორწმუნება ადამიანი თუ კარგ, უჩვეულო ნივთის იპოვიდა, ყველაფერს სოფლის ხატს, ეკლესიას სწირავდა და იქიდან ნივთის გატანა მკრებელობად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ გორისას ქანდაკება მიწის სამუშაოების დროსაა ნაომვნი, მით უძეტეს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად საჩხერის რაიონში მრავლადაა აღმოჩენილი წინარე და ადრენატიკური ხანის მატერიალური მასალა.

ამ ტიპის ქანდაკებანი საქართველოს

ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება. გურჯა-ანის რაიონის სოფელ მელაანის სამხრეთი, „შეხის გორის“ ძირში ძველ სამლოცველო „მელილელე I-ის“ ქვედა კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს შიშველი ქალის შვიდი ქანდაკება, რომლებიც ნაყოფიერების სიმბოლოებადა მიჩნეული.

კველა ეს ქანდაკება, აგრეთვე საირმესა და ბალანთაში ნაპოვნი ბრინჯაოს ფიგურები ძვ.წ. IX-VII საუკუნითაა დათარიღებული. ისინი პოზით, პროპორციულობით, ძერწვის მანერით ახლოს დგანან სოფელ გორისას ქანდაკებასთან. ამდენად, შესაძლებელია ამ უკანასკნელის იმავე ეპოქით დათარიღება.

გორისის ფიგურის შესრულების მანერა გვაფიქრებინებს, რომ იგი განკუთვნილი არ უნდა ყოფილიყო რომელიმე დიდი თემისა თუ ტომისთვის. ქანდაკება რომელიმე კონკრეტული ოჯახის ნაყოფიერების მფარველ ღვთაებად უნდა მივიჩნიოთ. ეს არის ქალი, რომელზედაც დამოკიდებულია ოჯახის მოდგმის გაგრძელება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და საქართველოში „ღმერთების დიდი ღედის“ კულტის გავრცელებაზე მიუთითებს მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილი ქალის ბრინჯაოს ითიფალური ქანდაკება (სურ. 6), რომელიც 1982 წელს მიაკვლიერ სოფელ გეგუთში (წყალტუბოს რაიონი).

ქანდაკების (სიმაღლე 11,5 სმ) მსუბუქად გამოყვანილ წელზე შეიმჩნევა ოდნავ ამობურცული ჭიპი და მკერდი. კულმოლერებული თავი

ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის
სახლობის სახლმწიფო
ისტორიული მუზეუმი





სურ 6

კოხტად ადგას ტორსს. შეერა უსასრულობის სენაა მიმართული. აქვს სწორი ცხვირი, პატარა პირი და მრგვალი ყურები. სახის ნაკეთები დაზევებილია. ახურავს თავსაბურავი და უკანა მხარეს თბა კეფასთან აქვს შეკრული. ბიუსტის ნაწილთა მონაცვლეობა ქმნის რიტმს, რომელიც გაძლიერებულია გაშლილი მარჯვენა ხელის მოქმედებით (მარცხენა ხელი და მარჯვენა ხელის მტევანი ჩამოტებილია). პროპორციულობა და ფორმის პლასტიკურობის კომპაქტურობა დაცულია სხეულის ზედა და ქვედა ნაწილებს შორის. საჯდომი, ფქი, ოლნავ მოხრილი მუხლი ფიგურის საერთო ანსამბლში ზის და ურთიერთშესამებულია. ერთადერთი, რაც სხეულის პროპორციულობას არღვევს, საქმაოდ დიდი მარჯვენა ფქის ტერფია (მარცხენა ფქის ტერფი კი მოტებილია). სხეულის ფორმები თავისუფლად არის გაშლილი, ფიგურას ახასიათებს ფორმათა სიმრგვალე, გამოირჩევა დიდი ემოციური ძალით, დაზევებილობითა და პლასტიკურობით. ფიგურის შინაგანი ენერგია გამოხატავს მის არსეს — ბუნების ნაყოფიერება და ცხოვრების მარადიულობა.

მართალია, სტატუეტის ზედაპირი ზედმეტად ფორმებია და მდარე ხარისხის პრინჯაოსაგანაა დამზადებული, მაგრამ ოსტატი ნამდვილი ხელოვანი ჩანს. აშკარად იგრძობა

შესრულების ოსტატობა და ცოცხალი ნატურის შეგრძნება.

ქალის ფიგურა გვეუთიდან სტილისტურად ახლოს დგას გორის რაიონის ბრინჯაოს ანთრიპომორფულ ქანდაკებასთან. ჩვენი აზრით, გვეუთში მოპოვებული ქანდაკება მიეკუთვნება გვიანი ბრინჯაოსა და ადრული რკინის ხანის უკანასკნელ ეტაპს. იგი დამზადებული უნდა იყოს ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში.

განხილულ ქანდაკებებს მეტ-ნაკლებად ეტყობა ოსტატთა შესრულების სტილი და პლასტიკურ ფორმათა გამომსახველობა. ისინი გვიანი ბრინჯაოსა და ადრული რკინის ხანის ძეგლებია. იმ ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე იწყება პირველყოფილი თუმური წყობილების რღვევა, ვითარდება ხელოსნობა, გაჭრობა, უფრო ინტენსიური ხდება მიწათმოქმედება. განვითარების მაღალ დონეს აღწევს კერამიკული წარმოება, რომელიც უკვე ფართოდ იყენებს სწრაფმბრუნვა მორგეს. სამარხებში მრავლად გვხვდება ნაირსახოვანი ბრინჯაოს სამკაული. ძვ.წ. XIV საუკუნიდან წნდება რკინისგან დამზადებული იარაღი და განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს აღწევს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ნამოსახლარებსა და სამართუნებზე აღმოჩენილი მრავალფეროვანი რკინის სამეურნეო და საიმარანი იარაღები. არსებობდა ბრინჯაოს ორნამენტირებული სარტყელების დამზადების ადგილობრივი ცენტრები, რომელიც „კავკასიური ცხოველური სტილის“ სახლითა ცნობილი. ჩამოყალიბდა რელიგიური მსოფლმხედველობა. შზადდება პროცესი ადრული კლასობრივი სახელმწიფოს შექმნისთვის. ყოველივე ამის საფუძველზე, ყალიბდება ღვთაებათა სკულპტურული გამოსახულებანი. ქანდაკების განვითარება ორგანულად უკავშირდება კოლხურ ცულებს, მხატვრულ ერამიკასა და განსაკუთრებით, ბრინჯაოს გრავირებულ სარტყელებს, რომლებშიც აშკარად იგრძონობა ბრინჯაოს პლასტიკის მაღალი დონე და რომელიც გვხვდება ქართულ ფოლკლორსა და ზღაპრებში შემონახული გრავირებული მითოლოგიური სიუჟეტები.

დაპირისპირებულობა

არქეოლოგი, ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახლობის სახლმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

ასოფლიოში ყველაზე ცნობილი მთხოვნელი




თაროგიდგენი დიდ საზღაცვილო ცცოდნობელიას

შეაგროვა ახალი და გაემარი „დისეკარის ცხიქლოაგენტის“


4 პომარები საკუთარი ხალით !

ოთხ განსხვავებული ფერის კოლოფში მთელი სამყაროს ამბები მოექცევა. ერები და ცვილიზაციები, მოგზაურები და ელიტები გამოგონებები, მოდა და რაინდების შერქინება, უჩვეულო მოვლენები და შემცინებითი ფაქტები. თითოეულ კოლოფში 16 წიგნი თავსდება, საბოლოოდ კი 64 წიგნისგან შემდგარი ყოვლისმომცველი კოლექცია შეიკვრიბა.

ნიმუში ფასი
2 ლარი



ყოველ წთხაგათა!



შეიძლება დისეკარის ცხიქლოაგენტი:

კართულ ენაზე ან ინგლისურ ენაზე

და გაეცანი უჩვეულო გაიცანი სამყარო და თან დახვეწე

მოვლენებსა და ინგლისური. ყოველ მომდევნო ტომთან

საინტერესო ფაქტებს ერთად აიმაღლე ენის ცოდნის საფეხური

იკითხეთ ნიმუში მაღაზიებში და პრისტის გამარტინილებითან!

„ქედუსრელი რაიცვი“

1936წის თავადი
შარლოტი საჭმის
სამსახურში

ბევრმა შესაძლოა არ იცის, რომ
კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი
რომანის, „მთვარის მოტაცების“ მთავარი
გმირის, თარაშ ემზღვის პროტოტიპი
განლდათ რეალური პიროვნება —
არზაყან ემუხვარი. აფხაზი თავადი
ქართველი თვითშევნებით ცხოვრობდა და
საქართველოს პირველი დემოკრატიული
რესპუბლიკის ხელმძღვანელთა
მხარდამხარ იბრძოდა.

არზაყან ემუხვარი



არზაყან ემუხვარის ცხოვრება და ფიგნი, რომელიც მას ჰთამოგავალება მიუძღვნა

„ვინც საქართველოსა და აბხაზეთის ისტორიას იცნობს, მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენა!“ — წერდა იგი და სწამდა, რომ აფხაზეთის გადარჩენა მხოლოდ საქართველოს შემადგრნლობაში შეიძლებოდა, ამიტომაც აფხაზი საზოგადოების ერთმა ნაწილმა მტრად შერაცხა...“

წლების შემდეგ დირსეულ წინაპარზე დაწერა წიგნი („არზაყან ემუხვარი — ქედუსრელი რაიცვი“) მისმა შთამომავალმა ნატო მარშანიამ. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი არზაყან (დიმიტრი) ემსვარი ქალბატონ ნატოს ბების, ანა ემზღვის მმა იყო. წიგნს წინასიტყვაობა წაუმდღვარა თვით კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელშიც ქართველი კლასიკოსი ამგვარად მიმართავს არზაყან ემუხვარის შეილს: „ჩემს ნაწარმოებში, „მთვარის მოტაცებაში“ შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი, რომელშიდაც მე ჩემი სიყრმის შეგობარი კეთილი აფხაზი

არზაყან, იგივე დიმიტრი ემსვარი გამოვხატე, რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი“.

კონსტანტინეს თქმით, მას მთავარი გმირი ენგურის ზეირთებთან ბრძოლაში დაამარცხა, „რადგანაც მისი მიზნების განხორციელება არ ძალიშიძლა. გიუ ენგურის ზეირთებთან შექაუება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო მის იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა“. წერილი დათარიღებულია 1934 წლით. მწერალი სთხოვს არზაყანის გაუს, სიკვდილამდე წერილი არ გამოაქვეყნოს. მართლაც, ფართო საზოგადოებისთვის ეს ამბავი წლების შემდეგ გახდა ცნობილი...

რა გახდა წიგნის დაწერის საფუძველი და როგორ მუშაობდა თბილისში მცხოვრები აფხაზი ქალბატონი, ამის შესახებ ავტორი თავად გვამბობს (მას ქართველი მეუღლე და ერთი შვილი ჰყავს).

ნატო მარშანია: „რამდენიმე წლის წინ ხელთ ჩამიგარდა აფხაზეთის ისტორიის სა-

ხელმძღვანელო, რომელშიც ბაბუაჩემზე, არზაყან ემუხვარზე წერა, თითქოს „თავადი, ცნობილი მენშევიკი ემუხვარი, მშიშარა და წარუმატებელი ადამიანი იყო...“ კარგა ხანს გაოცებული ვათვალიერუბდი წიგნს. ჩემთვის, როგორც აფხაზეთის შეილისთვის, მიუღებელია, რომ ამას აფხაზ მოსახლეებს ასწავლიან, რადგან ეს არის გაყალბებული ისტორია... გული ძალიან მეტყინა და გადავწყვითე, არზაყან ემუხვარის შესახებ ინფორმაცია მომეგროვებინა და საზოგადოებისთვის გამეცნო, ვინ იყო და რა გზა გამოიარა... ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად სამი წელი დამჭირდა. დაიწყო ხანგრძლვი მიმოწერა, — წერილები დავგზავნე: პარიზში, პრაღაში, რუსეთის ფედერაციაში, თურქეთში, საქართველოს ეროვნულ და ქუთაისის ცენტრალურ არქივებში, სლავურ ბიბლიოთეკებში, ვარშავაში... პირველად ქუთაისს ვეწვიო, რადგან ბაბუაჩემში ქუთაისის სასულიერო სემინარია დამთვარა. შემდგვ საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ არქივსა და ქართული ემიგრაციის მუხეუმში აკადემიკოს გურამ შარაძის მიერ საფრანგეთიდან ჩამოტანილ საარქივო მასალებს მიაკვლიე, სადაც ბაბუაჩემის სასამართლო პროცესების ოქმების ასლებიც იყო შეტანილი (მას თანაპარტიილები აგნტობას აბრალებდნენ). მერე იმ ქეყნების არქივებსა და ბიბლიოთეკებსაც დაგუავშირდი, სადაც ემიგრაციის წლებში იმყოფებოდა. თურქეთში ორ წელიწადს იცხოვრა, მაგრამ მის შესახებ ვერანაირ ინფორმაციას ვერ მივაკვლიე. იქიდან, როგორც მაშინდელ ცნობებშია მოხსენიებული, „50-კაციან კოლონიასთან“ (სათვისტომოსთან) ერთად, პრაღაში გაემგზავრა.

ჩემთში ქართველი დევნილები ადგილობრივმა თანაპარტიილებმა, სოციალ-დემოკრატებმა შეიიფარეს. პრაღას ბიბლიოთეკამ მომაწოდა არზაყან ემუხვარის მიმოწერები მეგობრებთან... მადლობელი ვარ ჩემთისა და სლოვენის არქივებისა და ბიბლიოთეკებისა, განსაკუთრებით ვუმაღლი სლოვენის ბიბლიოთეკის დირექტორ ლუკაშ ბაბკას, რომელმაც ბაბკას წერილები მომიგროვა. ამ საუკუნოვნ ბარათებში დევნილი ემიგრანტები ერთმანეთს უკიდურესი გაჭირვების შესახებ უყვებიან, მაგრამ იმავდროულად ამხნევებენ კიდეც. აკაკი ჩხენ კელი წერს არზაყანზე: „მე არ ვიცი, როდის გაიგებს აბხაზეთი შენს

დაკარგვას, მაგრამ ვიცი მხოლოდ, რომ ის მწარედ ამოიოხრებს... ერთხელ შენ უთხარი ჩემს ცოლს: სამშობლოს განთავისუფლების იმედი რომ არ მქონდეს, არ ვიცოცხლებდიო და აი, სწორედ განთავისუფლებული სამშობლო მიგიკრაგს შენ გულში!“ — წერდა აკაკი ჩხენ კელი ბაბკას, მაგრამ არც ერთ მათგანს არ აუხდა ოცნება (აკაკი ჩხენ კელის ეს წერილი პირველად გამოქვენდა)... ჩემთისა და სლოვენის არქივებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობა გაოცებული იყო, ამდენი წელიწადი აქ გაუტარებიათ და მათ შესახებ საოცრად მცირე ინფორმაცია გვექონდაო.

— როგორ ფიქრობთ რატო?

— მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ 1946 წელს ემიგრაციის შესახებ მასალები პრაღადან რუსეთის გადასცა „საჩუქრად“. ვინაიდან რუსეთის დაპლომატიური ურთიერთობა გაწვეტილია, საბუთების ოფიციალურად გამოთხვის უფლება არ მქონდა. ამიტომ დახმარება იქ მცხოვრებ ნათესავებს ვთხოვე. მითხრეს, რომ მოსკოვის ბიბლიოთეკაში თბილად შეხვდნენ; მოსკოვის არქივებიდან ამოღებული მასალებიდან გავიგე, რომ ის პრაღაში კარლოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსხენელი იყო. გადმოცემით ისიც ვიცი, რომ სამედიცინო განათლებაც მიუღაა, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაციას ვერსად მივაკვლიე... შემდგვე კვლავ პრაღას მიყენდრუნდი. როგორლაც გაუტარები, რომ მეოთხე რაიონში (ამ ადგილს დღემდე ისტორიული მნიშვნელობა აქვს)

ახალი წიგნის გარუება





ნატო მარშანია: ჩემთვის, როგორც აფხაზეთის შეკვეთისთვის, მიუღებელია, რომ აფხაზ მოზარდებს არზაყან ემუხვარის ამბავს გაფალბეჭულად ასწელიან...

სასტუმროში ცხოვრობდა. ახლა ის კერძო სახლია. მინდა ამ სახლზე არზაყან ემუხვარის სახელობის მემორიალური დაფა განთავსდეს. ამ საკითხზე ქალაქის მუნიციპალიტეტის გმუშმაობ...

ვიპოვე ის ოჯახიც, რომელთანაც ბაბუა მეგობრობდა. იმ თაობიდან ცოცხალი არავინ არის, მაგრამ საოჯახო ალბომში არზაყანის ფოტოები აღმოაჩინეს, — ჩვენი 100 წელს მიტანებული ბებია ინახავდა, როგორც მისი მეუღლის უახლოესი მეგობრის ფოტოს; ბებია სულ ახლახან გარდაიცვალა, მითხრეს.

„არზაყან ემუხვარის მაშინდელი პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე, ღღევანდელ აფხაზეთში მასზე კარგის მთქმელი ძალიან ცოტა დარჩა... მან იმ რწმენით იცხოვრა, რომ აფხაზეთი მხოლოდ საქართველოსთან ერთად გადარჩებოდა... ის იყო სულით ხორცამდე „ქართველი აფხაზი“.

ნეტავა, ჩამესწრო ჩეხი ქალბატონისთვის, ბევრ რამეს გავიგებდი.

არზაყან ემუხვარი დიდი წნის განმავლობაში ედგა სათვეში ქართულ სათვისტომოს ჩეხეთში. მას შემდეგ, რაც ბოლშევკი გებმა პრაღაში შეკრებილ სათვისტომოში აგენტები შეუზავნეს, ბაბუამ იქაურობა მიატოვა და გარეუბანში, სათვისტომოს კუთვნილ მიწაზე დასახლდა. ემიგრაციაში მყოფი ემუხვარი, ყოველ წელს ადგილობრივ პოლიციაში მიღიოდა და ქვეყნიდან გაუსვლელობის პირობას ხელის მოწერით ადასტურებდა. მას მკაცრად აკონტროლებდნენ. ერთ-ერთ ოქმში წერია, — 58 წლის აფხაზმა თავადმა საქმაოდ ბარაქიანი მოსავალი აიღო, მაგრამ დაკონკრეტული არ არის, რისი მოსავალი მოიყვანა... რამდენიმე წლის შემდეგ, სიყრმის მეგობრებმა, აკაკი ჩხენელმა და კონსტანტინე განდელაგმა შესთავაზეს არზაყანს პოლონეთში ქართული სათვისტომოს კონსულობა. იმ წლებში პოლონეთში არსებული ქართული დიასპორა ძალიან გაედინებანი იყო. მქონდა მიმოწერა პოლონეთის არქივებთან, მაგრამ იქ ამ სახელისა და გვარის მქონე კაცი არ რეგისტრირდება. სავარაუდო, ის პილონეთში არ ჩასულა... არზაყან ემუხვარი პარიზში ჩავიდა 1939 წელს და უცცრად, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. სამედიცინო დასკვნაში საკვდილის მიზეზად სტაფილოკოკი წერია... მას ჰყავდა ორი ვაჟიშვილი — ვლადიმერ (კუჭიკო) და გვივი ემუხვარი. ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი დახვრიტეს 1938 წელს, ერთადერთი მიზეზით — ის არზაყან ემუხვარის შვილი იყო. იგი მხოლოდ 29 წლისა იყო, იცნობდა მთელი ქუთაისი, გამორჩეულ ახალგაზრდას მაღალი თანამდებობა ეკავა ქუთაისში. გივი ემუხვარი 90-იან წლებში გარდაიცვალა წევალტუბოში. მას ერთადერთი ქალიშვილი დარჩა, მარინა ემუხვარი, რომელიც ოჯახთან ერთად რუსეთში ცხოვრობს. გივი ემუხვარის დიდი ძალის მიზევის მიუხედავად, ბაბუას ნეშტის საქართველოში, აფხაზეთში გადმოსხენება ვერ მოხერხდა. შვილმა მხოლოდ აფხაზეთიდან აღებული ერთი პეშვი მიწა გაგზავნა, რომელიც ბაბუას საფლავზე მიმოაბნიერდა.

— ის ხომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ხელისუფლების წევრების გვერდით არის დაკრძალული?

— დიახ, ლევილის სასაფლაოზე, ნოე

շործանօսա და დანარჩენი თანამებრძოლების გვერდით. ბაბუაჩემის საფლაგზე წარწერაც წაშლის პირასაა. ადგილობრივმა ქართულმა სათვისტომ არზაყან ემუხვარის შესახებ თითქმის არაფერი არ იცის, რადგან დრომ მაინც თავისი გაიტანა და ის თაობა, რომელმაც ამის შესახებ იცოდა, აღარ არის.

— ვიცი, რომ ამისთვის აფხაზეთშიც იყავით ჩასული...

— დიახ, 2007 წელს ვიყავი სოხუმში, მაგრამ ზეპირი გადმოცემის გარდა ვერაფერი მოვიპოვე. ომის დროს არქივი მთლიანად დაიწვა და ყველაფერი განადგურდა. მისი მაშინდელი პოლიტიკური საქმანობიდან გამომდინარე, დღევანდელ აფხაზეთში მასზე კარგის მთქმელი ძალიან ცოტა დარჩა, რადგან მათი მოსაზრებით, „საქართველოსთან თანაცხოვრებას მოაწერა ზელი, რითაც აფხაზეთში ქართული საქმე გააკეთა“. იმ მცირე რაოდენობის აფხაზმა, ვისაც არზაყან ემუხვარი მტრად არ მიაჩნდა, მთხოვეს, წიგნი რუსულ ენაზეც მეთარგმნა, რათა ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. როდესაც ბაბუას წერილებს, საარქივო მასალებსა და დოკუმენტების კვითხულობდი, წამით არ გამჩენია ეჭვი, რომ თავისი ხალხის გამყიდველი არ ყოფილა. მან იმ რწმენით იცხოვრა, რომ აფხაზეთი მხოლოდ საქართველოსთან ერთად გადარჩებოდა. მას ქართველი მეუღლე ჰყავდა, ჩიგვაძის ქალი და სულით ხორცამდე „ქართველი აფხაზი“ იყო...

— ქალბატონო ნატო, რა იცით მის აფხაზ თანამოაზრეთა შესახებ?

— თითქმის არაფერი, გარდა იმისა, რომ თანამოაზრები ნამდვილად ჰყავდა. ისინი ან დახვრიტეს, ან გადაასახლეს. სანამ ამ წიგნზე მუშაობას დავიწყებდი, დიდხანს ვყოფმანობდი, მერე დახმარებისთვის ისტორიკოს გიორგი ანჩაბაძეს მივმართე. ბატონმა გიორგიმ მითხვა, 1917-1921 წლებზე ისტორიაში ძალიან ცოტაა შემონახული და ჯობს თქვენ დაწეროთ, როგორც მისმა შთამომავალმაო... გადაგწყვიტე, ფაქტები დამედგინა, ხოლო მისი ცხოვრებისა და ღვაწლის განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია... 2007 წელს ვიყავი აფხაზეთში, სოხუმში. ომის შემდეგ ეს ჩემი პირველი მოგზაურობა იყო მშობლიურ კუთხეში. გულმა არ მომითმინა და ჩემს ქუჩაზე, კომსომოლსკაიას გზატკეცილ-



გვია ემუხვარი

კლადიმერ (კუჭავა) ემუხვარი





არზაყან ემუნვარის საფლავი ლევილში



არზაყან ემუნვარი

ჸე შევიარე. ჩემი სახლის ფანჯარა და იყო
და თვალი მოუკარი ჩემს ჭაბს. ფანჯრუზეც
ისევ ის ფარდები ეკიდა, რომელიც დავტოვე...
ცუდად გავჩდი... გარშემო ერთი საცნობიც
არ შემხედრია. სოხუმში ერთ-ერთ ნაუსაგს
ვესტურებუ. მათ რძალი გუდაუთლი აფხაზი
ჰყავთ, ომის შემდეგ მოიყვნეს და არ ვიც-
ნობდი. ოუმცა ვიცოდი, რომ უკვე პატარა
ჰყავდათ, მეოთხეკლასელი ინალი და საჩუქ-
რები ჩავუტანე. დაგმეობრდით. მუსიკალური
ბავშვია და მთხოვა, თუ შეგიძლიათ, პიანინზე
დაუკარითო.

— ოოგორ მიგიღეს აფხაზმა მასპინძლებმა?

— ნორმალურად, აგრესია არ გამოუხატავთ. სუფრასათან ვისხედით, როცა ჩვენი რძალი თავისი ოჯახის ამბავს მომიყენა: — ერთადერთია მათ მყავდა, რომელიც ქართველებმა მომიკლეს; სრულიად შესძლებელია, თქვენი ქმრის ტყვიით იყოს მოკლულიო... ენა ჩამიკარდა. ჩემი ნათესავები ღუმდნენ. მხოლოდ პატარა ბიჭი მიეჭრა დედას და რაღაც ჩასჩურჩულა... გუდაუთელი აფხაზები კოველთვის რადიკალურად იყვნენ ქართველებისადმი განწყობილი, მაგრამ ასეთ რამეს მაინც არ ველოდი. ძლივს ამიღვლერდე — ეს ომი იყო! ომს კი კანონები არ აქვს; ჩვენმა ბიჭებმა, ქართველებს ვგულისხმობდი, იარაღი მხოლოდ გაგრის დაცემის შემდეგ აიღეს, საკუთარი სახლ-კარის დასაცავად, ასევე მოიქცა ჩემი ქმარიც-მეთქი... არ მახსოვს, როგორ გამოვედი ქეჩაში. ცრუმლს ძლივს ვიკავებდი. ვნაობდი, რომ აფხაზეთში ჩავედი. სახაპიროზე წასკლა დაგაპირუ, გულს გადავაყოლებ-მეთქი. ამ დროს ეზოში ჩემს პატარა ნათესავს მოგეარი თვალიო. არ ვიცი, როდის დამასწრო სახლი-დან გამოსვლა. ჩემთან მოიჭრა და მითხრა, — ტროლებუსამდე მიგაცილებთო. გზაში დიდი კაცფით შელაპარაკებოდა. მითხრა, — თქვენი შვილის გაცნობა მინდაო. მივხვდი, დედამისის სიტყვების გამო თავს უხერხულად გრძნობდა. დამშვიდობებისას ვკითხე, ქორწილში დამპატიუებ-მეთქი?.. — ჩვენი ნათესავი ხართ და მანამდეც მინდა, ჩვენთან ჩამოხვიდეთო... ზოგჯერ, როცა უმედობა შემიპყრობს, რომ აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია, იმ ბიჭის ანთებულ თვალებს ვიხსენებ... ვკელა გზა ჯერ კიდვე არ არის მოჭრილი...

ଲୋକାନ୍ତର ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପାଠ୍ୟଗୁଡ଼ିକ

უცნობი მისა ხელავილი


პოტსა და ქაშუცა ჩოლოფაშვილის თანამებრძოლსა და პოეტზე
მსატვრულ-დოკუმენტურ ფილმს იღებს. სათაური შერჩეული

მისა ხელაშვილზე, ქაშუცა ჩოლოფაშვილის თანამებრძოლსა და პოეტზე

კინოდოკუმენტულისტი რუსულან

შაიშმელაშვილ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს იღებს. სათაური შერჩეული ჯერ არ აქვს, თუმცა ამბობს, რომ ფილმი, რომლის გადაღებებიც უკვე მეოთხე წელია მიმდინარეობს, ქართველ მაყურებელს მხოლოდ მისა ხელაშვილის შესახებ შემორჩენილ დოკუმენტურ მასალას როდი გააცნობს. მასში პოეტისა და შეთქმულის ცხოვრების უწინიშვნელოვანესი მომენტები გაცოცხლდება.

როგორ გაჩნდა ფილმის გადაღების იდეა და როგორ იპოვა მოვიწყებული პოეტის მიზიწყებული მემკვიდრე — ამას „ისტორიანის“ მკითხველი თავას რუსულან შაომამლაშვილისგან შეიტყობს.



მისა ხელაშვილი

— რუსულან, მალე ქართველ მაყურებელს საშუალება ექნება, იხილოს ფილმი ქართველ პოეტსა და ქაშუცას თანამებრძოლ მისა ხელაშვილზე. ამ თვემით როდის დაინტერესდით?

— ყველაფერი 2008 წელს დაიწყო, როცა ვაჟა-ფშაველაზე გადავიდე ფილმი „რაზიკაშვილები“. ფილმის მომზადებაში აქტიურად იყო ჩართული ლელა რაზიკაშვილი. ფილმის პრემიერა ჩარგალში აღვინიშეთ. სუფრა ხევისძერთა გაიშალა. იქ შემთხვევით წავაწყდი ძველ „შავ წიგნს“, რომელსაც ქვერა „მისა ხელაშვილი“. მაშინ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებაში“ ვწუშაობდი. პირველად სიუჟეტის მომზადება გადავწყვიტე ტელეეკურნალ „კვირია ქასთვის“.

— თუმცა პროექტმა გაცილებით მასშტაბური სახე შეიძინა...

— დიახ, როცა მასალებს გავეცანი, გაჩნდა დოკუმენტური ფილმის გადაღების იდეა. მოხდა ისე, რომ ამ პერიოდში ეროვნულ ბიბლიოთეკაში მომქნება სანდრო შანიძემ, რომელიც ამავე თვემშე მუშაობდა. მას ხელაშვილის ბევრი ხელნაწერი პქონდა. ხელ-



მისა ხელაშვილის ხელნაწერი



თამარ ხელაშვილის არსებობა ყველაზე დაფიქცია

ნაწერები სანდროს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრის, ვანო ხორნაულის ვაჟმა, გიგი ხორნაულმა გადასცა. სანდრო შანიძისა და ხოსო ოხანაშვილის წყალობით, სეულ ცოტა ხნის წინ მისა ხელაშვილის ლექსების სრული კრუბული გამოიცა. ოთხასზე მეტი გვერდისგან შემდგარი სქელტანიანი ტომი, სადაც ასევე შევიდა ღოკუმენტური მასალა და მოგონებები მისა ხელაშვილზე. გამოცემის რედაქტორი კი პოეტი ტრისტან მახაური გახლავთ.

— როგორც ვიცი, სწორედ ფილმზე მუშაობისას აღმოაჩინეთ მისა ხელაშვილის ქალიშვილიც...

— მის პოვნაში ლელა რაზიკაშვილი დამჭმარა. ის მისა ხელაშვილის დის, სალომეს შვილთაშვილია. ჩვენ ერთობლივი ძალებით დავიწყეთ ფილმისთვის მასალების მოძიება. გაუარკვიეთ, სად ცხოვრობდა მისა ხელაშ-

ვილის ქალიშვილი. მე, სანდრო შანიძე და ჩვენი ჯგუფის რამდენიმე წევრი ჩავედით დედოფლისწერარში, ქვემო ქედში, სოფელში, რომელიც შირაქის გაკეზე მდებარეობს.

— მოულოდნელ სტუმრებს როგორ შევდნენ?

— ქალბატონი თამარი ყველას დავიწყებული ჰყავდა. აღარავის ახსოვდა, რომ მისა ხელაშვილის შეილი ცოცხალი იყო. თან საპატრიარქოს ტელევიზიის ოპერატორი მახლდა. ჩაწერეთ მასთან ინტერვიუ.

— როგორ ცხოვრობდა ქართველი პოეტისა და ქაქუცას თანამებრძოლის შთამომაგალი?

— გული მოგიკვდებოდა კაცს, ისეთი სანახაობა დაგვხვდა. ქალბატონ თამარს სახლი არ ჰქონდა. რეკინის ვაგონში ცხოვრობდა. სოფელში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იეღოვას მოწმე იყო. მათ შორის მისი შეილი და სიძეც. მისა ხელაშვილის ხელნაწერები და ნივთები დასაწვავად გაემზადებინათ. მაშინ ქალბატონმა თამარმა ხელში აიღო მამის ხელნაწერები და კამერის წინ თქვა, რომ მისა ხელაშვილის უნიკალურ წიგნებსა და ხელნაწერებს მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჩუქნიდა. წამოსვლისას დაგპირდი, რომ აუცილებლად ჩამოვიყვანდი თბილისში.

— დაპირების შესრულება როგორი აღმოჩნდა?

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სანდრო შანიძე კათოლიკოს-პატრიარქის დაცვის უფროსის, სოსო ოხანაშვილს დავაკავშირე. მის უწმინდესობას ყველაფერი ვუამბეთ და გადაწყვდა თამარ ხელაშვილის თბილისში ჩამოვანა. მართლაც, ჩამოვიყვანეთ თბილისში შარშანწინ. გზად ქაქუცა ჩოლოყაშვილის კიდევ ერთი რაზმელის, ალექსი ჯირჭარაულის დის ოჯახშიც შეიარეს. გადაღებული გაქვეს კათოლიკოს-პატრიარქთან მისი პირველი შეხვედრის კადრები და მთელი პასუხისმგებლობით ვაძბიო, პატრიარქმა თამარ ხელაშვილი სიკვდილის ბოლო წუთებამდე ხელის გულზე ატარა. შეახვედრეს უცხოელ დიპლომატებს, მედიას.

— საუბრისას აღნიშნეთ, რომ თამარ ხელაშვილი თითქმის 40 წელიწადი მოიწყებული იყო. საბჭოთა პერიოდში გასაგებია. შემდევ რა იყო ამის მიზეზი?

— აღარავის ახსოვდა არც მისა ხელაშვილი, არც მისი პოეზია და არც მისი შვილი. როცა ხელნაწერებს გადავხედე, აღმოგანინე, რომ ბევრი ლექსი, რომელსაც მანამდე გვაცნობდნენ, როგორც ხალხურს, სწორედ მისა ხელაშვილისა. მაგალითად „დედას უუყვარვართ შევიღები“.

— ამ ამბების გარდა კიდევ რა შევა ფილმში მისა ხელაშვილზე?

— რამდენიმე ხაზი გამოიყოფა — მისა ხელაშვილი პოეტი და ადამიანი, პატრიოტი და ასევე, ქაქუცა ჩოლოფაშვილი და 1924 წლის ამბები.

— როგორც ვიცი, მაყურებელი ფოლმიდან მისა ხელაშვილის გარდაცვალების რეალურ ერსიასაც შეიტყობს...

— ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებ, ერთ საცარ ამბავს მოგიყვებით. ბოლო რამდენიმე წელიწადია, 25 იანვარს, მისა ხელაშვილის დაბადების დღეს, საპატრიარქოდან მიღის დელეგაცია მის საფლავზე და პანშეიდს იხდის. მწერლები და პოეტებიც იკრიბებიან ამ დღეს. მამა თავმას ჩოხელი წირავდა. პანაშვილის გადასახდელად გარეთ გამოვედით და სმაური ატყდა. ყველას გაგვიკეირდა ჩოჩქოლი. ვიღაცა მამაკაცი ითხოვდა საფლავთან მისევლისა და აღსარების ნებას. აღმოჩნდა მისა ხელაშვილის მკვლელის შთამომავალი. წაიკითხა ლექსი და პირდაპირ თქვა, ჩემს გვარში მისი მკვლელიც ერიაო.

— და ვინ არის ხელაშვილის მკვლელი?

— მოდით ამ ეტაპზე ეს საიდუმლოდ დავტოვოთ. ამ ინტორმაციამ ჩენს გეგმებში ბევრი რამ შეცვალა. ფილმი იწევება ზუსტად ამ აღსარების სცენით. მისა ცხოვრებაზე გვიამბობს რუზველტ მარცვალაშვილი. უწევულოა, რომ მისა ხელაშვილი 1900 წლის 25 იანვარს დაიბადა და 1925 წლის 25 იანვარს, მისივე დაბადების დღეზე, მისივე მეგობრების ხელით მოკლეს კომუნისტებმა.

— მისა ხელაშვილის რამდენ ხელნაწერს მიაკვლიერ და მათი გადარჩნა როგორ მოხერხდა?


— დაახლოებით ორმოცდაათი ხელნაწერია. ამ ხელნაწერებს ვანო ხორნაული თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში კლდეში გამოჭრილ სპეციალურ სამალავში მაღავდა. რომ არა ხორნაულების ოჯახი, მათი გადარჩნა ვერ მოხერხდებოდა. ახლა-

ხან კი ისინი სანდორ შანიძეს გადაეცა. ვიდრე ქალბატონი თამარ ხელაშვილი ცოცხალი იყო, მისას რამდენიმე უცნობი ხელნაწერი, სახარება და დავითი გადასცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებს. ეს ნივთები უწინდესთან ინახება და აღბათ მოგვიანებით მეტებული გადაეცემა. ნაწილი კი უკან, ქვემო ქედში დაბრუნდა.

— რაც შეეხება ფილმს, რამდენი ხანია მიღის გადაღებები და რა ერქმევა მას?

— ფილმს მეოთხე წელიწადია ვიღებთ. ეს მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი იქნება. გაცოცხლდება მნიშვნელოვანი მოვლენები მისა ხელაშვილის ცხოვრებიდან. პროცესში ჩართულია სუხიშვილების ნაციონალური ბალეტი, მარჯანიშვილის თეატრი, ლელა და ზაზა რაზიკაშვილები. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ნინო და ილიკო სუხიშვილებს. უღრმესი მადლობა ბატონ დავით ჩუბინიშ-

მისა ხელაშვილის ხელნაწერი



ვილს, რომლის სახელის ხსენებაც ამ ფილმში უკვე წარმატებას ნიშნავს. სხვა რომ არ ვთქვა, ის „თუში მეცხვარის“ ერთ-ერთი აგტორი და მთავარი სცენარისტია. მან არა მხოლოდ ფილმის სცენარისტობა, მთელი ამ პროცესის კოორდინაცია იტვირთა. ფილმისთვის მუსიკას სპეციალურად წერს თოარ ყუფუნა. მისი მუსიკაც ახალ დეტალებს შეიტანს ფილმში. დიდი მაღლობა მინდა გადაუხადო ქველას დახმარებისთვის, სანდრო შანიძეს, თბილისის საკრებულოს, პატრიარქის დაცვის უფროს სოსო ოხანაშვილს, რომლის დამსახურებაა ქალბატონ თამარ ხელაშვილის თბილისში ჩამოყალიბებაც და მიხა ხელაშვილის თემის თავიდან გაცოცხლებაც. ფილმში შევა ის უნიკალური კადრები, როცა მიხა ხელაშვილის ქალიშვილი და პატრიარქი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

ესაუბრა ნინო ჯაფარიძე



თამარ ხელაშვილი და რუსუდან შაიშმელაშვილი თბილისში

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო...

მიხა ხელაშვილი

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,
თორო იქნება ვკედებოდე
და შენ კი ჩემად სახსოვრად
საქაოსა რჩებოდე,
გიმლერდნენ ჩემებრ სწორები,
ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე,
ქევანა მხიარულობდეს
და მე საფლავში ვლპებოდე.
ნეტავი, ჩემო სახელო,
დიდხანამც იხსენებოდე,
ჩემო ნათქვამო სიტყვაო,
შენამც კი გაპქევენდებოდე!
შენ, ჩემო საფლავის კარო,
შენამც კი აპყვავდებოდე!
სახლო, არ დაიშლებოდე,
ცოლო, არ გათხოვდებოდე...
ერთ ვეეც უნდა ვიკითხო,
ჩემს სიკვდილს ვინ იტირებსა,
ვინ ჩამააბნევს ცრუმლებსა,
საქმეს ვინ გაიჭირვებსა?!
ამასა ეფიქრობ და გულიც
ამასვე ანამდვილებსა:
დედის მეტს ჩემი სიკვდილი
არავის აატირებსა...
თუმც ნათესავნი, და-მმანი
აღარ აისხმენ ღილებსა,
ცოლიც ძალიან მიტირებს —
ქევანას გააკვირვებსა,
ცოტა ხნის შემდეგ ისიცა
სხვისა ჭირს გააღნინებსა,
სულ ყევლას დაგვიწყდები,
ყევლას სხვა დაატირებსა...
მე დედის გულში ვიქნები,
ძილსაც არ დაიძინებსა,
ვენაცვლე ძუძუს გამზრდელსა,
გულით ვე დამიტირებსა...
დედას უუყარებართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
იმითა გვტანჯავს გამჩენი,
სულ მუდამ გვაცოდვილებსა.

„გემრილი სტუმრები მყავს და რაცხას ვწიგნავთ...“

თუშეთის ქალთველების გზა
საკუთარი ვესვებისკენ



რეპორტაჟი მესამე

ოთხატის ხელმძღვანელი

ქართველი მეცნიერები კვლავ მარმარილოს ზღვისპირეთში ვართ, ინგოლის ილჩეში. როგორც წინა რეპორტაჟში აღვნიშნეთ, ინგოლს აქაურ პატარა საქართველოსაც უწოდებენ. სულ რამდენიმე დღე დაგვჭირდა, რათა ქართველ მუპაჯირთა შთამომაჯლებს თავისიანებად ჩავეთვალეთ. ინგოლში არაერთი მეგობარი დაგ წვდა, რომლებთანაც კარგა ხნის ურთიერთობა გაკაუშირებს სამეცნიერო შექვედრებიდან თუ სოციალური ქსელებიდან. ეცნობით „ახალ სახეებს“, ადგილობრივ მკვიდრთ, რომელთაც ისევე აინტერესებთ საქართველოს ამბები, როგორც ჩვენ — მათი. მოგზაურ ეთნოლოგთა უბის წიგნაკები და დიქტოფონები ჩანაწერებით ფქსება... ექსპედიციის დასრულების შემდგენ კი ერთმანეთს ისე ვეზმიანებით, როგორც დიდი ხნის ნაცნობი და ახლობელი ადამიანები.

ოსმალეთი და ქართველი ბარაზდალი

ინგოლის უკეთ გასაცნობად ერთი დღე ადგილობრივ მუზეუმს დაგუთმეთ, რომელიც მთელ რეგიონში გამოიჩინა ფონდების სიმდიდრითა და ისტორიული მასალების მრავალფეროვნებით. თვით მუზეუმი არცთუ ისე ძველია, მაგრამ აქ უძველეს ექსპონატებსაც შევხვდით.

დირექტორი აქაური კაცია, ნედიმ ბაირამი, ანუ როგორც თვითონ გვითხრა, „ქართულად ნოდარ ქავერაძე“, ჩემი ქოქი (ანუ ფესვი!) მახინჯაურიდან მოდისო. შენი ქოქი დაიღუპოსო, ხომ გაგიგონიათ, თურმე საიდან მოდის და რა ყოფილა ამ სიტყვის მნიშვნელობა!.. ნედიმს ამ ოცი წლის წინ დაუწყია

ექსპონატების მოძიება და სულ მალე იმდენად ბევრი და საინტერესო მასალა შეუგროვებია რამდენიმე ადგილობრივ ენთუზიასტთან ერთად, რომ ქალაქის ბელედიქს (მერიას) უყოფანოდ დაუთმია მისთვის ქალაქის ცენტრში კლასიციზმის სტილში ნაგები შენობა. მუზეუმში ეცნობით როგორც ოსმალეთის ისტორიას, ასევე რეგიონში ჩამოსახლებელი ბალკანელ-კავკასიელ მუპაჯირთა ყოფისა და კულტურის ამსახველ მასალებს. ჩვენი თვალი, რა თქმა უნდა, ქართულ მასალას ეძებს და პირველი, რაც „თვალში მოგვხვდა“, ძველებური ხის სკივრი იყო, ბორჯლალითა და გეომეტრიული ორნამენტებით დამშვენებული, როგორებიც საქართველოს მრავალ კუთხეში გვინახავს, გამორჩეულად აჭარაში...



ოსმალეთში განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ
სპილენძის საოჯახო ნივთებს, რომელთაც მუზეუმში
ცალქ კუთხე აქვს დათმობილი



ღომის, ბრინჯის, ხორბლის თაველების საცხველმა
დღეს ფუნქცია დაკარგა

ინგლისის მუზეუმში დაცულ ზის სკორჩე
ბრიტანულია გამოსახული. დეტალი



ექსპოზიციაში წარმოდგენილია ოსმალე-
თის იმპერიის პირველი ნაბიჯების ამსახვე-
ლი მასალები. ინგლისი ერთ-ერთი მძლავრი
პლატფორმი იყო, საიდანაც გაგრძელდა
თურქთა ძლევამოსილი სვლა კონსტანტინო-
პოლისკენ. ყურადღებას იკვრობს ოსმალთა
ყოფისთვის დამასახიათებელი არტეფაქტები:
სალხური კოსტიუმები, იარაღ-საჭურველი,
შრომის იარაღები. ოსმალეთში განსაკუთრე-
ბით ფართოდ იყენებდნენ სპილენძის საოჯახო
ჭურჭელს, რომელთაც ცალკე კუთხე ეთმობა.
აქვა უძველესი სამოსის ნიმუშები, მათ შო-
რის ქართულ ქალამნებთან მიმსგაცებული
წარები. მუზეუმში გამოყენებულია თანამედ-
როვე პერფორმანსის ხელოვნება: შჭედლის,
დურგლის, მეუნაგირის, ოქრომჭედლისა
და სხვა ოსტატთა სახელოსნოებში მთავარი
„ადგილი“ სწორედ მათ ფიგურებს უკავიათ.

ყურადღება მიიჰყორ დანადგარმა, რო-
მელიც არყის სახდელი გვეგონა. ნედიმს
შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენი გაოცება
და განგვიმარტა, რომ ეს კომპლექსი (ქვაბი,
ზარფუში, გვევა და სხვ.) ვარდის სურნე-
ლოვანი ზეთის სახდელია. ვარდისგან ზეთს
ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში
წელიწადში ერთხელ, დაღენილ დროს ხდიდ-
ნენ, იმპერიის მოხელეთა მკაცრი ზედამზედ-
ველობით. პროცესის დასრულებას შემდგომ
ჩაფრები საგანგებო საიმპერიო ბეჭდით და-
ლუქავდნენ სახდელს და მომავალ გამოხდამდე
ხელს ვერავით ახლებდა. ეს მოხობოლიაც იყო
გარდას ზეთხე და მეორეც, ერთგვარი „დაზღ-
ვევაც“, რომ კომპლექსი ვინმეს მუსლიმთა
ქვეყანაში აკრძალული არყის სახდელად არ
გამოყენებინა.

ცოტა კი გაგვიგრძელდა მუზეუმის ექს-
პონატებზე მსჯელობა, თუმცა გვერდს ვერ
ავუვლით ჩამურს — როგორც ქვის, ასევე
ხისგან დამზადებულ ტრადიციულ ქართულ
საცხველს (კაკუტებით), რომელიც მთელ
დასავლეთ საქართველოში იყო გაფრცელებუ-
ლი. სხვათა შორის, ტაო-კლარჯეთში, ასევე
აჭარაში მსგავსი საცხველი დღეს მრავალ
კარ-მიდამოშა შემორჩენილი, ოღონდ უფუნ-
ქციოდ, როგორც ინგლისის სოფლებში.

ინგლისი მთელ თურქეთში ზის დამუ-
შავების მძლავრი ცენტრია. ალბათ ამანაც
განაპირობა, რომ ამ ქალაქშივე ეწყობა ზის
დამუშავებისა და ავეჯის მუზეუმი.

„ბათუმიდან ბათუმისამართი“ ანუ

სავაში თურქულად ომს ითხოვს

მომძევნო ღლებში გვმასპინძლობდნენ ბურსა-ინჯოლის სოფლები: ყაზელი (პამიდიე), სულიე, ფილმიე, საადეთი, მესრური, ბარჩეკაია... ყაზელში აბდულაპ თათაროლლუშ თავისი ნაშრომი დაგვაწევდორა. „ბათუმიდან ბურსამდე“ — ასე ითარგმნება წიგნის სათაური, რომელიც ქართველ მუკაჯირთ შთამომაფალმა თავის წინაპართა საშმობლოს — ბათუმს და ახლა შშობლიურად ქცეულ ბურსას მიუძღვნა.

აბდულაპ თათაროლლუ: „მეტყველება მაქსე, მაგრამ მართალია ზოგ ალაგზე ვერ მოვაფერებ, ჩვენი დიდგანები, დედები 1877 წელს მოსულან ღორჯომიდან. დიდი სავაში გაჩენილა (სავაში პოპულარული თურქული სერიალის გმირი არ გეგონოთ, თურქულად ომია. — ნ.შ.). რუსებს გამოვერიდეთ, სანამ აქ მიგიდეს, ორ-სამ ალაგას დამჯდარან, სიმინდი უთესიათ, ვერ მოუყვანიათ... ეს ადგილი შეურჩევათ, ტყიანი, მდელონიანი... ტყეში თელათ წიფელია. იქაური სახელები აქ გადმოუტანიათ: ცოტყარო, ღუდგულები, განგზა, კინტრაკოხი, გამოხურტილი კოხი, კოხელე, ჩარჩხალები, მუხნარი... პირველ მსოფლიო ომში ჩვენგან 72 კაცი წასულა. მარტო ოთხი გადარჩენილა. ჩანაქალეს (დარდანელის სრუტის) დაცაზე ჩახოცილან. მათი გვარების ქვეშ წერია ბათუმელებიო (ასე იყო, კველა მუკაჯირს იმ დროისთვის ბათუმელებად მოიხსნიერდნენ. — ნ.შ.“).

ათათურქის დროს ქართველ მუკაჯირებს მაინცდამაინც არ ულხინდათ. სკოლებში ქართულად ლაპარაკი იკრძალებოდა. „მასწავლებლები გონჯი (ანუ ცუდები) არ იყვნენ, მაგრამ ბრძანება ჰქონდათ ასეთი. ოსმალეთის დროს კი შენ რაცხაუერ გინდონდა, ისე ილაპარაკებდი... ეს ათი წელიწადია ბევრი რამე შეიცვალა, ახლა ქართულ კითხვასაც ვსწავლობთ“, — ესეც აბდულამ გვითხვა.

აბდულას ბევრი უმუშავად თავის წიგნზე, თურცა კი გული სწოდება, რომ ზუსტად ვერ დაუდგენია საკუთარი გვარი და დღესაც ემებს თავის ფესვებს ღორჯომში (ხულოს რაონი). წიგნში კურადღება მიიქცია ფოლკლორულმა მასალებმა. ავტორს ჩაუწერია მხცოვანი თანასოფლელებისგან საწესჩეულებო და რიტუალური ღეჭვები, რომლებიც ძალიან ახლოსაა ქართულ ფოლკლორთან.



აბდულაპ თათაროლლუ (მარც ხნიდან) თბილისში, დაცის ქვეშ მუზეუმში დაზი თსტატების მიერ აგებულ მიერული პალატიანი სახლის წინ

ლაზარია, ლაზარია,
ლაზარ კართან მიღეომია,
აღვარგალებს თვალსა,
ქვეწება ღმერთსა:
ღმერთო მოგვეც წვიმაწყალი
შიგვინახე ზიზათვალი.

ეს ლაზარობის რიტუალისადმი მიძღვნილი ლექსია, გვალვიან ღლებში კარდაკარ რომ ჩამოიყლიან და ღმერთს წვიმას შესთხოვენ. ეს კიდევ სევდიანი სატრუიალო სამღე-

ნედიმ ბაირამი (ნოღარ ქუჯარაძე): ამ „არყის სახელელით“ ოსმალები გარდის ზეთს ხდიდნენ, ამ „სარწყე ბოცაშიც“ გარდას ზეთს ასხამდინენ





ჩ ვ ე ნ ი ა ხ ა ლ ვ ა ზ რ დ ა მ ა ს პ ი ნ ძ ლ ე ბ ი

რაა, რომლის მსგავსსაც დღესაც გაიგონებთ აჭარის მთიანეთში:

ღელვალმაია ჩ ვ ე ნ ი ს ა ხ ლ ე ბ ი
მოქტენ ძველები, დარჩენ ა ხ ლ ე ბ ი,
თეთრო მამალო რატომ ა რ ყ ი ვ ,
ლამაზო ქალო შენ რატომ ტირი .

შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე
ლამაზო ქალო, შენ გამახარე ...

ა ბ ლ უ ლ ა პ ი ა მ ზ ა ფ ქ უ ლ ს თ ბ ი ლ ი ს შ ი ც გ ვ ე ს ტ უ მ რ ა , ლ ი ა ც ი ს ქ ე ე შ მ უ ზ ე უ მ შ ი ქ ა რ თ უ ლ ი
ს ა ხ ლ ე ბ ი მ ო ი ნ ა ხ უ ლ ა , ა ჭ ა რ ი ს კ უ თ ხ ე ს დ ი დ -

ხ ა ნ ს უ ტ რ ი ა ლ ა ... კ ი დ ე ვ გ ე ს ტ უ მ რ ე ბ ი თ , ჩ ე მ ს ქ ა ლ ი შ ვ ი ღ ლ ე ბ ს ა ც ჩ ა მ ღ ი ყ ვ ა ნ , მ ი ნ დ ა მ ა თ ა ც ნ ა ხ ო ნ ჩ ვ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ღ ი ...

ქ ა რ თ ვ ლ ი ც ა ღ ი

ა მ ს ი ღ ლ ე ბ შ ი , მ უ პ ა ჯ ი რ თ ა მ ე მ კ ვ ი ღ რ ე -
შ თ ა მ მ ა ვ ლ ე ბ თ ა ნ ს ტ უ მ რ ო ბ ი ს ა ს , მ ე ტ - ნ ა კ -
ლ ე ბ ა დ შ ე ს ა მ ლ ე ბ ე ლ ი ა პ ი რ ვ ე ლ ი დ ა მ ე ო რ ე
თ ა მ ბ ი ს მ ი გ რ ა ნ ტ ე ბ ი ს ფ ი ფ ი ს ა დ ა კ უ ლ ტ უ რ ი ს
ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს ა ღ დ გ ე ნ ა . ი მ ი ს გ ა მ ო , რ ო მ ა ხ -
ლ ი გ ა რ ე მ ო პ ი რ ო ბ ე ბ ი ხ შ ი რ ა დ მ ა თ ი ძ ი რ ძ ვ ე ლ ი



**ს ო ჯ ე ლ
მ ე ს რ უ რ მ ი ა მ
პ ა ტ ა რ ე ბ მ ა
გ ა მ ა რ თ ვ ლ ი
ქ ა რ თ ვ ლ ი თ
გ ა ვ ა რ ც ე ს დ ა
ს უ კ ე ნ ი რ ე ბ ი ც
„დ ა ი მ ს ა ხ უ რ ე ს“**

სოფლებისას პგავდა, ძველებური რჩებოდა მეურნეობაცა და შრომითი ჩვევებიც, განსაკუთრებით, გადმოსახლების პირველ წლებში.

ძირითადი სამეურნეო კულტურა თავდაპირველად სიმინდი გახლდათ, რომელიც უმთავრეს მარცვლეულს წარმოადგენდა. შავი ზღვისპირეთში სიმინდთან ერთად მოპყავდათ ღომი, ბურსა-გემლიკში კი ზეთისხილი აითვისეს. ხორბალი და ქერიც მოპყავდათ პარკისან და ბოსტნეულ კულტურებთან ერთად.

სიმინდის გამარგვლისას და განსაკუთრებით მოსახლის აღებისას, მათ შორის ღომისა და სხვა მარცვლეული კულტურებისა, „ნადის დაძახება“ იცოდნენ. მოტეხილ ტაროებსა და ღომის თაველებს ნალიაში ახმობდნენ. ნალია მარმარილოს ზღვის რეგიონში შედარებით სადა იყო, ვიდრე ლაზეთში, მურღულში ან აჭარა-გურიაში. თანაც ყველას როდი ჰქონდა მღრღნელებისგან დამცავი ორგო ანუ მურგვალი დატანებული. გახმობის შემდეგ ნალიაშივე იცხვებოდა მარცვლეული ტაკვეცით, კობერაი (ნაქუჩი) იქვე რჩებოდა. მარცვალი ჭიჭინებიდან (სპეციალური ლიობებიდან) დაბლა ცვიოდა და იქ გროვდებოდა.

გადასახლებულებმა სახველის დაშაადების წესიც კი თავიანთი ჩაიტანეს. ბოლო დრომდე მართავდნენ ჯილდას, ანუ გუთანს, რომელშიც უღელი ან ყევარი (ორ უღელი) ხარ-კამერი ებმებოდა. მოსავალს ნამგლით იღებდნენ. მეისას ხის სათითერებს იყენებდნენ. ერთ ხელეურს (მომკილი ხორბალი, რაც ცალ ხელში დაეტევა) ჭელს ეძახდნენ, მეორეს თუ მიუმატებდნენ — გუარალის. ძნები ხარმან-კალოზე გაიშლებოდა, სადაც ხარებშებმულ კაიჯებიან (კაჯებიან) კევრს მართავდნენ.

მუპაჯირთა სოფლებში აუცილებლად იყო ღელეზე წისქვილი, ზოგჯერ რამდენიმეც. ჰქონდათ სამჭედლოც, სადაც იჭედებოდა ჯილდას სახნისი, ნამგალი (მანგალი), ქართული ნაჯახი, ცხენ-ხარის ნალები თავისი ლურსმან-ყაირებით, ქარჩი (ვიწროპირა სამარგლი), თოხი...

გამორჩეულად საინტერესო იყო აჭარის, — ჭვანის ხეობის სოფლებიდან გადმოსახლებულთა მიერ გამართული წისქვილისა და წყლის დაზგის კომპლექსური დანადგარი სოფელ ჰილმიეში. წყლის ნაკადი ჯებირიდან დიდი წნევით მოედინებოდა („თავდაღმართში

დასისინდებაო“) ღურნეთი, ანუ ხის გვიმის მილით. ამ მილს ბოლოში ორი „მუშტუკა“ (წყლის ჭვალის გამოსასვლელი) ჰქონდა. ერთი წისქვილის ბორბალს აბრუნებდა, მეორე კი გობების, სანაფ-ქვიჯებისა და სუფრა-ვეტერების მოსახვე წყლის დაზგას დაეცემოდა. წისქვილთა უძეტესობა დღეს დაუქმებულია, თუმცა აქა-იქ კიდევ შეხვდებით.

ბოლო დროს აქაური მოსახლეობა ძირითადად ქალაქებში გადასახლდა, ილისა და ილჩეს ცენტრებში, სოფლად 20-30% თუ იქნება დარჩებილი. აღარც ისინი და აღარც ქალაქიდან მობრუნებული პენსიონერები იტევირთვენ თავს სიმინდ-ლობიოს დიდი ყანების მოვლით მცირე ბალ-ბოსტნითა და ხეხილითაც ქმაოფილი არიან. საკმაოდ მაღალ პენსიასაც იღებენ — 1.000 ლირასა (დაახლოებით 820 ლარს) და მეტს, ამიტომ აღარ უღირთ „წყლებათ“.

წისქვილის დეტალების ტრადიციული სახელები კვლავ ახსოვთ. ზანდუდი ანუ ხვიმირი, ხარო, სარეკელა, დიაფერა, ლულა (მუნდშტუკი)...

„ნერგები“

შმობლიური მიწიდან აერილმა ქართველებმა არა მხოლოდ ჩვენებური ჯილდის (სახველის) დამზადება-გამართვის წესი, არამედ იმ ხისა თუ გზის თითო-ოროლა ხერგიც გაიყოლა, რომელთა შელვაც, იცოდნენ, რომ გაუჭირდებოდათ.

ჰოდა, დღეს ყურძენიც მოპყავთ აქაურ ეს ჭადარი მუპაჯირებს 1902 წელს დაუწევთ..





ისმერთ ათაში ბურსის რეკონსტრუქციული ქართველობა
განსახლების აღვილების გვიჩვენებს



ქაუც ქაზის ოლიხნარი

გოლჯუქის პაზარში



40 აოგზაური ეთნოლოგი 2013

სოფლებში. მართალია ზეარსა და ვენახს ერ შეხვდებით, მაგრამ ვაზი კველა კარ-მი-დამოს ამშენებს. უძტესად გაფრცელებულია დასავლეთი საქართველოსთვის დამახასიათებელი ხეივნ-ტალავერის ერთ-ერთი ფორმა, ოლიხნარი (როცა ვაზის მაღალ ტანს უქმნიან და საყრდენია გრძელ, გატოტებილ მარგილებს უდგმენ).

ბუნებრივია, თურქეთელ ქართველთა სოფლებში გამორჩეულ ყურადღებას ვაზის კულტურისადმი იჩენ. მისი გაფრცელების სიხშირესა და ჯიშების მრავალფეროვნებას ქართულს ადარებ.

სოფლებში მოგზაურობისას ჩვენი ყურადღება გადაკაფულმა ბებერმა ხეებმა მიიქცის. როგორც მასპინძლებმა ერთ-ერთი ასეთი მსხლის ხეზე მიგვანიშნეს, იგი მათ ძალიან შორეულ წინაპარს აჭარიდან წამოულია და აქ დაურგვეს...

სხვათა შორის, ქართული ხეჭყჭური და კალოს მსხალი, სარულადა და თვერეჯული, ჭანურა და ბოქმუა აქაურ სოფლებში ჯერაც არ დავიწყებიათ. ვაშლიც ძალიან ჰგავს ჩვენებურს... თუმცა კი დღეს უკვე ძველ ჯიშებს ვეროპული და ამრიკული ჯიშები ენაცვლებიან. როგორც ქართლის სოფლებში, აქაც შექვდებით გოლდენ დელიშეს, რედ დელიშეს, სტარკომსონსა და პოპულარულ მწვნე ვაშლს.... მეტიც, ვაკე ადგილებში უზარმაზარი ფერმერული მეურნეობებია გამართული, სადაც მოპყავთ ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, კომშის თანამედროვე სელექციური ჯიშები.

ზეთისხილი ათენა პალადასბან

მითი, რომ ათენის აკროპოლისში ზეთისხილის ღვთიური ხე ღმერთქალმა ათენა პალადამ დარგო, თურქეთშიც პოპულარულია. ასევე პოპულარულია თვით ზეთისხილი, რომელსაც აქ ზეთიუნს ეძახიან. ზეთისხილის ბაღები ქართველ მუჭაჯირთა შთამომავლების ერთი ნაწილისთვის ისეთივე შშობლიური გამხდარა, როგორიც სხელთაშუა ზღვისპირეთის ძველი ხალხისთვის. მთელ თურქეთში საუკეთესოდ მიაჩნევენ ბურსა-გემლიკის ზეთისხილს. მისი ნაყოფისან დამზადებული პროდუქცია საქმაოდ მრავალფეროვანია. იქნება ეს ზეთიუნის არაჩვეულებრივი ზეთი, ზეთისხილი (შავი თუ მწვნე) დამწნილებული, კურკით, უქურკოდ, ბულგარული წითელი წი-

ფერდობები,
გორაკები და
მუქიც კა
ზეთისხილისა
და თხილის
პლანტაციებს
აუთვისებათ



წაკის სატენით, სანელებლებით.. გემლიკში კი ჭეთისხილის პასტაც გაგასინჯეს (მართლაც გემრიელი გამოდგა აქაური დელიკატესი!) და სუვერინადაც გამოგვატანეს.

თურქეთში ჭეთისხილის დედაქალაქად ბურსა ითვლება. ჭეთისხილის კულტურა აქ ანტიკური ხანიდან მოსდგამთ. პლანტაციები განვითნებია არა მხოლოდ ვაკე აღგილებში, არამედ ისეთ ფერდობებზე და ზოგჯერ მთაშიც კი, სადაც ჩვეულებრივ ბუნებრივი ტყებუქჩარი უნდა ხარობდეს. ჭეთისხილის ხე სიცოცხლისუნარიანობითაც ხასიათდება. მისი პლანტაციების დათვალიერებისას თვალში საცემა ბებერი, დაკოურილი, მსხვილი ხეები, რიმლებზედაც ახალგაზრდა ნაზარდია წამო-დებული. ბევრი ასეთი ხე, როგორც გვითხრეს, 500, 600 და მეტ წელიწადსაც ითვლის. ჭეთისხილის სიცოცხლის საიდუმლო ასე აგვისნეს: ყველაზე ბებერ ხესაც კი შენარჩუნებული აქვს ქსოვილი, საიდანაც ნორჩი ნაზარდები ამოიყრება ხოლმე. თვით ტანი დროთა განმავლობაში შეინიდან კვდება, ფუღურულებდა, ხოლო გარეთა ნაწილი მუდმივად განახლების პროცესშია...

...გემლიკში ვართ. ჩვენი მასპინძელი ისმეთ ათაში აქაურ ტრადიციებზე გვიმბობს. ჩვენც ვიწერთ, ვეკითხებით, მის კითხვებსაც ვპასუხობთ. მასაც ჩვენზე ნაკლებად როდი აინტერესებს საქართველოს ამბები. მეზობელი ქმიანება, — ისმეთ ბეი, რას საქმობო.

— გემრიელი სტუმრები მყავს და ჩვენებურებზე რაცხას ვწიგნავთო! — უპასუხა და ჩვენს მთხოვნელებს კიდევ ერთი გურჯი შემოუერთდა.

ნოდარ შოშიტაშვილი

ისტორიის დოქტორი,
პროფესორი
(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ახ „უკავშირდებან“ საქართველოს თურქთული ქართველები





გიორგი გურჯაევ პრუდონი



(მარცხნიდან) ალექსანდრე გაბუნია, გიორგი გოგელია, გარლაშ ჩერქეზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანიშვილი, მახაკო წერეთელი

ანარქისტები საქართველოში

სახელგანთქმულ წიგნში „რა არის საკუთრება?“ ფრანგ ფილოსოფოსის, ანარქიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელ პიერ-ემზეფ პრუდონს დაალოგი მოჰყავს. მაგან მკითხველს თითქოს აქტორის პარტიული თუ მსოფლმხედველობრივი კუთვნილების დადგენა სურს.

„თქვენ ხომ რესპუბლიკელი ხართ? — ეკითხებან პრუდონს, მაგრამ მისი განმარტებით, რესპუბლიკელობა მეტისმეტად ზოგადი ფრაზაა და არ გმოღვება პასუხის გასაცემად.

— კარგი, მაშ, დემოკრატი ხართ?

— არა!

— როგორ, ნუთუ თქვენ მონარქისტი ხართ?

— არა!

— კონსტიტუციონალისტი?

— ღმერთო დამიფარე! კიდევ და კიდევ არა!

— მაშ, ვინდა ხართ ბოლოს და ბოლოს?

— მე ანარქისტი ვარ!“

ეს იყო პირველი შემთხვევა ევროპაში, როცა პოლიტიკურმა მოღვწემ საჯაროდ და გამომწვევადაც კი აღიარა ანარქისტობა.

* * *

„რა არის საკუთრება?“ 1840 წელს გამოიცა პარიზში და სწორედ ეს თარიღი შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკური ანარქიზმის დასწევისად. ანარქიზმი ფართოდ გავრცელდა ევროპის ქვეყნებში და XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის იმპერიასაც მოედო. ბოლოს და ბოლოს, ანარქიზმის მამამთავართა სამეცნიერო ფრანგ პრუდონთან ერთად, რუსი ემიგრანტები — მიხაილ ბაკუნინი და პიოტრ კროპოტკინი იყვნენ.

სწორედ იმავე დროიდან ცალკეულმა ანარქისტულმა იდეებმა საქართველოშიც იწყო თანადათან შემოდინება. უცნაურია, მაგრამ პირველად, ჯერ კიდევ 1863 წელს, პრუდონის ნაშრომი „სიღარიბე“, როგორც ეკონომიკური პრინციპი „ითარგმნა და გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის სურნალ „საქართველოს მოაბეჭმი“. როგორც ჩანს, ილია დაინტერესდა ფრანგი მოაზროვნის ეკონომიკური თეორი-



ბიზნესის გენი

ადამიანები, რომლებმაც
მსოფლიო ბიზნესში
გადატრიალება მოახდინეს



MICHAEL BLOOMBERG

SHELDON ADELSON

BILL GATES

HARRY FORD

ნიმუშის სერია

გაზეთ

სიახლე

-სთან ერთად



თვეში მრავარი



ნიმუშის ფასი : **3 ლარი**
მაჩვენებელი ერთაშე : 4 ლარი




მათი წარმატების საიღზალო მანი სტილურისტვის!



მიხაილ ბაკუნინი

პიოტრ კროპოტკინი



ით, რომელიც „მიუტიულიზმის“ სახელით იყო ცნობილი. ეს თეორია ასაბუთებდა, რომ თუ დარიბი ინდივიდები გაერთიანდებოდნენ, საერთო შრომითა და ურთიერთდახმარებით შეძლებდნენ გაჭირვებისგან თავის დაღწევას. ილიას სოციალისტური და მით უფრო ანარქისტული მოძღვრებანი არ აღვლებდა, მაგრამ ყველა მსოფლმხედველობაში იმას ეძებდა, რაც მის ქვეყანასა და ხალხს ოდნავ მაინც გამოადგებოდა.

როგორც სოფრომ მგალობლიშვილი იხსენებდა, მიუხედავად იმისა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახალგაზრდა გიმნაზიელებს პირზე ეკვრათ პრუდონის, ბაკუნინის, კროპოტკინისა და სხვათა სახელები, ამ პერიოდში ანარქიზმის ქართულ პრესში კანტიკუნტად მოიხსენიებდნენ. ამ ცნობებსაც სენსაციური ამბის იერი დაკრავდა. 1893 წლის თებერვალში „ვერა“ აუწევდა მკითხველს, რომ საფრანგეთში დაუპატიმრებიათ ვინმე ვ. ნაკაშიძე, რომელიც თურმე „ანარქისტების გუნდს ეკუთვნოდა“. სამოცაანელი ნიკო ნიკოლაძე უნდობლად უყურებდა ანარქისტთა საქმიანობას და მაჩნდა, რომ ანარქიზმს ახასიათებდა დამანგრეველი ტენდენცია, ხოლო ახალს არაფერს იძლეოდა. ქართველ საზოგადოებაში ანარქისტის სახელი ერთი მხრივ თვისეუფლებისთვის მებრძოლი კაცის რომანტიკულ საბურველში იყო გახვეული, ხოლო მეორე მხრივ — ტერორისტთან გაიგვებული.

მიუხედავად ამისა, საქართველომ ორი გამოჩენილი ანარქისტი აჩუქა მსოფლიო ანარქიზმის ისტორიას. პირველი იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი, პიოტრ კროპოტკინის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მიიჩნეოდა ვეროპული და შემდგომში მსოფლიო ანარქისტული მოძრაობის ერთერთ ლიდერად. ვარლამ ჩერქეზიშვილი 1876 წლიდან ცხოვრობდა საზღვარგარეთ, ძირითადად ინგლისში. კროპოტკინთან ერთად იგი შვეიცარიაში, საფრანგეთსა და ინგლისში გამოსცემდა ანარქისტულ გაზეთებს, აქვევნებდა სტატიებს. პარეგლი წიგნი უენევაში გამოსცა 1881 წელს და რუსულ რევოლუციურ რეალობაში პირველად წამოჭრა ეროვნული სახელმწიფო ბრიობის აღდგენის საკითხი.

80-იან წლებში გარლამ ჩერქეზიშვილმა სახელი გაითქვა მარქისიზმის წინააღმდეგ კრიტიკული წერილებით, რომლებიც ქვეყნებოდა ლონდონში გამომავალ ანარქისტულ გაზეთ Freedom-ში („თავისუფლება“). 1896 და 1899 წლებში გარლამ ჩერქეზიშვილმა ორი ნაშრომი გამოაქვეყნა: ინგლისურად — „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“ და ფრანგულად — „სოციალიზმის წინამორბედები“. მათში ქართველი ანარქისტი მრავალრიცხოვან წყაროებზე დაყრდნობით ასაბუთებდა, რომ მარქისმა და ენგელსმა თვიანთი დებულებები გადაიღეს, ხშირ შემთხვევაში კი მითვისეს ადრინდელი ვეროპელი მოაზროვნებისგან, ხოლო სახელგანთქმული „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ იყო ცნობილი ფრანგი ფურიერისტის, ვიქტორ კონსიდერანის ნაშრომის პირწმინდა პლაგიატი. ნაშრომებმა ნამდვილი სკანდალი გამოიწვია საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში და სწრაფად ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის ჩინურად და იაპონურად. რუსულად ვარლამ ჩერქეზიშვილის ორივე წიგნი ითარგმნა გაერთიანებული სათაურით: „მარქისიზმის დოქტრინები“ და ოთხჯერ გამოიცა.

მეორე ქართველმა ანარქისტმა გიორგი გოგელიამ 1903 წელს უქნევაში გამოსცა პირველი რუსულენოვანი ანარქისტული გაზეთი „ხლები ი ვოლია“. გაზეთი ვრცელდებოდა რუსეთის იმპერიაში, ხოლო მისა რედაქტორის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა რუსეთში ანარქიზმის, როგორც პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა გიორგი გოგელია, ანუ როგორც მას მოიხსენიებდნენ რუსოლუციურ წრებში — ორგენანი, აქტიურად თანამშრომლობდა შევიცარიულ, ფრანგულ, ამერიკულ და სხვა ქვეყნების პრესაში, რის გამოც იგი ჩვეულებრივად მოიხსენიებოდა ვეროპული ანარქისტული მოძრაობის თავკაცა შორის.

1905-1906 წლებში გარლამ ჩერქეზიშვილი და გიორგი გოგელია საქართველოში ჩამოვიდნენ. საერთაშორისო მასშტაბის ორივე ქართველი მოღვაწის ჩამოსვლამ საქართველოში ანარქისტული მოძრაობის ნამდვილი ბუმი გამოიწვია. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ანარქისტული ჟურნალის გამოიცა ანარქისტული ჟურნალ-



მახაკო წერეთული მუკობრებთან ერთად.
ლაბაბციგი, 1914 წ.

გაზეთები: „ნობათი“, „ხმა“, რომლებიც სულ მალე აკრძალა მთავრობამ. მათ შემდეგ მაინც გამოვიდა „მუშა“, მერე „ქარიშხალი“, მოგვიანებით კიდევ — „ცის ნამი“. პრესა ანარქისტულ იდეოლოგიას ასაბუთებდა. 1906 წელს თბილისში გამოქვეყნდა გიორგი გოგელიას ძმის, შალვა გოგელიას მცირე ბროშურა „ჩვენი მტრები და მეცნობრები“, რომელშიც ანარქისტული მაქსიმები საზოგადოებისთვის თავზარდამცემად იყო თავმოყრილ-დახვაცებული:

ყველა კაცობრიული ბოროტების სათავედ და ძინებად ცხადდებოდა სახელმწიფო და მისი დანგრევის აუცილებლობა იყო მიზნად დასახული;

უარყოფილი იყო ყოველგვარი პოლიტიკური ორგანიზაციის, პოლიტიკური პარტიის, კანონების საჭიროება;

თუ ერთ დროს პრეუდონი კერძო საკუთრებას ქურდობას უწოდებდა, დღეს ანარქისტები



ნეტორ კალანდარიშვილი

დომინიკა ერისთავი (განდუილი)



კერძო საკუთრების დაუყოვნებლივ გაუქმებას მოითხოვდნენ;

დაგმობილი იყო საზოგადოება, ოჯახი, ტრადიციები, საეკლესიო იერარქია...

ანარქისტების ზღვარდაუდებელმა მაქ-სიმალიზმმა ქართველი ანარქისტები ორ ბანაკად გაყო: ერთ მხარეს აღმოჩნდნენ კოს-მოპოლიტი ანარქისტები, მმები გოგელების მეთაურობით, რომელნიც ზემოაღნიშნულ მაქსიმებს ქადაგებდნენ. მეორე მხარეს თავშე-კავებულთა, ზომიერ ანარქისტთა ბანაკს ვარ-ლამ ჩერქეზიშვილი წარმართავდა. ამ ნაწილს პატრიოტ-ანარქისტთა ბანაკიც შეიძლება ვუწიდოთ. როგორც ცნობილია, ვარლამ ჩერ-ქეზიშვილი დიდ ბრძოლას ეწეოდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროპაგან-დისთვის, ჯერ ავტონომიის ფორმით, შემდეგ კი დამოუკიდებლობისთვის.

ეს ორი ბანაკი თავდაუზოგად შეეტაკა ერთმანეთს, თითქოს ერთი მსოფლმხედველობის წარმომადგენელნი კი არა, ერთმანეთის მოსისხლე მტრები ყოფილიყვნენ. ამ მხრივ მმებმა გოგელებმა ყოველგვარ ზღვარს გა-დააჭარბეს: ცილისმწამებლური, შეურაცხე-ყოფელი, უდიერი ტერმინებით, მიმართვებით, ტონით. ამ მხრივ ისინი სოციალ-დემოკრა-ტებს არ ჩამოუვარდებოდნენ და აჭარბებდნენ კიდეც. კოსმონანარქისტები არც მუშტი-კრიზ-ზე ამბობდნენ უარს. ძეგლი რევოლუციონერი ქალი ელიზავეტა კოვალსკაია მარქისტებისა და ანარქისტების დაპირისპირებას ასე აღ-წერს: „დისუტები გადაიზრდებოდა ხილმე გააფთრებულ ლანძღვაში, ხოლო შემდეგ იდეური წინააღმდეგობა ფიზიკურ ბრძოლად იქცეოდა, როცა ქართველი ანარქისტები და ქართველი მარქისტები ხელს მიჰყოფდნენ თვეიანთი ოპონენტების განადურებას ისეთი „არგუმენტებით“, როგორიცაა მაგიდები, გრაფინები და ხელში მოხველრილი სხვა სა-შუალებები“.

გარდა პრესისა, ქართველი ანარქისტები თარგმნიდნენ და წიგნებად გამოსცემდნენ ცნობილი ოურეტიკოსების: ელიზე რეკლი-უს, პიოტრ კროპოტკინის, ენრიკო მალა-ტესტასა და სხვათა ნაშრომებს. კიდევ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: გიორგი გოგელია მიიჩნეოდა ახალი მიმდინარეობის, ანარქო-სინდიკალიზმის ერთ-ერთ პირველ მქადაგებ-ლად როგორც ვეროპაში, ასევე რუსეთსა და

საქართველოშიც. ყოველივე ამან და საერთოდ, ანარქისტთა ხმაურიანმა აქტიურობამ შეაშფოთა რუსული მარქსიზმის ბურჯები. ანარქიზმის მწვავე კრიტიკით გამოვიდნენ გიორგი პლეხანოვი, ვლადიმირ ლენინი, ნოე ჟორდანია. იოსებ სტალინმა ამ პრობლემას მიუძღვნა წერილების სერია: „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“.

ამ დიდ იდეურ-თეორიულ დისკურსში ჩერქეზიშვილსა და გოგელიებს მხარში ედგნენ სხვა ქართველი ანარქისტები: მიხაკო წერეთელი, რომელმაც პირველი რევოლუციის წლებში ორი ნაშრომი გამოსცა კანონისა და სახელმწიფოს კრიტიკით ნებტორ კალანდარიშვილი, რომელიც საბრძოლო რაზმს მეთაურობდა; მიტროფანე ლადიძე, რომელიც მინერალური წყლების ბიზნესით აფინანსებდა თანამებრძოლებს; დათიკო როსტომაშვილი, რომელმაც ჩხრეკიასას, როცა მის ბინაში არ აღმოჩნდა საგულვებელი ბომბები და არალეგალური სტაბა, 58-რუბლიანი ჯარიმა გადააზღვენია უანდარმებს. ქალებიც იყვნენ გარეული ანარქისტულ რომანტიკაში: დომინიკა ერისთავ-განდევილისა, რომელიც ანარქისტულ უურნალ „ნობათს“ რედაქტორობდა... სხვებიც იყვნენ, რომლებიც ან პირდაპირ ანარქისტობდნენ, ან თანაუგრძნობდნენ მათ.

პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოში ანარქისტული ვნებებიც დაცხრა. „თავადი ჩერქეზოვი“ (ჩერქეზიშვილი) და „კომანდო ორგეანი“ (გიორგი გოგელია) ისევ ემიგრაციაში გაიზინენ და საერთაშორისო ანარქიზმის საჭეს დაუბრუნდნენ პიოტრ კროპოტკინთან, უერმენა ბერტონთან, უან გრავთან და სხვებთან ერთად. საქართველოში მხოლოდ აქა-იქ მოქმედებდა რამდენიმე ანარქისტული ჯგუფი, რომელნიც პოლიტიკურ კლიმატს ვერ ქმნიდნენ. სამაგიეროდ, ანარქისტები ძლიერ მემარცხენე ფრთას ქმნიდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში. თუმცა ეს უფრო ისეთი ახალგაზრდა ანარქისტები იყვნენ, რომელნიც მტკაცე ეროვნულ ნიადაგზეც იდგნენ. საერთოდ, ანარქიზმი კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობა იყო, მაგრამ გარღამ ჩერქეზიშვილისა და ქართული ნიადაგის გამო, აქაურმა ანარქიზმმა ნაციონალური ელევრი შეიძინა.

ნაციონალიზმი და ანარქიზმი — „გაგო-



მიტროფანე ლადიძე

ნიღა სადმე ასეთი შეთაგესება?“ — კითხულობდა გაოცებული გრიგოლ რობაქიძე და თავისებურად, სიღრმისეულად განმარტვდა ამ უცნაურობის მიზეზს ვარლამ ჩერქეზიშვილის მაგალითზე, რაც ჩენ მთელ ქართულ ანარქიზმზე უნდა გაგვარცელოთ, როგორც მსოფლიო ანარქისტული მოძრაობის ერთ განსაკუთრებულ ქართულ გამოვლინებაზე: „ახლა რომ უკავირდები ამ უცნაურობას, გულით მონაქროლი გონებითაც მართლდება. მართლაც: თუ მოიშვებოდა სახელმწიფო წყობილება საერთოდ — ანარქიზმის მიზანი ესაა — მაშინ რუსეთიც... დაიმხობოდა სახელმწიფოებრვე მხრით, და როგორც შედეგი ამისა, საქართველოც თავისუფლად ამოისუნთქვდა“.

დაუჯვაროთ გრიგოლ რობაქიძეს, გულთამხილავ მწერალს. ვარლამ ჩერქეზიშვილისა და საერთოდ ქართველი ანარქისტების „ქვეშეცნეული ხაზიც“ ეს იყო: საკაცობრიო იდეალებთან ერთად — საქართველოს თავისუფლება.

ლიმიტი პალიტი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



გობელენის ამ სცენის ზედა ნაწილში, მკვდავართა აზრით, გამოსახულია მონ სენ-შენელის საბატო და თვით გობელენის შემქმნელი, რომელიც ცალკე ზის და რაღაცას მიუთითებს

შეიძლება დიზაინის ვინაობა დადგენილია

ახალმა სამეცნიერო კვლევებმა შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნამუშევრის, ბაიეს გობელენის დიზაინერი გამოავლინა. ისტორიკოსი პოვარდ კლარკი მიიჩნევს, რომ ეს კენტერბერის წმინდა ავგუსტინის მონასტრის წინამდლოლი, აბატი სკოლანდია, ხოლო თავად გობელენი 1075 წელს არის შესრულებული.

დუბლინის უნივერსიტეტის კოლეჯის საპატიო პროფესორმა იდეა პირველად 2012 წელს, საფრანგეთის ქალაქ ბაიეში გამართული კონფერენციისას გამოიყვნა. ამჟამად კი, კვლევა ანგლონორმანიული კვლევების ურნალში გამოქვეყნდა.

ბაიეს გობელენზე ნორმანიულთა მიერ ინგლისის დაპყრობაა ასახული. 1066 წელს, ჰერცოგმა ვილჰელმ ნორმანიულმა (უილიამ დამპყრობელმა) ჰასტინგსის ბრძოლაში ინგლისის მეფე ჰაროლდ გოდვინსონი დაამარცხა. ბაიეს გობელენი ამ მოვლენების

ძირითად მხატვრულ წყაროდ მიიჩნევა, იმის მიუხედავად, რომ მისი წარმომავლობა ჯერაც ცხარე დისკუსიის თემაა.

დიზაინერის აღმოჩენის გასაღები გობელენის მეზეიდმეტე სცენაშია, რომელზეც გამოსახულია ჰერცოგი უილიამი და მეფე ჰაროლდი მონ სენ-შენელის საბატოსთან, მდინარე კუენონის გადალახეისას. ნორმანიის სანაპიროსთან კუნძულზე მდებარე საბატო ამ სცენაშე გამოსახულია ზედა საზღვარზე, ცალკე მჯდომ პირთან ერთად, რომელიც რაღაცას მიუთითებს.

მხატვრები შუა საუკუნეებში ხანდახან საკუთარ თავს მინიატურებზე გამოსახავდნენ. კლარკი ფიქრობს, რომ ბაიეს გობელენის შემთხვევაშიც ასეა. ფორმულირება, რომელიც გამოსახულებას ახლავს, მიგვანიშნებს, რომ ხელოვანი ამ სცენას თვალს თავად აღვენებდა.

თუ ეს ინტერპრეტაცია სწორია, გობელენის შემქმნელი უნდა იყოს ის, ვინც მონ სენ-მიშელის მონასტერთანაა დაკავშირებული. კლარკის აზრით, ეს აპატი სკოლანდია.

1064 წელს, როცა ბერტონის კამპანია დაიწყო, უფროსი ბერი სკოლანდი მონ სენ-მიშელის მონასტერში ხელნაწერთა განხოფილების უფროსი და მცველი იყო. ჰასტინგსის ბრძოლაში ნორმანების გამარჯვების შემდეგ, მონასტრის სხვა ბერების მსგავსად, ინგლისში გაემგზავრა და 1070 წელს უკეთ ინგლისის მეფედ დაბრძანებულმა უილიამმა იგი ბენედიქტელთა ნავსაყუდელის — კანტერბერის წმინდა ავგუსტინის მონასტრის მეთაურად დანიშნა.

კლარკს სხვა მტკიცებულებებიც მოჰყავს აპატ სკოლანდის ბაიეს გობელენთან კავშირის დასადასტურებლად:

1. სკოლანდი მონ სენ-მიშელის მონასტრის ხელნაწერთა განხოფილების უფროსი მცველი იყო. იგი ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა შექმნას და ფერადი მინიატურებით დასურათებას. 1040-1075 წლებს ხელნაწერთა შექმნისა და მათი დასურათების თვალსაზრისით, ნორმანიული სააბატოს „ოქროს ხანა“ მიიჩნევს, რაც სკოლანდს დიდ სამხატვრო გამოცდილებას მისცემდა.

2. ეს კარგი ახსნა იქნებოდა, გობელენის ზოგიერთ ადრეულ სცენაში რატომაა აქცენტირებული კამპანია, რომელიც ნორმანიული დაპყრობის ისტორიის ძირითად ნაწილს არ წარმოადგნს, მაგრამ დასამახსოვრებელი იყო მონ სენ-მიშელის ბერების სფრივის.

3. ორი პერიოდი, რომელიც გამოსახულია და მოიხსენიება ბაიეს გობელენზე, ვადარდი და ვიტალი, დაკავშირებულია წმინდა ავგუსტინის მონასტრის ბერებსა და სკოლანდთან.

4. გამოითქვა ვარაუდი, რომ გობელენის ფრიზის მსგავსი ფორმატი და უწყვეტი თხრობის მეთოდი, შესაძლოა შთაგონებული იყო ისეთი ტრიუმფული მონუმენტით, როგორიცაა იმპერატორ ტრაიანეს სკეტი. როგორც ჩანს, სკოლანდს 1071-1072 წლებში რომისა

და ტრაიანეს სკეტის მონახულების შესაძლებლობა მიეცა.

კლარკი მიიჩნევს, რომ რომიდან ინგლისში დაბრუნების შემდეგ, სკოლანდმა ბაიეს პროექტი დაიწყო. შესაძლოა ეს ბაიეს კოპოს ოდოს დაკვეთითაც გააკეთა, რომელიც წმინდა ავგუსტინის მონასტრის ბერებს მფრეველობდა. სააბატოს ბერები და მონაზვნები კი გობელენზე რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

აი, რას წერს დუბლინის უნივერსიტეტის კოლეჯის საკატარი პროფესორი:

„თუ ვიგრაუდებთ, რომ გობელენის სხვადასხვა სცენაშე ერთდროულად მუშაობდნენ, მათ საერთო ზედამხედველობას დიზაინერი უწევდა. ჩვენ უნდა წარმოებიდვინოთ ერთი დიდი სახელოსნო ან რამდენიმე ვიწრო სამუშაო ოთახი. ზედამხედველი ზის ინდივიდუალურ ჩარჩოში ჩასმულ თითოეულ მონაკვეთზე მუშაობის პროცესს თვალს ადევნებდა. ამით შეიძლება აიხსნას აღმოჩენილი ზოგიერთი მხატვრული და წერილობითი გარიაციაც. სავსებით პრაქტიკულია შევრმება, რომ ბაიეს გობელენი კოლექტიური ძალისხმევის ნიმუშია, მაგრამ აუცილებლად არსებობდა ვიღაც, ვინც მთელ ამ ოპერაციაზე აგებდა პასუხებს.“

**მომზადებულია
medievalists.net-ის მიხდვით**

მონ სენ-მიშელის მონასტრი, სადაც მოღვაწეობდნენ ბაიეს გობელენის შექმნებით ბერები (მასალა მონასტრის შესახებ იხილეთ 98-ე გვერდზე)





სხედან: მიხეილ მაჭურიანი (ცენტრში), მას მიერ ჩამოგდებული კეჩიპი პურკუში (მარც ხნივაზე) და თურქი მფრინავ-დაქვირვებული ბახატინი

ერთი საკარო ბრძოლის ისტორია

მისამისი თურქული ავიაციის ლეგენდის, ვერიპი პურკუშის ფინალები

პირველ მსოფლიო ომში საბრძოლო მოქმედებებს კიდევ ერთი განწომილება — საპატ-რო ბრძოლები და აერობა. თურქები და პორტიკიებს ზვერავდნენ, თუმცა მაღავე ასალმა საფრენმა აპარატებმა გამანადგურებლისა და ბომბდაშენის დანიშნულებაც შეიძინეს. საპატრო ბრძოლები კავკასიის ფრონტზეც მიმდინარეობდა, სადაც ერთმანეთს რუსული და ოსმალური ავიაცია უპირისისირდებოდა. თვითმფრინავების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგები ძირითადად ერთმანეთს ზვერავდნენ და მცირებაშეტაბიან დაბომბებს აწყობდნენ, საპატრო ბრძოლები იშვიათობას წარმოადგენდა და უშედეგოდ სრულდებოდა, აერობლანები კი ძირითადად გაუმართობის გამო ხვდებოდნენ კატასტროფაში.

კავკასიის ფრონტზე რუსულმა ავიაცია, ომის რამდენიმე წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი ოსმალური თვითმფრინავის ჩამოგდება შეძლო. ისიც, 1917 წლის შემოდგომაზე, როცა რუსული არმიის ქართველმა შტაბს-კაპიტანმა მიხეილ მაჭურიანმა თურქი მფრინავი, მომავალში თურქული ავიაციის

მამა და ლეგენდარული მფრინავი — კეჩიპი პურკუში ჩამოაგდო.

დასავლელი ავტორი აუგუსტ გ. ბლუმი მაჭურიანს მეორე ოსმალური აერობლანის ჩამოგდებას მიაწერს, რომელსაც მართვდნენ მფრინავი კეჩიპი ფერდინანდ და მცირებაშეტაბიანი კატასტროფაში განხორციელდა. თუმცა მაჭურიანი კეჩიპი პურკუში კატასტროფაში გადასახლდა და მცირებაშეტაბიანი კატასტროფაში გადასახლდა.

ანმა რომ მხოლოდ ერთი აეროპლანი ჩამოაგდო, მისივე მემუარუბიდან არის ცნობილი. ქართველი მფრინავი აღწერს სამ საკაერო ბრძოლას, რომელთაგანაც ორში მეტოქე გაექცა, ხოლო მესამეში მოწინააღმდევების ჩამოვდება შეძლო. იგო იქვე განმარტავს, რომ ეს იყო კავკასიის ფრონტზე ჩამოვდებული ერთადერთი თვითმფრინავი. მაჭავარიანი წერს, რომ დატყვევებული მფრინავები იყვნენ კედითი ფეხები და ალბანური წარმოშობის ვეჩიპი ვახნესი. სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე? რეალურად კინ ჩამოაგდო მაჭავარიანმა, ჰურკუში თუ ფეხები? საქმე ის არის, რომ ერთადერთ თურქულ თვითმფრინავს, რომელიც კავკასიის ფრონტზე რუსებმა ჩამოვდეს 1917 წლის 25 სექტემბერს (ახალი სტილით 7 ოქტომბერს) სწორედ ვეჩიპი ჰურკუში მართვდა და მფრინავ-დამკაირვებლად ლეიტენანტი ბახატინი ჰყავდა. როგორც ჩანს, ტყვედ ჩავარდნისას ისინი განგებ სხვა სახელით გაეცნენ მოწინააღმდევეს. რა გვაძლევს

ამის თქმის საშუალებას? პირველ რიგში, დატყვევებულთა შემოჩენილი ფოტოები, რომელზეც ნამდვილად ვეჩიპი ჰურკუშია ასახული. ასევე ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის კავკასიის ფრონტის თურქულ სავიაციო შენაერთობში არც ერთი მფრინავი არ იყო ვედიპი ფეხები, ხოლო ვეჩიპი ჰურკუში კი მეორე სავიაციო ასეულში ირიცხებოდა. ამ ასეულმა კი სწორედ 25 სექტემბერის საკაერო ბრძოლისას დაკარგა ერთი აეროპლანი. ამასვე აღასტურებს ვეჩიპი ჰურკუშის მიერ ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ სტაბბოლში გამოქვეყნებული სტატია, სადაც მფრინავი თავისი ჩამოვდების დეტალებს აღწერს.

1917 წლისთვის, როდესაც მაჭავარიან-ჰურკუშის საკაერო ბრძოლა გაიმართა, კავკასიის ფრონტზე რუსული აფიაცია ოთხი რაზმისგან შედგებოდა. ოთხივე რაზმში ირიცხებოდა „ნიუპორის“, „ფარმანის“, „კლირონის“, „გუზიზნის“, „მორანისა“ და სხვა ფირმების სხვადასხვა მოდიფიკაციის

თვითმფრინავების ტექნიკური პარამეტრები და საპროდუქციო შესაძლებლობები:

აეროპლანი „ნიუპორ XXI“, რომლითაც იმპერიუმი მახვილი მაჭავარიანი

„ნიუპორ XXI“

ეკიპაჟი — 1 კაცი,
მასა — 320 კგ,
მაქსიმალური ასაფრუნი მასა — 495 კგ,
მაქსიმალური სიჩქარე — 140 კმ/სთ,
მაქსიმალური ფრენის სიმაღლე — 4500 მ,
ძრავა — 80 ც.ხ.ძ.,
შეიარაღება — 1 ტყვიამფრქვევი



„ალბატროს C III“

ეკიპაჟი — 2 კაცი,
მასა — 851 კგ,
მაქსიმალური ასაფრუნი მასა — 1353 კგ,
მაქსიმალური სიჩქარე — 140 კმ/სთ,
მაქსიმალური ფრენის სიმაღლე — 3400 მ,
ძრავა — 160 ც.ხ.ძ.
შეიარაღება — 1-2 ტყვიამფრქვევი და 100 კგ ბომბი.



თურქული არმიის გერმანული „ალბატროს C III“



**მიხეილ
მაჭუგარიანი
(ცენტრში
ბერძითი)
მას მიერ
ჩამოგდებული
თურქული
აეროპლანის
ნარჩენებთან**

104 თვითმფრინავი, თუმცა მათგან მხოლოდ ათიოდე თუ იყო გამართულ მდგომარეობაში. ხოლო ოსმალებს კავკასიის ფრონტზე სამი საავიაციო ასეული ჰყავდათ, მათი საავიაციო პარკი კი 8-9 გერმანული „ალბატროსისგან“ შედგებოდა.

საპამორო ბრძოლის შინ

მიხეილ მაჭუგარიანი დაიბადა 1888 წლის 20 მარტს ქუთაისში, ოფიცირის ოჯახში. და-ამთავრა სუვოროვის კადეტთა კორპუსი და

საარტილერიო სასწავლებელი, მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადაში, მოგვანებით დაასრულა სევასტოპოლის სამხედრო-საავიაციო სკოლა და სამხედრო მფრინავი გახდა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ჩამოგდების გარდა, მის ანგარიშზე პირველ მსოფლიო ომში მრავალი წარმატებით შესრულებული საბრძოლო დავალებაა. მათ შორის იყო როგორც მოწინააღმდეგის პოზიციების დაზვერვა, ისე დაბომბვაც. საპამორო ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებამდე სიმამაცისათვის და საომარ



**ჩამოგდებულ
თურქებთან
(პირველ
რიგში
ცენტრში
მარჯვნივ
პურეუში,
მარც ხნიე
ბახატიანი),
რეას
ოფიცირები
სამუშაობით
პოზირებდნენ**


ვითარებაში გამორჩეული მოქმედებებისთვის მან მიიღო რუსეთის იმპერიის მრავალი ორდენი: წმინდა სტანისლავის მესამე და მეორე ხარისხის ორდენები, წმინდა ანას მეოთხე და მესამე ხარისხის ორდენები, წმინდა კლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენი. 1917 წლისთვის მაჭარიანი მეთაურობდა კავკასიის მეორე სააგიაციო რაზმს შტაბს-კაპიტნის წოდებით.

ვეჩიპი ჰურკუში დაიბადა 1896 წლის 9 იანვარს, სტამბოლელი მებაჟის თჯეხში. 1912 წელს დაწყებულ ბალკანეთის ოშმი იგი მოხალისედ იბრძოდა. ომის დასრულების შემდეგ მფრინავობაზე რცნებობდა. დაასრულა მექანიკოსს კურსები და პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გაიგზავნა ავიამექანიკოსად ბაღდადის ფრონტზე. სააგიაციო კატასტროფისას მიღებული ჭრილობის გამო სამკურნალოდ სტამბოლში დაბრუნდა. გამოჯანმრთელების შემდეგ დაამთავრა სააგიაციო სკოლა და უმცროსი ლეიტენანტის წოდებით 1917 წელს ჩაირიცხა კავკასიის ფრონტზე მოქმედ ოსმალურ მეშვიდე ავიარაზში.

სააგიაციო ბრძოლა

საპარო ბრძოლა გაიმართა ერზინჯანთან 1917 წლის 25 სექტემბერს. თურქი მფრინავი ვეჩიპი ჰურკუში და მფრინავ-დამკვირვებელი ლეიტენანტი ბახატინი ახორციელებდნენ ერზინჯანის მიდამოების დაზერვას გერმანული წარმოების „ალბატროს C III“-ით (თვითმფრინავის ტექნიკური პარამეტრები და საბრძოლო შესაძლებლობები: ეკიპაჟი — 2 კაცი, მასა — 851 კგ, მაქსიმალური ასაფრენი მასა — 1353 კგ, მაქსიმალური სიჩქარე — 140 კმ/სთ, მაქსიმალური ფრენის სიმაღლე — 3400 მ, ძრავა — 160 ც.ბ., შეიარაღება — 1-2 ტყვიამფრქვევი და 100 გგ ბომბი). მათ ასევე ვალებოდათ ერზინჯანში რუსული აეროდრომის დაბომბვა. ერზინჯანთან მიახლოებისას რუსული აეროდრომიდან მოწინააღმდეგესთან შესახევდრად აფრინდა მეორე სააგიაციო რაზმის შტაბს-კაპიტანი მიხეილ მაჭარიანი ფრანგული წარმოების „ნიუპორ XXI“-ით (თვითმფრინავის ტექნიკური პარამეტრები და საბრძოლო შესაძლებლობები: ეკიპაჟი — 1 კაცი, მასა — 320 კგ, მაქსიმალური ასაფრენი მასა — 495 კგ, მაქსიმალური სიჩქარე — 140 კმ/სთ, მაქსიმა-

ლური ფრენის სიმაღლე — 4500 მ, ძრავა — 80 ც.ბ., შეიარაღება — 1 ტყვიამფრქვევი). მაჭარიანის თვითმფრინავის აფრენისას ვეჩიპი მომგებიან პოზიციაში იყო მოწინააღმდეგებზე შესატევად. ის მაჭარიანისზე მაღლა, 1600 მეტრზე იმყოფებოდა, მაგრამ შეტევის ნაცვლად, პირველ რიგში, მან აეროდრომის დაბომბვა განიზრახა. ამასობაში უკვე მაჭარიანის თვითმფრინავმა აიღო სიმაღლე და თურქების მაღლა მოექცა. საპარო ბრძოლა გახურდა, ორთვე აერობლანის მფრინავი ცდილობდა უკეთესა პოზიციის დაკავებას. დაიწყო საპარო კარუსელი, საბოლოოდ, უკეთესი სამანქრო შესაძლებლობებისა და მფრინავის ასტატობიდან გამომდინარე, რუსული „ნიუპორი“ ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა, ტყვიამფრქვევის მასირზე ცეცხლი გახსნა და ოსმალური „ალბატროსი“ ჩამოაგდო. მფრინავი ვეჩიპი ჰურკუში და მფრინავ-დამკვირვებელი ბახატინი გადარჩენდა, თუმცა დაიჭრნენ და ტყვედ ჩავარდნენ. გამარჯვებით გახარებული მაჭარიანი და მისი რაზმის



მიხეილ
მაჭარიანის
მემუარები. გარეუანი

თურქი მფრინავები
კასიის ზღვაში
მდგარე კუნძულ
ნარგინის სამხედრო
ტყვეთა ბანაკში
გადაიყვანეს





საქართველოს
პირველი
რუსების
მფრინავები,
რომელთაც
მიწელ
მაჭავარიანი
მეთაურობდა

სხვა მფრინავები, მომდევნო დღეებში ფოტო-კამერის წინ პოზირებდნენ როგორც დაჭრილ თურქ მფრინავებთან, ასევე ჩამოგარდნილი „ალბატროსის“ ნარჩენებთან. ამ წარმატებისთვის მიხეილ მაჭავარიანი 1918 წლის 27 მარტს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით თურქი მფრინავები კი კასპიის ზღვაში მდებარე კუნძულ ნარგინის სამხედრო ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს.

აოზინააღმდეგოთა ომისამაღამი პატი

მიხეილ მაჭავარიანმა, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს ავიაციაში განაგრძო სამსახური. მას პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა და ქართულ ავიაციას ჩაუდგა სათავეში. მისი მეთაურობით ქართული არმიის საფრენი აპარატები დაფრინავდნენ არა მხოლოდ აღლუმებისას, არამედ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში, მაგალითად, სომხეთ-საქართველოს 1918 წლისა და რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომებში. მიხეილ მაჭავარიანის სახელთანაა დაკავშირებული 1920 წელს იტალიაში, სამხედრო კონცერნ „ანსალდოს“ ტურინის ქარხანაში ათი უახლესი SVA-10 ტიპის აეროპლანის შეძენის ისტორია.

მთავრობამ ამ საკითხის მოსახვარებლად იგი იტალიაში გაგზავნა. მართალია,

აეროპლანების შეძენა მოხერხდა, მაგრამ გართულდა მათი ტრანსპორტირება. იტალიიდან პირდაპირი გადმოზიდვა გემით იტალიელი მუშების პროტესტის გამბი ჩაიშალა, ამიტომ ყუთებში ჩაწყობილი აეროპლანები სახმელეთო გზით საფრანგეთში, მარსელის პორტში გადაიტანეს. გადამზიდმა კომპანია „მანჯილმა“ ტრანსპორტირების დასრულება საზოგადოება „ნატურალს“ მიანდო. ეს უკანასკნელი კი, საკუთარი კომერციული მოსაზრებიდან გამომდინარე, საქმეს აჭიანურებდა. ამასობაში ქართველთა აეროპლანები მარსელის პორტში ბარებზე იდგა, ყუთებში ჩაწყობილი, თავზე კი უბრალო ქაღალდი ჰქონდა გადაკრული, რაც წვიმის შემთხვევაში ტექნიკის დაზიანების საფრთხეს ქმნიდა. მაჭავარიანმა შექმნილი სიტუაცია იმდენად განიცადა, რომ ნერვიული შეტევა დაემართა და მარსელის კლინიკაში მოხვდა, სადაც თითქმის ერთი თვეს გატარება მოუხდა. მისი საქმე პარიზში მყოფი ქართული დელგაციის მიერ წარმოგზავნილმა სოსიპატრე ასათოანმა მიიღვანა ბოლომდე. გამომჯობინების შემდეგ მაჭავარიანი სამშობლოში დაბრუნდა და გააკეთა მოხსენება ეკროპაში ავიაციის განვითარებასა და პერსპექტივებზე. ფიზიკურად და ფსიქიკურად გადაღლილ მფრინავს მცირებნიანი შევტელება მიეცა, ხოლო 1920 წლის 7 დეკემბერს ერთჯერადი დახმარების

სახით 61 144 მანეთი გამოვყო. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მიხეილ მაჭავარიანი ქართული წითელი არმიის საავიაციო დივიზიონს, საბჭოთა კუფშირის შექმნის შემდეგ კი სხვადასხვა საავიაციო რაზმს მეთაურობდა. 1929 წელს ავადმყოფობის გამო წითელი არმიის თადარიგში გავიდა, თუმცა საევარელი საქმის გარეშე მაინც ვერ გაძლო და 1960 წლამდე სამოქალაქო ფიაციაში მსახურობდა. (ცხოვრების უკანასკნელი წლები ქუთაისში გაატარა. 1969 წელს გამოიცა მისი მემუარები).

ვეჩი მარკუს ვეჩი კიდევ პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა. ნარგინის კუნძულიდან იგი ერთმა აზერბაიჯანელმა გამოაპარა და ფეხით, მალგა-მალგით მოუხდა ერზერუმამდე ჩასვლა. როცა სტამბოლში ჩააღწია, პირველი მსოფლიო ომი უკვე სრულდებოდა და იგი დედაქალაქის საპატიო თავდაცვის ასეულში ჩაირიცხა. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ მუსტაფა ქემალ ათათურქის თანამებრძოლი გახდა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ბერძნების წინააღმდეგ ომში, მიიღო უმაღლესი ხარისხის სამხედრო ჯილდოები. 1923 წელს, თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ იგი ხდება თურქული ეროვნული ავიაციის დამაარსებელი. 1925 წელს ქმნის პირველ თურქულ თვითმფრინავს, სამხედრო აეროპლან VECIHI K VI-ს, რასაც მოჰყვა სამოქალაქო Vecihi K-XIV, მონოპლანი Vecihi XV და Vecihi K-XVI Nuri Bei. თავისი 52-წლიანი კარიერის განმავლობაში ვეჩი პირველი 30 ათასი საათი გაატარა ჰაერში, რაც ერთად სამ წელიწადზე მეტს შეადგენს. თურქული ავიაციის ლეგენდამ 1969 წელს დაიწყო მემუარების წერა, მაგრამ ავარიაში მოხვედრის შემდეგ კომაში ჩაარდა და 1969 წლის 16 ივნისს გარდაიცვალა. ვეჩი პირველი თურქეთში დღემდე დიდ პატივს მიაგებენ, როგორც თურქული ავიაციის მამასა და ლეგენდარულ ძერინავს. სტამბოლში დგას მისი გიგანტური ძეგლი, ხოლო თანამედროვე თურქული ავიაციის პირველ სამხედრო-სასწავლო თვითმფრინავს, რომელიც სულ ახლასან, 2013 წლის 29 აგვისტოს აფრინდა, პირველი სახელი დაერქვა.

დიამოტი სილაპატი,

თუ-ის ისტორიის დოქტორანტი



ვეჩი პირველი მემუარები



ვეჩი პირველი მის მიერ შექმნილ Vecihi K-XIV-თან

თანამედროვე თურქული სამხედრო-სასწავლო
თვითმფრინავი „პირველი“



ბარონი და ქაი

საქართველოს
ფრანგი მემორანი

XIX საუკუნეში საქართველოში ბევრმა უცხოელმა იმოგზაურა და ყოველ მათგანს სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებდა. მათ შორის ისეთებიც იყენენ, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოში ბრუნდებოდნენ არა მხოლოდ მეცნიერული ინტერესების, არამედ იმ მეცნიერებულ ურთიერთობათა გამო, რაც მათ ქართველებთან აკავშირებდა. სწორედ ასეთთავან გახლდათ ფრანგი არქეოლოგი და ეთნოგრაფი ბარონი დე ბაი. მან მრავალმხრივი კვლევა მიუძღვნა საქართველოს და ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხის ამსახველი ფოტოები და ჩანაწერები დაგვიტოვა.

ბარონი ჟოზეფ ბერტელო დე ბაი (1853-1931) დიდი საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელია, რომლის ფესვებიც ბრუტონი-ლან მოდის და რომელმაც XVII საუკუნეში შამპანის რევინშში დადი მამული შეიძინა. ბარონი დე ბაი პარიზში დაიბადა, ოუმცა თითქმის მთელი ცხოვრება თავის საგვარეულო სასახლეში გაატარა. არქეოლოგით 13 წლის ასაქში დაინტერესდა, როცა მამასთან ერთად ნადირობისას შემთხვევით იპოვა პრეისტორიული ხანის კაჟის ცული. 18-19 წლის დე ბაიმ პირველი არქეოლოგიური გათხრები მოაწყო და აღმოაჩინა XIX საუკუნის არქეოლოგიისთვის სრულიად უცნობი ტიპის, ძვ.წ.



ბარონი დე ბაი კაბალაზისა და ნაბდით გრაფიურა ვამოქაებელი ფრანგულ ურნალში 1902 წელს. დამზადებულია ალექსანდრუ რიონაშვილის 1897 წელს გადაღებული ფოტოს მიხედვით

3500-2700 წლებით დათარიდებული ჯგუფური სამარხები. 1875 წელს ბარონმა დე ბაიმ თავის სასახლეში მუზეუმი გახსნა და მის მიერ აღმოჩენილი ოუ შეძენილი კოლექციი ები განათავსა.

1890 წელს ბარონი დე ბაი მონაწილეობდა მოსკოვის არქეოლოგთა VIII საერთაშორისო კრილობაში და რუსეთის იმპერიით განსაკუთრებით დაინტერესდა. 1895 წლიდან იგი საფრანგეთის სახალხო განათლებისა და სელოვნების სამინისტროს ყოველწლიური ოფიციალური მივლინებით მიემგზავრებოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში, აწყობდა არქეოლოგიურ გათხრებს და მო-



ბარონ დე ბაის სასახლე, ხედი აღმოსავლეთიდან

Explorateurs Français



BARON DE BAYE

RUSSIE
SIBERIE
CAUCASE
CRIMÉE



SIGNAKH

KHAKHÉTIE

1897

ქურძო კოდექციაში დაცულ დღა ბაროთშე აღბეჭდილია სიღნაღის ბაზარში აკვნებისა და სასახლეების გამყოდველი (1897 წ. ფოტო)

პოვებულ მასალას საფრანგეთის მუზეუმებს უგზავნიდა. საფრანგეთში დაბრუნებისას მართვდა კონფერენციებს, აქვეყნებდა სტატიებსა და წიგნებს, რათა კვრობელი საზოგადოებისთვის რუსეთის იმპერიაში შემავალი კულტურული გაცენო.

თითქმის ყოველ წელიწადს ბარონი სტუმრად ჩადიოდა თავის უახლოეს მექობარ გრაფ სერგეი შერუმეტივთან (1844-1918) მიხაილოვ-სკოეს რეზიდენციაში, მოსკოვის მახლობლად. 1897 წელს ციმბირში ორთვანი ექსპედიციის შემდეგ შერუმეტივთან იგი საქართველოში, სოფელ კარდანაზის მამულში დაპატიჟა. იმავე წლის შემოდგომაზე მეგობრები საქართველოს სამსედრო გზით კახეთში წამოიდნენ. სწორედ ამ მოგზაურობიდან იწყება ბარონ დე ბაის გატაცება საქართველოთი. „შზის ამოსვლა დაოვლილ გაზტვის მწვერვალზე — ამაზე მშვენიერი ცხოვრებაში არაფრი მინახავს“ — ეს საქართველოსთან დაკავშირებული მისი პირველი ემოციაა.

ტუილისში ჩამოსული ფრანგი შეცნიერი აღტაცებას ვერ მაღავს: „მხატვარი ან პოეტი უნდა იყო, რომ დახატო თბილისის სურათები ან უმღერო იმ სანახაობას, რასაც თბილისი წარმოადგენს“. იგი ბევრს სეირნობს, ჩანა-

წერებს აკეთებს და ფოტოებს იღებს, რათა სამშობლოში დაბრუნებულმა ფრანგულ სამეცნიერო წრეებს გააცნოს „ტფილისი — ნახვრად ვროველი და ნახვრად აზიური კოტრასტების ქალაქი“.

ბარონ დე ბაის საქართველოში ჩამოსვლა დაემთხვა რუსეთის ხელისუფლების მიერ უცხოელებისთვის კავკასიაში არქეოლოგიური გათხრების აკრძალვას. 1880-იან წლების მრავალი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალები უცხოელმა მეცნიერებმა ვროვის მუზეუმებში გაიტანეს. მეცნიერებების რუსეთის ხელისუფლება გვიან მიხვდა ამ კოლექციათა სამეცნიერო მნიშვნელობას და ამიტომც დაწესა აკრძალვა უცხოელი მეცნიერებისთვის. ვინაიდან ბარონი დე ბაი მოკლებული იყო არქეოლოგიური გათხრების შესაძლებლობას, მან კავკასიის ეთნოგრაფიის კალება დაიწყო და დღეს თუ ცნობილია, როგორც ეთნოგრაფი, ეს სწორედ მისი კავკასიაში მოგზაურობის დამსახურებაა.

დე ბაი შერუმეტივთან თჯახთან ერთად ტუილისიდან კარდანახში გაემგზავრა. აქ ფრანგ სტუმარს ყველაფერი აოცებდა: რთველი, ღვინის დაყენების წესი, სიმღერები, ცეკვები, ეროვნული კოსტიუმები. ბარონი



ამიერკავკასიის შეიხ-ულ-ისლამი აბდუსალამ-ახუნდ-ზადე და ბარინი დე ბაი მუსლიმურ სასაფლაოზე თბილისში. 1899 წელი. კრძო კოლუქცია

ქაშუფის ეკლესიის გალავანი. 1899 წელი. კრძო კოლუქცია



ფოტოებს იღებდა და მოგზაურობისას საყურადღებო დეტალებს ინიშნავდა. იგი აღფრთოვანებით აღწერდა კურნის დაწურვის რიტუალს: „მამაკაცები ხის გრძელ საწნახელში დგებიან და რამდენიმე საათის განმავლობაში ჰყლეტენ ნაყოფს. ნელი თუ სწრაფი, ნაზი თუ ენერგიული მოძრაობები მათი სიმღერების რიტმს მიჰყება; რბილი, მძლავრი, გულში ჩამწვდომი, საბრძოლო თუ სუფრული სიმღერები ერთმანეთს ენაცვლება და დაჲყლეტილი კურნის მათრობელი სურნელი ხან ექსპრესიულს, ხანაც კი ამაღლელებელს ხდის ამ ქოროს... საოცრად თვალწარმტაცი და საინტერესოა, ქართველთა მკერდიდან ამომავლი პათეტიკური სიმღერების ფონზე, მათი სხეულების რიტმული რხევის კურება. ამ დროს კი მათ ფეხებთან მხის სხივებზე მოელგარე კამაკამა ღვინის წყარო მოედინება“.

კარდანაზიდან დე ბაი სიღნაღმი გაემგზავრა, ბაზარში გაისეირნა და საინტერესო სურათს გადააწყდა: „ჩაფიქრებული დიდსანს გჩერდები აკენებისა და კუბოების წინ, რომლებსაც ერთი და იგივე კაცი ამზადებს და ჰყიდის. სწორედ აქ მოდიან სიღნაღის მცხოვრებნი ახალდაბადებულის აკენისა თუ გარდაცვლილის კუბოსთვის. აკენზე დედა იხრება, რომ შვილს გაუდიმოს, კუბოსთან კი იხრებიან იმისთვის, რათა ცრემლი დაღვარონ. არაფერია ამაზე უფრო ამაღლევებული, ფილოსოფიური, პოეტური, ღრმა, ვიდრე ასეთი ბუნებრივი და ასეთი მოულოდნებლი რამის დანახა; და ეს კველაფერი ერთი ხელოსნის მიერ არის დამზადებული, რომლის გონიერი სივრცის ყოველივე ეს მიუწვდომელია. ამ ვაჭარს, რომელიც შრომობს სიცოცხლისა და სიკვდილისთვის, ბერინიერებისა და გლოვისთვის, დასასწყისისა და დასასრულისთვის, ერთ გროვაში გაუერთიანებია ერთმანეთისადმი უკიდურესად დაპირისპირებული — პირველი და უკანასკნელი მოთხოვნილების საგნები. თავის დუქაში მან ასე უხეშად შეკრიბა და-საწყისისა და დასასრულის ორი წერტილი. მან ბრძულად შეგვახსენა ეს ორი მომენტი, ასე შორეული თუ ასე ახლობელი, ჩვენი გაჩენისა და ჩვენი გაქრობისა. სიღნაღელებო, როდესაც ბაზარში მიდისართ საჭმლისა და ტანსაცმლის საყიდლად, რაზე ფიქრობთ ამ ადგილას ჩავლისას — ჩვილის სახვევებზე, სუდარაზე თუ სიცოცხლეზე?“

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ბარონ-მა დე ბაიმ სიღნაღის ბაზარში გადაღებული ფოტო საფოსტო ბარათზე დაბეჭდა. დღეს ეს ბარათზე ნებისმიერი კოლექციონერისთვის საამაფოა.

კახეთიდან ფრანგი სტუმარი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა, გაიარა იმერეთი, ჩავიდა ბათუმსა და ჩაქვში, სადაც ქვეყანაში ახალშემოსულ ჩაის კულტურას გაეცნო.

საქართველოში ორთვიანი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა მეცნიერმა წერილი გააგზავნა საფრანგეთის სახალხო განათლებისა და ხელოვნების სამინისტროში და კავკასიის რეგიონის შესასწავლად ოფიციალური მივლინება მოითხოვა. 1898-1904 წლებში ბარონი დე ბაი შეკვეთი მივლინებით ჩამოვიდა საქართველოში და თითქმის ყველა რეგიონს გაეცნო. მან მოიარა კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, აჭარა და სამეგრელო. 1903 წელს ეთნოლოგ თედო სახოკიასთან ერთად იმოგზაურა აფხაზეთში. ასე შეიქმნა სოხუმიდან გაგრამდე მოგზაურობის საინტერესო ჩანაწერები. „მე არ ვაჭარბებ, როცა ვამბობ, რომ მასპინძელი სტუმარს თავის სახლში ამეციებს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მას ასიამოვნოს. როდესაც ქართველი სტუმრის სადღეებრძოლოს სეამს, ამით გამოხატავს ყველაზე მხურვალე გრძნობებს სტუმრისა და მისი სამშობლოსადმი“ — წერს ბარონი დე ბაი თავის მოგონებებში.

საქართველოში მან გაიცნო და დაუმეგობრდა იმ პერიოდის ქართველ სასულიერო პირებსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეულს, ექვთიმე თაყაიშვილს, ალექსანდრე ცაგარელს, დავით სარაჯიშვილს... ადგილობრივი ქართველი პრესა ყოველთვის ინტერესით აღევნებდა თვალს ბარონ დე ბაის საქართველოში სტუმრობას და მის მიერ საფრანგეთში საქართველოს შესახებ მოწყობილ გამოფენებს. საქართველოდან საფრანგეთში დაბრუნებული ბარონი ყოველ წელს აწყობდა გამოფენებს, აქვეყნებდა წიგნებს საქართველოს შესახებ და ქართულ კულტურულ მემკეიდრეობას აცნობდა ფრანგ საზოგადოებას.

მოგზაურობისას ფრანგი მეცნიერი ხშირად იღებდა საინტერესო ფოტოებს, რისთვისაც 1903 წელს პარიზის გეოგრაფიულმა



ტფილისის ხედი მუსლიმური სასაფლაოდან, 1899 წელი. კურძო კოლექცია

თბილისი, ამჟამად გულიაშვილის მოედანი. ფოტოს უკანა მხარეს ბარონ დე ბაის ხელით მიწერილია: „აბას-აბადის მოედანი, ტფილისი, ამ სახლში ცხოვრობს მეტავა“. კურძო კოლექცია





ქარგასკლის
წინ. მშეამაღ
თავისუფლების
მოუფლანი. 1900 წელი.
აკრძო კოლექცია

საზოგადოებამ იგი მოლტენის პრიზით და-აჯილდოვა.

ბარონი დე ბაი დაინტერესებული იყო ქართული ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებებით და ამიტომ მოგზაურობის დროს ფირზე აღბეჭდით სხვადასხვა ეკლესია-მონასტერ-სა და იქ გამართულ დღესასწაულებს. იგი განსაკუთრებით იყო მოხიბლული ქართული ტრადიციული ტანსაცმლით. მის ფოტოკო-ლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყა-

ბალახის ფოტოსერიებს: ყაბალახის ტარების სხვადასხვა მანერა, ყაბალახის გამყიდველები და სხვ. ბარონი დე ბაი ოვითონაც გამოეწყო ყაბალახსა და ნაბაღში და ალექსანდრე რო-ინაშვილის სახელოსნოში გადაიღო ფოტო.

კავკასიით აღფრთოვნებულმა ბარონ-მა, ფრანგული პრესის ცნობების მიხედვით, საფრანგეთში კავკასიის მუზეუმის გახსნა გა-დაწყვიტა, რის საშუალებასაც, სავარაუდოდ, მის მიერ შექმნილი მდიდარი ეთნოგრაფიული

დაჭით სარაჭიშებილი
და ფრანგი მწერალი
ბარონი დე ბაი



კოლექცია მისცემდა. სამწუხაროდ, დე ბაის ამ წამოწყებას პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუძალა ხელი.

ბოლშევიკური რევოლუციის დროს ბარონი დე ბაი მოსკოვში იმყოფებოდა და სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებდა, ვინაიდან ორ ქვეყნას შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა. მისი შეგობრების უმრავლესობა გარდაცვლილი, დახვრეტილი ან ემიგრირებული იყვნენ. ფალმყოფი ფრანგი შეცნიერი ბოლშევიკებმა ორჯერ დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს. 1920 წელს ბარონი დე ბაი სამშობლოში დაბრუნდა, თავის საგარეულო სასახლეში. იგი ცდილობდა, კვლავ განეგრძო კვლევა და აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობა, თუმცა აფალმყოფობა ამის საშუალებას არ აძლევდა.

ბარონი დე ბაი მთელი ცხოვრება ინარჩუნებდა ურთიერთობას ქართველ მეგობრებთან. 1920-იან წლებში მასთან ხშირად მიღიოდნენ სტუმრად ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. ასევე სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა იგი ექვთიმე თავაიშვილთან, რომელსაც ემიგრანტული მთავრობის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს მხარდასაჭერად მოწყობილ სხვადასხვა შეკრებაზე დასარიგებლად ხშირად გადასცემდა ხოლმე საქართველოზე დაწერილ წიგნებსა და ბროშურებს.

ბარონი დე ბაი გარდაიცავალა პარიზში 1931 წელს, თავის თანამემამულეთაგან უსაფუძლოდ მივიწყებული. სიცოცხლის ბოლოს დაწერილ მოგონებებში ბარონი დე ბაი სინაურით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოსა და მუზეუმების კურატორების დაუდევრობის გამო მისი კოლექციები ისე გაითანხმა სხვადასხვა მუზეუმში, რომ ერთი, მეტ-ნაკლებად სრული კატალოგიც კი არ მიეძღვნა ამ მასალებს. დღეს ამ კოლექციებს შორის ქართველი აულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებიც არის გაფანტული.

ფრანგი შეცნიერის მოგონებიდან ნათლად ჩანს, რომ თავდაპირველად იგი საქართველოში ჩამოვიდა, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მხარეში, ხოლო აქაურობის გაცნობის შემდეგ კი იგი საქართველოსა და მის თვითმყოფად კულტურას განსაკუთრებულ შეფასებას აძლევდა. დე ბაი საქართველოს შესხებ დაწერილი თავისი პირველი წიგნის და-



საწყისშივე ამბობდა: „ქართველები, როგორც ქრონილოგიური, ასევე გეოგრაფიული თვალსაზრისით, შორუულ აღმოსავლეთში საწმუნოების გამაფრცელებელთა უანგარდში იყვნენ. ისინი დამსახურებული სიამაყით შეახსენებენ რუსებს, რომ ქართველები მათზე ადრე გახდნენ ქრისტიანული ცოდნისაციის ნაწილი“.

ანა ჯიმიშვილი, კულტურული ფეხმიდრეობის კურატორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
შან-შაპ შარპი, ეპერნეს მუზეუმის საპატიო მთავარი კურატორი (საფრანგეთი)



ბარონი
დე ბაი

„დაკარგულები“ ქალაქის ცენტრში

რით პგავს ვაჭარ

გილგილოვის საფლავი ვერის
სასაფლაოზე მთაწმინდის
პაროვოცი იღიას
განსასვენებელს...

თბილისის ერთ-ერთი უბნის, ვერის სასაფლაო ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიასთან მდებარეობდა. მან XX საუკუნის 30-იან წლებამდე იარსება. დღეს აქ უკვე ვერის პარკია გაშენებული. ვერაზე მეორე სასაფლაო თბილისელმა სომხებმა 1836 წელს გამშნეს, ხოლო 1844 წელს აქ დავით თამაშშვის შემოწირულობით ძელიც ხოვლის ანუ სურბ ხაჩის ეკლესია აშენდა. მას შემდგე თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ძიდი სასაფლაოს გალავანს მიღმა სხვადასხვა ეროვნების ბეჭრი ცნობილი თბილისელი დაიკრძალა.

აქ უკანასკნელ განსასვენებელს პოულობდნენ მხატვრები და პოტეტი, მთამსვლელები და სასულიერო მოღვაწენი, თაგადები და ვაჭრები. 1920 წლიდან ვერის სასაფლაო ოფიციალურად დაბურა, თუმცა 70 წლის შემდგე იგი კვლავ გაიხსნა...

ამჯერად დედაქალაქის ერთ-ერთი საინტერესო ისტორიული ადგილი ამოვირჩიეთ „სამოგზაუროდ“. ვერის სასაფლაო ხომ ქალაქის შეუგულშია და შეიძლება ითქვას, აქ ჩვენთვის მანამდე უცნობი თბილის და საქართველო ვიპოვეთ.

დიდ აკლდამებს შორის თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და შეძლებული მოქალაქის, ალექსანდრე მელიქ აზარიანცის (1847- 1923) მოკრძალებული საფლავი მოჩანს. მის საფლავის სკვერს რუსელებულად აწერია „მშვიდობა შენდა ღირსეულო მამა“.

მელიქ აზარიანცს არა მხოლოდ იმდროინდელი თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი, მან თბილისის არქიტექტურულ იერსახესაც ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა შეჰქმატა.



ძეგი ანარეგების აკლდამა თბილისური მოდერნის სუკუთხლი ნიმუშია


ეს სახლი 1912-1915 წლებში პეტერბურგელი არქიტექტორის, ნიკოლოზ ობოლონსკის პროექტითა და უშუალო ძალისხმევით აშენდა. მისი საძირკველი პრობლემური აღმოჩნდა გრუნტის წყლების გამო, ამიტომ პირველად კაგასიაში უნიკალური მეთოდი გამოიყენეს და სახლის საძირკველში ე.წ. ტყვიის კარკასები ჩამაგრეს. ამას ფუნდამენტი მიწისქვეშა წყლების ზემოქმედებისგან დაიცვა. შენებლობისას კი განსაკუთრებულად გამომწვარ აგურს იყენებდნენ. 1960-1970-იან წლებში სახლის აფეთქება და რესპუბლიკის მოედნის გაფართოება მოინდომეს, თუმცა დიდმა საზოგადოებრივმა უქმაყოფილებამ და შენობის საძირკვლის დანგრევის მოსალოდნებულმა სირთულემ კომუნისტებს განხრახაზე ხელი ააღებინა. მას შემდეგ აზარიანცის სახლი თბილის მარგალიტად შემორჩა და ლეგენდებით შეიმოსა. ამბობენ, მელიქ აზარიანცმა 1904 წელს გარდაცვლილი ქალიშვილის გლოვის ნიშნად მთელი სახლი ქვის სამგლოვარო თაიგულებით შეამკო, რომლის ქვემოთ ფანჯრებს კი ცრემლების ფორმა მისცა.

აირჩივ შესაფერისი იარაღი. ისროდე ზუსტად
გააუმჯობესეთ შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლით თოვისთვის საფანტის შერჩევა

სიახლე!

ფასი
29.95 ლარი

335 მნიშვნელოვანი რჩევა ნეირობის შესახებ



შეიძინეთ ნიმნის მაღაზიაზე

ნიმნები სახელში მიზანით ფასაღაფის ბარება ფონ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 www.elva.ge



მელიქ აზარიანცის საფლავი



მელიქ აზარიანცის სახლი თბილის მარგალიტად შემორჩენილი 1923 წელს დასაწყისის ფოტო



ალექსანდრე
მრევლიშვილი
ქართული
რეალისტური
მხატვრობის
გამორჩეული
წარმომადგენელი
იყო. ქვემოთ —
მისი საფლავი



თავად აზარიანცი, სხვა ემიგრანტებისგან განსხვავდებით, უცხოეთში არ გაქცეულა, თბილისში დარჩა. მას შენობა ბოლშვიკებმა ჩამოართვეს და საცხოვრებელი საკუთარი სასახლის სადარბაზოში, ერთ-ერთი კიბის ქვეშ მიუჩინეს. მელიქ აზარიანცი იქ გარდაიცვლა და მეობრების შევრცელი ფულით დაკრძალეს.

მელიქ აზარიანცის საფლავთან ახლოს ტყილისის მეორე გილდიის ვაჭრის, ასატურ სერგოვის გირგიდოვის მონუმენტური აკლდამა მოჩანს. სასაფლაოზე არაერთი ღირსეული ადამიანია დაკრძალული, მათ შორისაა ქართული რეალისტური მხატვრობის ერთერთი გამორჩეული წარმომადგენელი ალექსანდრე მრევლიშვილი. მისი საფლავი დღეს მოუკლელია და უპატრონო და ვთიქრობთ, სასწრაფოდ მოითხოვს კურადღებას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, 1899 წელს გარდაცვლილი ვაჭარ გირგიდოვის საფლავი ძალიან ჰგავს 1913 წელს მთაწმინდის პანთეონში გახსნილ ილიას განსავენებელს. როგორც ჩანს, იაკობ ნიკოლაძის ძეგლის — მტირალი საქართველოს გაფორმების ღროს არქიტექტორმა პეტრე მამრაძემ შთაგონების წყაროდ ვერის სასაფლაოს აკლდამა აიღო. გირგიდოვის აკლდამის ავტორი, სამარის ლოდის წარწერის მიხედვით, ავსტრიის იმპერატორის კარის ქვისმოლელი და მოქანდაკე ედუარდ გაუზერი ყოფილა.

ვერის სასაფლაოზე კელაზე დიდი და გამორჩეული აკლდამა ძმები ანანოვებისაა. მათი გერის წარწერის ფრაგმენტები უკვე დაზიანებული შემორჩა კარიბჭის თავს. აკლდამა თბილისური მოდერნის საუკეთესო ნიმუშია, თუმცა ისიც, როგორც სხვა ძეგლები, უმოწყალოდ ნაღდურდება. თავად ძმებ ანანოვების შესახებ მწირი ინფორმაცია შემორჩა. ცნობილია, რომ ისინი კუკასიაში შამპანურის უმსხვილესი მწარმოებლები იყვნენ. ფრანგებისა და იტალიელების მიერ აშენებული ღვინის საცავები ძმებ ანანოვებს ყვირილასა და ბაღდაღში ჰქონდათ.

ვერის სასაფლაოს შუაში, მაღალ ბაღაზში მნელად თუ შენიშნავთ საშუალო ზომის სამარის ლოდს, რომელზეც შემდგვი ღერესი იკითხება:

„შეიყვარე მოყვასი შენი!“
ეს იყო ქვეყნად ქრისტეს მოძღვრება
და ამანაც ეს შეისისხლხორცა,
ვით წმინდა მცნება და ნეტარება:
უყვარდა მოძმე, გაურჩეველად,
გვარტომობისა ეჭირა თვალი...
და ხორციელად თვალის ექიმი
სულიერადაც იყო მურნალი.
მაგრამ სოფელმა აღარ აცალა,

ქვეყნის მუშაკი მოსპო უდროოდ
და უწყინარი, მოსიყვარულე
აქ განისვენებს ამიერ მყუდროდ.
„იყო სოფელში და სოფელს არგო“,
დასტოგა ქვეყნად წმინდა სახელი!
სამაგალითო იყოს ამ ქვეყნად
მისი ნეტარი სახსენებელი“

ეს ლექსად გადმოცემული ეპიტაფია აკაკი წერეთელს ეკუთვნის. იგი შეტანილია მგრისის მრავალტომეულის სამტომეულში, სათაურით „გ. ტარსაიძის ხსოვნას“. მაშ, ვინ იყო ის, ვისაც დიდმა აკაკი წერეთელმა ლექსი მიუძღვნა?

გიორგი, იგვე გიგო ტარსაიძე (1857-1904) პირველი და გამორჩეული ოვალის ექიმი გახლდათ. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში მისი ერთადერთი ფოტო აღმოჩნდა, ტარსაიძის ფოტო ნინო ერისთავის არქივში ინახებოდა. ქართული ოფთალმოლოგიის ფუძემდებელს სამშობლოში ბევრი ადამიანი ემადლიერებოდა. ალბათ მათ შორის აკაკი წერეთელიც იყო. ნიკო ლომოურმა გიგო ტარსაიძეს თვისის „პატია მეგობრები“ მიუძღვნა. თხზულების ბოლოში ნათქვამი ლომოურის სიტყვები ალბათ ყველაზე კარგად აღწერს

გილდიის გაჭრის ასატურ გირუდოვისა და დიდი ილია ჭიჭაძის საფლავები





ანანოვების
შამპანურის
რეკლამა

ქართველი ექიმის მოღვაწეობას: „გადიოდნენ დღეები, თვეები, წელიწადები, და ტარსაძე და მისგან ჩადენილი მადლი არათუ არ აკიწყ-დებოდა არავის, არამედ უფრო ბრწყინვალე სახიერებას იღებდა, ზღაპრული თვისებით იმოსებოდა. ხშირად მთელი საათობით ის-ხდნენ ხოლმე ერთად და პატივისცემით, სიყვარულით იგონებდნენ ექიმის თვითუულ სიტყვას, მოქმედებას და გულის სიღრმილან

წამოსულ სალამს, მაღლობას უთველიდნენ ხოლმე შორიდან. ყველა ამის მიხედვით, ვგონებ, ცხადად წარმოიდგენს მკითხველი, თუ რა მწუხარება ჩამოვარდებოდა ჩვენს გოგოებსა და მთელ სოფელში, როდესაც შარშან, ამ დროს, გაისძა ზეა ტარსაიძის გარდა ცვალებისა. დადი, ენით გამოუთქმელი იყო ეს მწუხარება! ქალები გულამოსკვნით ქვითინებდნენ და ამათ ქვითინს ბანს აძლევ-

გიგო ტარსაიძის საფლავი

პირველ ქართველ იუსტილმოროვს გივო ტარსაიძეს
(სურათშე პირველ რიგში მარჯვნიდან პირველი)
აკაპი წერეთმობა ლექსი უძღვნა



და მთელი მგლოვარე სოფლის თანავრძნობა. ბედნიერია, ჭუშმარიტად ბედნიერია ის მოღვაწე, რომელიც თავის სიცოცხლით შეეპა-ლხენასა ჰყენს ტანჯულ, დაგრძომილ ხალხსა, ხოლო თავის სიკვდილით მდუღარე ცრემლს აფრქვევინებს მას“.

ვერაზე დაკრძალული არიან ნიტო და ატო აღნიაშვილები. ეს უკანასკნელი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი იყო. იგი გიორგი ნიკოლაძესთან ერთად ერთხელ იალბუზზე, ხუთჯერ კი მყინვარწევრზე ავიდა.

ვერის ეკლესიის ქვედა ყურესთან, აღმოსავლეთ მხარეს იმერეთის ქასკოპოს გაბრიელ ქიქოძის ტრაგიულად დაღუპული 25 წლის მეუღლე მარიამი, შეკილები: 2 წლის ნინო და ნიკოლოზი და 11 თვის ოლდა განისვენებენ. დღეს შემორჩენილი წარწერის თანახმად ქიქოძეთა საფლავზე ადრე აღგეთის ლურჯი, სადად გათლილი სამარის ლოდი ყოფილა.

საფლავებს შორის მცირედ მოვაკებულ ადგილს შემოდგომის ფოთლების გროვებს შორის მოჩანს ალექსანდრე ირაკლის ქებაგრატიონ-მუხრანელის (1853-1918) სამარის ლოდი. მუხრანელი თავადი ლაიბგვარდიის ცხენოსანთა პოლკის მეთაური და გენერალ-ლეიტენანტი ყოფილა, დაამთავრა ნიკოლავ-სკის კავალერისტთა სასწავლებელი, ყარსის აღებაში გამოჩენილი მამაცობისთვის წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოოს. 1905 წლიდან მუხრან-ბატონი იმპერატორის ამალის გენერალ-მაიორად დაინიშნა. 1918 წლის შემოდგომაზე იგი პიატიგორსკში ბოლშვიკებმა დაპატიმრეს და 18-19 ოქტომბერს ტყევთა მასობრივი დახოცვისას ამოხადეს სული. ნათესავებმა მუხრან-ბატონი ვერის სასაფლაოზე გადმოასვენეს. გენერალი 1903 წლიდან სიკვდილამდე მუხრანის საგარეულო სახლის ხელმძღვანელად ითვლებოდა. მისი ნეშტი სათანადო პატივით გადასვენებასა და დაკრძალვას დღემდე ელოდება. ხოლო თუ საფლავს დროზე ყურადღება არ მიექცევა, დიდია ალბათობა, იგი სამუდამოდ დაიკარგოს.

გიორგი პატიონის საფლავი

საქართველოს თეატრის, მუხრანის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი




ატო აღნიაშვილი
გიორგი
ნიკოლაძესთან
ერთად ერთხელ
იალბუზზე,
ხუთჯერ კი
მყინვარწევრზე
ავიდა



გენერალი
ალექსანდრე
ბაგრატიონ-
მუხრანელის
საფლავს
განადგურება
ემუქრება

მუხრან-ბატონის საფლავი





„სკანია“ პირველი მოდელი, ქარხნის კარის წინ, მალმეში, 1901 წ.

ავტომობილები გვეძეთის პროცესის სახელით

ბრძელი ბზა „ბორბლიანი ტაბურეტებიდან“

„სკანია“ სატვირთო ავტომობილების, კომფორტული საქალაქო და ტურისტული ავტობუსების მსოფლიოში ცნობილი ბრძნდია. შვედური კონცერნი ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში მძიმე სატვირთო მანქანებისა და ავტობუსების წარმოებით, „სკანია“ ასევე ამზადებს ინდუსტრიული სუბსტრუქტებისა და გერებისთვის საჭირო ძრავებს. კონცერნის რესურსები ძირითადად მძიმე ტრანსპორტის წარმოებაშია თავმოყრილი. 1891 წლიდან დღემდე ფირმებმა, რომლებიც დროთა განმავლობაში „სკანიაში“ გაერთანხმდნენ, გამოუშეს 1,4 მილიონზე მეტი სატვირთო მანქანა და ავტობუსი. პროდუქციის ხარისხისა და მრავალფეროვნი ასორტიმენტის წყალობით, „სკანია“ არა მარტო შვედეთში, არამედ ევროპაში გახდა ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და შეარცი შემოსავლის მქონე კომპანია. შვიდი ათეული წლის განმავლობაში, კოველ წელიწადს „სკანიას“ პროდუქციაზე მეტი იყო მოთხოვნილება, ვიდრე წინა წელიწადს. დღეს „სკანია“ სურათშორისობა კორპორაციაა, რომელიც ასზე მეტ ქვეყნაში მუშაობს და მისი პროდუქციის 97% შევდეთის გარეთ იწარმოება.

„სკანია“ (Scania) დაფუძნდა 1901 წელს, სამხრეთ შვედეთის ქალაქ მალმეში. კომპანიის სახელწოდება წარმოადგენს შვედური და ლათინური სიტყვების გაერთიანებას — Maskinfabriksaktiebolaget Scania (მანქანათმშენებელი ქარხანა „სკანია“). ქალაქი მალმე გახლავთ ყველაზე დიდი ქალაქი ქვეყნის ერთ-ერთ ისტორიულ ოლქში, სკონეში, ხოლო სკანია სკანეს ლათინიზებული ვარიანტია. „სკანია“ დაფუძნდა ინგლისური კომპანია Humber-ის შვედეთის ფილიალის ბაზაზე. საინტერესოა, რომ ეს ფირმა იმ პერიოდში უშვებდა მაღალი ხარისხის ველოსიპედებს, რომელთაც ხალხი „ბორბლიან ტაბურეტებს“ ეძახდა. იმავე წელს კომპანიამ გამოუშვა პირველი მსუბუქი ავტომობილი, ხოლო 1902 წელს პირველი სატვირთო მანქანაც, რითაც „სკანიას“ ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. სატვირთო მანქანის პროექტზე მუშაობისას ინჟინერები ანტონ სვენსონი და რენტოლდ ტორნსინი ბეგრს კამათობდნენ, სად განეთავსებინათ ძრავა. ამოცანა იმპროვიზაციული იყო, რადგან მუშაობა მიმდინარეობდა სრულიად ახალი ტიპის პროდუქციაზე, რომელმაც მომავალში მთლიანად განსაზღვრა კომპანიის ბედი. ინჟინერთა პოზიციები განსხვავებული იყო, სვენსონს უნდოდა, ძრავა სატვირთო მანქანის წინა ნაწილში განთავსებულიყო, მისი კოლუგა კი შესაფერის ადგილად მანქანის უკანა ნაწილს მიიჩნევდა. ინჟინერები კომპრომისამდე მიიღინენ და ორცილინდრიანი ძრავა მდლოლის სავარძელზე დამონტაჟდა. „სკანია“ პირველ სატვირთო მანქანას შეეძლო 15 კმ/სთ-ის სიჩქარით ნახევარ ტონამდე ტვირთი გადაეტანა.

1902 წელი სიახლის მომტანი აღმოჩნდა ქალაქ სედერტალში მდებარე შვედური ფირმა „ვაბისისთვისაც“ (Vabis), რომელმაც გამოუშვა თავისი პირველი სატვირთო მანქანა. 1891 წელს Vagnafabriksaktielbolaget-ის სახლით (შვედურად „ვაგონების ფაბრიკა სედერტალში“, შემოკლებით Vabis) დაუუქნებული კომპანია სარკინიგზო ვაგონებს აშადებდა.

1911 წელს „სკანია“ და „ვაბისი“ გაერთიანდნენ, რის საფუძველზეც შეიქმნა ახალი კომპანია „სკანია-ვაბისი“. მხარეებმა საერთო მიზნისთვის გააერთიანეს თავიანთი გა-



Humber-ის ველოსიპედი, 1896 წ.



ველოსიპედების ეს მოდელები 1910 წლამდე გამოდიოდა. საფირმო მუზეუმის ექსპოზიცია

1897 წლის მოდელის ავტომობილი





„სკანია“, 1908 წ., საბარგულში დგანან მანქანის აწყობაზე მომუშვე თხტატები

მოცდილება, რესურსები და იღები. ახალმა კომპანიამ ძირითადი ყურადღება დაუთმო ავტომობილების წარმოებას. პირველ წელი-წადს „სკანია-ვაბისმა“ გამოუშვა 40 მსუბუქი და 23 სატვირთო მანქანა, ასევე ერთი ავტობუსი. იმ დროის წარმოების ტემპებისა და

ტექნოლოგიური მიღწევების პირობაზე, ეს საკმაოდ მაღალი ტემპი იყო.

1913 წელს სედერტალეს ქარხანაში გაჩენილმა ძლიერმა ხანძარმა პრაქტიკულად მთლიანად გაანადგურა მოწყობილობა-დანადგარები და წარმოებაც დროებით შეჩერდა.

„სკანია“, 1902 წლის მოდელი



დამწერი ტექნიკის ნაცვლად, ქარხანაში შეიტანეს სრულიად ახალი და მოდერნიზებული, ბოლო თაობის საწარმოო ტექნიკა, მათ შორის დაზგები. განახლებულ ქარხანაში საწარმოო პროცესისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც ამაღლდა, რის შედეგადაც „სკანია-ვაბის“ წარმატებით ასრულებდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში არმიისთვის საჭირო შეკვეთებს.

1921 წელს „სკანია-ვაბის“ გაქოტრდა და მოხდა კომპანიის ძირის რეინგაზიზაცია. 1925 წელს კომპანიამ უარი თქვა მსუბუქი ავტომობილების გამოშვებაზე. მთელი ყურადღება გადაიტანეს იმ დროისთვის გაცილებით რენტაბელური სატვირთო მანქანებისა და ავტობუსების წარმოებაზე. 1920-იან წლებში ეპროპასა და ამერიკაში მიმდინარე ე.წ. მეორე ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად გაიზარდა ქალაქების ფართობები, ფართოდ დაიტესელა გზები. საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოთხოვნილება გაიზარდა. გააქტიურებულ სავაჭრო-საფინანსო ურთიერთობების ეპოქაში ასევე გაიზარდა მოთხოვნა ტვირთშიდ მანქანებზე.


განსაკუთრებით შემოსავლიანი ავტობუსების წარმოება აღმოჩნდა. 1930-იან წლებში კომპანიამ ორჯერ მეტი ავტობუსი გამოუშვა, ვიდრე სატვირთო ავტომობილი. განსაკუთრებით პოპულარული აღმოჩნდა 1932 წლის გამოშვება, ავტობუსი „ბულდოგი“. მის დიზაინში თვალში საცემი იყო წინ გამოწეული კაპოტის არარსებობა. გარდა ამისა, მძლოლი ავტობუსის უშუალოდ წინა ნაწილში იჯდა, ძრავის მარჯვნივ. ეს ტექნიკური პარამეტრები სწორედ იმ დროს შემოდიოდა მოდაში და მკვიდრდებოდა. „სკანიას“ ახალ ავტობუსში გაცილებით მეტი მგზავრი ეტეოდა, რადგან გამოწეული კაპოტის უქონლობის მიუხედავად, ჯამში მას იგვე სიგრძე ჰქონდა, რაც გრძელებაპოტიან ავტობუსებს. ავტობუსის წარმატებული პროექტის ტექნიკური დეტალები სატვირთო მანქანების დასაპროექტებლადაც გამოიყენეს.

სიახლეები სატვირთო მანქანების წარმოებაშიც დაინერგა. 1931 წლიდან კომპანია აქტიურად იყენებდა შვედი ინჟინრის, იონას პესელმანის მიერ დაპროექტებულ დიზელისა და ბენზინის კომბინირებულ ძრავას. 1936 წლიდან კი „სკანიამ“ დაიწყო საკუთარი დი-



„ვაბის“ ურიგის ტიპის გაგონი, გამოდიოდა XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში და მისი ინტერიერი (ქვემოთ)





ზელის ძრავის წარმოება. დიზელის ძრავზე გადასცლამ საგრძნობლად გაზარდა „სკანიას“ მანქანების ეკონომიურობა. 1935 წელს „სკანია-ვაბისი“ გახდა კონცერნ „ფოლკსვაგენის“ გენერალური წარმომადგენელი შეკედეთში.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ბენზინის დეფიციტის გამო, ავტომობილებისთვის ფართოდ გამოიყენებოდა ბუნებრივ აირზე მომუშავე გენერატორები. ამგვარ გენერა-

ტორებს „სკანია-ვაბისიც“ იყენებდა. ომის წლებში ფირმამ ახალი მიზნები დაისახა და წარმოების მთავარი მიმართულება სატრირო მანქანები გახდა. იმავდროულად, კომპანია ასრულებდა სხვადასხვა ტიპის სამხედრო შეკვეთას, აწარმოებდა ტანკებსა და ჯავშან-ტრანსპორტიორებს.

1950-იან წლებში „სკანია-ვაბისში“ ახალი სტრატეგია შემუშავდა, რომლის მიხედვითაც

„სკანია-ვაბის“ ავტომუსი, 1911 წ.



კომპანიამ საზღვარგარეთის ბაზრის ათვის სებას დაუთმო დიდი ყურადღება. გაიზარდა სატვირთო მანქანების წარმოებაც. 1959 წელს სამჯერ მეტი ავტომანქანა გამოუშვეს, ვიდრე 1940 წელს. 1962 წელს ბრაზილიაში, ქალაქ სან-პაულიში გაიხსნა „სკანია-ვაბისი“ ავტობუსებისა და სატვირთო მანქანების ქარხანა. 1964 წლიდან კი კომპანიის სატვირთო მანქანებს ჰოლანდიაშიც უშვებდნენ. წარმოების გეოგრაფიის გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური პროგრესიც. უფრო სრულყოფილი მანქანები ხარისხის უფრო მაღალ სტანდარტებს აქმაყოფილებდნენ. 1959 წლიდან „სკანია-ვაბისის“ მანქანებში გამოჩნდა ტურბოდიზელი, დაპროექტდა ახალი ტიპის კაბინები, რომელთაც უსაფრთხოებისა და გამძლეობის სპეციალური ტესტები გაარეს. 50-იან წლებში „სკანია-ვაბისი“ ბიზნესს აფართოებდა და მთელ ვეროპაში გაყიდვისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტებს ხსნიდა.

1969 წელს „სკანია-ვაბისის“ სტრუქტურას კიდევ ერთი ფირმა შეერწყა, — შვედური „სააბი“ (Saab), მსუბუქი მანქანებისა და ავიატექნიკის დამაშვადებელი. ამიერიდან კონცერნში სამი სეტიერტი ერთიანდებოდა — „სკანია“, „ვაბისი“ და „სააბი“. შეიცვალა კომპანიის მარკაც, „სკანია-ვაბისის“ ნაცვლად, კონცერნს უბრალოდ „სკანია“ ეწოდა. თუმცა ეს გაერთიანება მომავალში დაიშალა, „სკანიამ“ კი 1995 წლიდან დამოუკიდებელი ფირმის სტატუსით განაგრძო მუშაობა. 1970-იან წლებში კომპანიამ წარმოების გეოგრაფია გააფართოვა. 1976 წელს ქარხნები აშენდა არგენტინაში, აშშ-ში, მექსიკაში, ავსტრალიაში, მოვაინებით კი საფრანგეთსა და სსრკ-ში. 1960-იან წლებშივე შვედეთში კონცერნმა დამატებით ორი ქარხანა გახსნა.

1980-იან წლებში „სკანიამ“ მსოფლიო ბაზარზე მძიმე სატვირთო მანქანების წარმოებაში ლიდერის სტატუსი მოიპოვა. გამოცდილების გათვალისწინებით დაიწყო ე.წ. მე-2 სერიის მოდერნიზებული, მაღალი ტექნიკური მაჩვენებლების მქონე სატვირთო მანქანების გამოშვება. მათ პოპულარობას ხელი შეუწყო ავტომობილის ექსტერიერმაც, რომელზეც ცნობილი იტალიელი დიზაინერი ჯორჯო ჯუჯარო ზრუნავდა. 1987 წლიდან გამოსულმა სატვირთო მანქანების მე-3 თაობამ კი, ინოვა-



„სკანია-ვაბისის“ სატვირთო ავტომობილი, 1914 წ.



„სკანია-ვაბისი“, 1925 წ.

ციური ტექნიკულოგიების საფუძველზე, წლის საუკეთესო ვეროპული სატვირთო მანქანის ტიტული მოიპოვა (1989). კომპანიის ინიცირებმა 1990-იან წლებში კიდევ რამდენჯერმე სრულყვეს ავტომობილი და 1996 წელს „სკანიას“ სატვირთო მანქანა კვლავ გახდა წლის საუკეთესო ვეროპული სატვირთო მანქანა. აღსანიშნავი იყო 2003 წელს კომპანიის მიერ წარმოიდგენილი ე.წ. Longline-ის ტიპის კაბინა, რაც გულისხმობდა მძღოლის სავარძლის უკან, საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის, სივრცის დამატებით გაზრდას. „ლონგლაინის“ ტიპის კაბინამ საგრძნობლად გაადვილა ხანგრძლივი სატვირთო გადაზიდვები.



„სკანიას“ უტომუსი „ბულდოვი“, 1932 წ.



„სკანიას“ „ბულდოვის“ მძღოლის საგარმელო,
ინჟინერი, 1932 წ.

სკანიას ახალი მოდელები

დღეს კომპანია საქმიანობს ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში. მომსახურებისა და მაღაზიათა ქსელი 100-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს, სადაც 35 ათასზე მეტი კაცია დასაქმებული. კომპანიის ძირითადი საწარმოო რესურსები კი ევროპასა და ლათინურ ამერიკაშია.

„სკანიაში“ დიდი კურადღება ექცევა ბუნებისდაცვით საკითხებს, ბრენდი ცდილობს, მინიმუმამდე შეამციროს გარემოზე მავნე ზეგავლენა ავტომობილების წარმოებისა და ექსპლუატაციის დროს. მუშავდება ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტისა და ალტერნატიული საწვავის შესაძლო ვარიანტები და მათში ბევრია ნოვატორული იდეა აღდგენადი საწვავის, ჰიბრიდული ძრავების, სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციის შესახებ. უკვე 20 წელიწადზე მეტია, კომპანია ქმნის ალტერნატიულ საწვავზე (მაგალითად, ეთანოლზე) მომუშავე ავტომობილების პროექტებს. საინტერესოა, რომ „სკანიას“ ბიზნესსტრატეგიის თანახმად, პროდუქციისა და მომსახურების განვითარების პროცესის ძირითადი ორიენტირი მდგრლია, როგორც ეფექტუანი ექსპლუატაციის, ეკოლოგიურობისა და უსაფრთხოების განვაპირობებელი საკვანძო ფაქტორი.

ამჟამად მსოფლიოში უამრავი ქალაქისა და მეგაპოლისის ავტოპარკს სწორედ „სკანიას“ ფირმის კომფორტული და მოდერნიზებული ავტობუსები შეაღენენ.

მისამართი პარკოვი



მუზეუმის გაძარცვას ომის ვერ ჩამოწერს

ბერლინის მუზეუმში 1945 წელს
ბატანილი ექსპონატი დაბრუნდა

ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ასურული ოქროს ფირფიტა, რომელიც 3 000 წელიწადს ითვლის, ბერლინის ახლო აღმოსავლეთის მუზეუმს დაუბრუნდება. არტეფაქტი 9,5 გრამს იწონის და \$10 მილიონად არის შეფასებული. ის ასურეთში ტუკურტი-ნიუტრა I-ის მეფობის პერიოდს განეკუთვნება. ფირფიტა ბერლინში ნოებრის მიწურულს გაიგზავნა.

ოქროს ფირფიტაზე
წარწერა ყველას
მოუწოდებს,
მეცე ტუკურტი-
ნიუტრა I-ის
სახლი აღიდოს



ოსვენციმის საკონცენტრა-
ციო ბანაკს ცოცხლად გადარ-
ჩენილი რივენ ფლამენბაუმი
ახლობლებს უყვებოდა, რომ
ფირფიტა მას რუსმა ჯარის-
კაცმა სიგარეტის სანაცვლოდ
მისცა. რივენის გარდაცვალების შემდეგ, მისი
ვაჟი, ისრაელ ფლამენბაუმი ოჯახისგან მა-
ლულად ჩავიდა ბერლინის ახლო აღმოსავ-
ლეთის მუზეუმში, რათა არტეფაქტის შესახებ
მიეწოდებონა ინფორმაცია. სავარაუდოდ, მას
ფირფიტის გაყიდვა საკუთარი დების გვერდის
ავლით სურდა.

ნიუ-იორკის სასამართლომ არ გაიზიარა
მტკიცება, რომ რელიგია, რომელიც ომის
ნადავლი იყო, ფლამენბაუმმა კანონიერად
შეიძინა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, საბჭოთა მთავრობამ საკუთარ ჯარებს გერმა-
ნული ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა ფასე-
ულობების მითვისება დაანება. სასამართლომ
საბჭოთა ხელისუფლების ეს ქმედება ექსპო-
ნატების კეთილსინდისიერი მფლობელობის-
თვის საქამარის საფუძვლად არ მიიჩნია.

ფლამენბაუმების აღვოკატი სტივენ შლე-
ზინგერი ამბობს, რომ ოჯახი სასამართლოს
გადაწყვეტილებით გაოგნებულია. არტეფაქტი
მათთვის მხოლოდ უბრალო საშმენისი იყო.

სასამართლოს დოკუმენტაციით, ოქროს
ფირფიტა ძვ.წ. 1243-1207 წლებით თარიღ-

დება. ის ერთ-ერთი ტაძრის საძირკველში
აღმოაჩინეს. მასზე ლურსმული წარწერაა,
რომლის 21-ე ხაზი მოუწოდებს ყველას, ვინც
ნახავს ტაძარს, ადიდოს მეცე ტუკურტი-ნი-
უტრა I-ის სახლი.

ოქროს ფირფიტა გერმანელმა მეცნიე-
რებმა ჩრდილოეთ ერაში 1908-1914 წლების
არქეოლოგიური ექსპედიციის დროს აღმოა-
ჩინეს და ბერლინის ცნობილ მუზეუმში გადა-
აგზავნეს. 1934 წელს არტეფაქტი გამოფენაზე
გაიტანეს. 1939 წელს, მეორე მსოფლიო ომის
დაწყებისა და ბერლინის მუზეუმის დახურვის
შემდეგ იგი გაურკვეველ ვითარებაში გაქრა.
ბოლო დროს ფირფიტა პოლოკოსტგამოვლი-
ლი რივენ ფლამენბაუმისა და მისი მექეიდ-
რების საკუთრებას წარმოადგენდა.

ოფიციალური ვერსიით, ფირფიტა 1945
წელს, ბერლინის მუზეუმის გაძარცვის შემ-
დეგ დაიკარგა. ძარცვაში კი არა მხოლოდ
საბჭოთა, არამედ გერმანელი ჯარისკაცები
და მოსახლეობაც მონაწილეობდა.

**მოშადებულია New York Post-ისა და
NBC-ის მიხედვით**

ჰაიტენის ჰიმლინი ბორის ბორის ბორი

მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეეპუთებულ შტატებში პოპულარული იყო ასეთი ანექდოტი: „შეილიშვილი ბაბუას ეკითხება, ომი როდის დამთავრებათ. ბაბუა პასუხობს:

- როცა სამი კაცი მოკვდება.
- ვინ სამი?
- პიტლერი, პიმლერი და გერინგი“.
- როგორც ცნობილია, მესამე რაიხის მესამეურები კაცობრიობის წინაშე დამნაშავებად გამოაცხადეს. პიტლერის შემდეგ ნომერ მეორე დამნაშავედ პიმლერი მიიჩნეოდა.
- გერმანიის ბოროტი გენია, — ასე შევიდა იგი ისტორიაში, — წერს ინგლისელი ისტორიკოსი ლეონარდ მოზლი.

„საშუალო მონაცემების კაცი იყო, თუმცა ორგანიზატორული ნიჭი და ინტრიგის აკორების უნარი მართლაც გააჩნდა“, — ასე ასასიათებს პიმლერს პიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვის (აბვერის) პირველი შეფი რაინპარდ გელენი.

პაინრიხ პიმლერი 1900 წელს დაიბადა გიმაზიის დირექტორის ოჯახში. მამამისი გერმანიაში ცნობილი პედაგოგი იყო. მის მოსწავლეთა შორის პრინციც ერია, რომელიც შემდგომ პიმლერის ნათლია გახდა. სწორედ პრინცმა დაარქვა სახელად პაინრიხი. ნორჩ პიმლერს ბრძოლის დაუღოველი სურვილი პქრნდა, თუმცა სუსტი მხედველობის გამო არმაში არ იღებდნენ. სამხედრო ფორმის ჩაცმაში პრინცის პროტექცია დაეხმარა. პიმლერმა ის-ის იყო პრაპორშიკთა სკოლა დამთავრა, რომ პირველი მსოფლიო ომიც დასრულდა.

— მას ფრონტზე ყოფნა და საომარ მოქმედებებში მონაწილეობამ არ მოუწია, — წერს მოზლი, — თუმცა შემდგომში ბრძოლებში გამოჩენილ თავის არარსებულ გმირობებზე დიდხანს და გატაცებით ლაპარაკობდა.



მარცხნიდან: პერნან გერინგი, ვილჰელმ კუტელი, პაინრიხ პიმლერი და ადოლფ ჰიტლერი

ომის შემდეგ გერმანია ქაოსში მოიცავა. ბავარიაში საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა. პიმლერიც ფრაიგენბი (ნახევრად გასამსედროებული პატრიოტული ფორმირების წევრი) გახდა და საბჭოების წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა. კოველ შემთხვევში, თვალი ასე ამტკიცებდა. გერმანელი გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტიპელსკირხი ამის თაობაზე წერს:

— პიმლერმა აქცი დაიგვიანა. ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა უიმისოდ ჩაახშეს.

გაიმარის რესპუბლიკაში ცხოვრება ძალიან მძიმე იყო. სიღუხჭირეს ისიც დაუმატა, რომ პიმლერის მსგავსმა აღამიანებმა გავლენიანი მფარველები დაკარგეს. პაინრიხისაც გზის გაგაფვა მარტიკას უწევდა. მან ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ერნსტ რემი გაიცნო და მაღლე პარტიის წევრიც გახდა, თუმცა მისა და რემის ურთიერთობა მაღლე დაიძაბა. რემს არ უყვარდა ეს „საშუალო ტანის პენსიერიანი ახალგაზრდა“ არნახული ამბიციებით. სამაგიეროდ, პიმლერს წევრობის თვალით უყურებდა გრევორ შტრასერი, პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ცნობილ „ლუდის პუტჩში“ ჰიმლერი აქტიურად მონაწილეობდა. მისი ჩახშობის შემდეგ ნაციონალ-სოციალისტური პარტია აიკრძალა და მის ნაცვლად ნაციონალ-განმათვისუფლებელი მოძრაობა შეიქმნა. ჰიმლერიც მისი ერთ-ერთი აქტივისტი და შტრასერის პირადი მდგრანი გახდა.

— ის მოულ გერმანიაში დაქროდა, ვაგზ-ლებში ეძინა და ყავის მსგავს რაღაც სითხეს სვამდა, — წერს საბჭოთა მწერალი იულიან სემიონვი, — აქ ცხადლივ გამოვლინდა მისი კიდვე ერთი თვისება, ორგანიზატორულ ნიჭ-თან ერთად გასაოცარი შრომის უნარი პქონდა.

მაღვ ნაციონალ-სოციალისტური პარტია აღდგა. ჰიმლერს SS-ის (ნაცისტების შეიარა-დებული ფორმირების) რაზმების ფორმირება დაავალეს. ჰიმლერი შეშფოთებული იყო რე-მისა და მისი მოიერიშების გავლენის ზრდით. ის თავს „ფიურურის მეგობრად“ და „ნაცისტური მოძრაობის ფუძემდებლად“ აღიქვამდა. ჰიმლერს ასეთი ამბიციები არ გააჩნდა. — ის ძალიან ეწერგიული, კარგი შემსრულებელი და კარგი ორგანიზატორია, — ასე ახასიათებდა მას ჰიმლერი.

1929 წელს ჰიმლერი SS-ის რაიხსფიურერი გახდა. მან მყისვე დაიწყო საკუთარი უშიშროების სამსახურის (SD) შექმნა, რომლის სათავეშიც რაინპარდ ჰაიდრიხი დააყნა.

საკონცენტრაციო ბანაპი

1933 წელს ნაცისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ, თუმცა ამან ჰიმლერს ბევრი ვერა-ფერი მისცა. SS-ის რაიხსფიურერმა საკუთარი მდგრამარეობის განმტკიცებისთვის ზრუნვა დაიწყო. ტიპულ სკირხის ცნობით, მისი მრჩეველი ჰაიდრიხი გახდა. მან ჰიმლერს უთხრა:

— გსმენიათ ოპერაცია „ტრესტის“ შესახებ?

— არა!

— საბჭოთა ჩეკისტებმა ეს ოპერაცია 1921-1926 წლებში მოაწევეს. მისი მეშვეობით ბევრმა ჩეკისტმა გაიკეთა კარიერა.

— მერე მე რა?

— ის, რომ „ტრესტის“ მოდელი შესაძლოა გერმანიაშიც გამოიყენოთ.

ჰაიდრიხმა იდეა მოკლედ და ლაკონიურად ჩამოაყალიბა: SD-ისთვის ცნობილია რამდენიმე იატაკევეშა ანტინაცისტური ჯგუფის არსებობა. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის

წევრია სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჰიმლერი საშინლად სტულს.

— ვერ გამიგია, ამას რად მიყვებით, — შეიძმუშნა ჰიმლერი.

— ამ კაცის საყვარელი ჩემი აგენტია! მას შეუძლია ტერაქტზე წააქვთოს. ჩენ მას კუთვალითვალებთ და გადამწყვეტ მომენტში ქეჩოში ვტაცებთ ხელს.

ჰიმლერი კმაყოფილებით გაიძალრა და პაიდრიხს ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელობა დაავალა. ყველაფერი ჩინებულად მოგვარდა. „ტეროროსტი“ შეიპყრეს. მალე ყველა გერმანულმა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდი ასოებით დაწერა:

— დაპატიმრებულია ტერორისტი, რომელსაც ჰიმლერის მოკვლა სურდა!

მაღლიერმა ფიურერმა ჰიმლერი პოლიტიკური პოლიციის შეფად დანიშნა. შემდეგ იყო მოიერიშეთა ამბოხის ჩახშობა. ჰიმლერი სასტიკად გაუსწორდა ერნსტ რუმს, თუმცა მოიერიშეთა შორის მისი მეგობრებიც იყვნენ. ჰიმლერი მათდამი შეუვალი იყო:

— თქვენ სამშობლოს წინაშე უდიდესი დანაშაული ჩაიდინეთ! გსურთ, რომ გაპატიონები მაშინ გულწრფელი აღიარებითი ჩვენება მოგვცით, რაიხის მტრების მხილებაში დაგვეხმარეთ!

ჰიმლერი უაღრესად კეთილსნდისიერად, ნამდვილი გერმანული პედანტურობით მოქმედებდა. ფიურერის აღფრთვოვანებას საზღვრი არ პქონდა. მან ჰიმლერს პირველი საკონცენტრაციო ბანაკის შექმნა დაავალა.

ჰიმლერი 1930 წელს





პიმლიკი დაპაუს საკონცენტრაციო ბანაკის
ინსპექტორებისას

— ეს ექსპერიმენტია, — უთხრა ჰიტლერმა, — ჩვენ გერმანია ებრაელების, ჰომოსექსუალებისა და ნარკომანებისგან უნდა გუწმინდოთ ისმის კითხვა, როგორ განვახორციელოთ ეს? არსებობს რამდენიმე ვარიანტი, ვნახოთ, როგორ გაამართოდებს.

ასე შეიქმნა დაპაუს საკონცენტრაციო ბანაკი. აქ ყველაფერი მართლაც გერმანული პედანტიზმით იყო გათვლილი. სიკვდილის სრულყოფილი ფაბრიკა, დამარსებლის ორგანიზაციორული ნიჭის წყალობით, შეუფერხებლად მუშაობდა. თუ პატიმარს რამე ინფექციურ დააგადებას აღმოუჩენდნენ, მაშინვე გაზის კამერაში უკრავდნენ თავს. იმავე კამერაში ხვდებოდა ყველა, ვინც ფაზისტურად სუსტი იყო და ბანაკის რეეისმს ვერ უძლებდა. გარდაცვლილებს ქრემატორიუმში წავდნენ. მათი სიკვდილის შესახებ ნათესავებს არ ატყობინებდნენ.

— ნათესავებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ მათ ახლობელს ეწ. ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისთვის მიესაჯა ათი წელიწადი მიმღწერის უფლების გარეშე. ამით ცხადი ხდებოდა, რომ იგი ცოცხლებში აღარ ქრერა, — ამბობს მოზლი.

ვინც სისტემატურად არღვევდა დისციპ-

ლინას, ვისზეც ჩვეულებრივი მეთოდები (ცემა, კარცერი და სხვ) არ ჭრიდა, განსაკუთრებულ ბანაკში აგზავნიდნენ. აქ ექიმები მათზე, როგორც ცხოველებზე, ცდებს დგამდნენ:

— ექიმებს აინტერესებდათ რეაქცია ტკიფილზე, შიშის სიმპტომები და ცდებს აწყობდნენ. ტყვეს თვეების განმავლობაში არ აძლევდნენ საჭმელს, ასმევდნენ მხოლოდ მარილიან წყალს. ამ დროს მის ფისტიკას გულდასმით აკვირდებოდნენ, პედანტურად იწერდნენ ცვლილებებს. ერთ-ერთი ამაზრზენი ექსპერიმენტი გახლდათ ოპერაცია ნარკოზის გარეშე. ყველაფერს ფირზე იღებდნენ, შემდგა კა საგანგებო კონსილიუმებზე დიდხანს მსჯელობდნენ თემაზე „ადამიანი და ტკიფილი“, — წერს მოზლი.

ყველაფერმა ამან მრავლისმნახველი ნაცისტი პარტუზნეციონერებიც კი აღაშფოთა. პროკურატურამ პიმლერის წინააღმდეგ საქმე აღმრა, მაგრამ ფიურურმა იგი დაიცვა:

— შეეშვით პაინრიხს, ის დიდ საქმეს აკეთებს!

პიმლერი დაუნდობლად უსწორდებოდა ყველას, ვინც ჰიტლერის წინააღმდეგ გამოდიოდა. ის არ სკამდა შეკითხვებს, მისთვის მთავარი იყო არა კანონი (ოუნდაც ნაცისტური), არამედ ფიურურის ნება. პიმლერმა მოსპოთ თავისი მასწავლებელი შტრასერი, ვინც ის „დიდ პოლიტიკაში“ გამოიყვანა. მეორე მსოფლიო ომის შემდგა ჭორები დაითინა, თითქოს პიმლერმა შტრასერი თვითონვე დაახრიო, თუმცა ასე არ ყოფილა:

— პიმლერს საკუთარი ხელით ადამიანი არ მოკლავს. ის, საერთოდ, სისხლს ვერ იტანდა. პიმლერი მხოლოდ ბრძანებას იძლეოდა, ჭუჭყიან საქმეს კი სხვები ასრულებდნენ, — განმარტავს მოზლი.

შტრასერის დახვრეტის ბრძანებაც პიმლერმა გასცა. SS-ის რაიხსფონიურერის მასწავლებელი დააპატიმრეს და საკანშივე დახვრიტეს. „თვითმკვლელობა“, — ასეთი იყო ოფიციალური ვერსაია.

პიმლერი და პაილიხი

1941 წელს ბლიცკრიზი (ელვისებური ომი) რუსეთში ჩაიშალა. პროფესიონალები, რომლებიც გერმანულ სპეცსამსახურებში საკმაოდ იყვნენ, მიზვდნენ, რომ ჰიტლერს გერმანია კატასტროფისკენ მიჰყავდა. ერთა-

დერთი გამოსავალი იყო ფიურერის დამხობა, ახალი მთავრობის შექმნა და დასავლეთან სეპარატისტული ზავის დადგება.

— ამ მოძრაობის ლიდერი SD-ის შეფირაინიკარდ ჰაიდრიხი გახდა, — წერს ტიპელსკირხი.

ჰაიდრიხი მართლაც ძლიერი ფიგურა იყო. შეღებერგი მას ახასიათებდა როგორც სასტიკ, მაგრამ ნიჭიერ ადამიანს. ჰაიდრიხის შემდლო საერთო ენა გამოქვება განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან. როგორც კოფილ საზღვაო ოფიცერს, სამხედროები ძალიან აფასებდნენ. ჰაიდრიხი გამოირჩოდა ინტელექტით და სიმამაცით. აბვერის (საბჭედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა) შეფს, ვილპელმ კანარის მან პირადად განუცხადა:

— 1941 წელი იწურება, გერმანია ჯერაც ეიფორიაშია, რადგანაც მოსკოვთან მოვედით. მისი აღება ვერ მოგახერხეთ, მაგრამ რუსეთის ეროპული ნაწილი ჩვენს ხელთაა. ბევრს ჰონია, რომ ომი მოგებულია. შხოლოდ ჩვენ, პროფესიონალები, ვხვდებით, რომ ასე არ არის.

კანარისი დაუფარავი გაოცებით მიაჩერდა. ჰაიდრიხისა კი ნაღვლიანად გაიღიმა:

— ჩვენ, პროფესიონალების, კატასტროფისთვის ჰასუხი მოგვეთხოვება! შთამომავლობა ამას არ გვაპატიობს.

ასე დაიბადა მათი ტანძემი. ჰაიდრიხისმა მართლაც ფართომასტაბიანი მოღვაწეობა გაშალა. გერმანიის წინააღმდეგობის მოძრაობაში მას საკუთარი აგენტები ჰყავდა, რომელთა მეტვებითაც ინგლის-აშშ-ის წარმომადგენლებს დაუკავშირდა. ჰაიდრიხის გეგმა მარტივი იყო: განსაზღვრულ დღეს არმიისა და SS-ის ცალკეული ნაწილები მოაწყობენ გადატრიალებას, შექმნება ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში რომელიმე მსხვილი მაგნატი (მაგალითად, იალმარ შახტი) ჩაუდეგება, თავად ჰაიდრიხი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს დაიკავებს, ნაციონალ-სოციალისტური ჰარტია აიკრძალება, SS-ი დაშლილად გამოცხადდება, თუმცა როგორც SS-ის, ისე ჰარტიის ზოგიერთი ფუნქციონერი სახელმწიფო აპარატში წამყვან პოსტს დაიკავებს.

— რასაკვირველია, ეს მათ შექება, ვინც ჩვენს შეხედულებებს იზიარებს, — დააზუსტა ჰაიდრიხისა.

— მე რა როლი მექისრება? — ჩემად შეკითხა კანარისი.

— თქვენ თავდაცვის მინისტრის პოსტს დაიკავებთ.

— ამ თანამდებობაზე ყველაზე შესაფერისი გენერალი ერვინ რომელია, — მიუგო კანარისმა, — მე აბვერის ხელმძღვანელის პოსტს დაუკერდები.

— დაე ასე იყოს, — დაეთანხმა ჰაიდრიხი.

— ფიურერს რას უპირებთ?

— პოლიტიკოსი, რომელმაც კრახი განიცადა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს ხოლმე, — გაიცინა ჰაიდრიხმა, — მთი უმეტეს ისეთი ემოციური კაცი, როგორიც ადოლფ ჰიტლერია.

— ჰიტლერი?

— მას წინააღმდეგობის გაწევისას მოკლავენ. ჰიტლერის საჯარო სასამართლო არ გაიმართება.

ეს საუბარი 1941 წლის დეკემბერში გაიმართა, თუმცა ჰიტლერი არავის ენდობოდა და SD-ის შეფსაც უთვალოთვალებდა. ამ საუბრის შესახებაც დროულად შეიტყო. რაიხსფოურუ

ჰიტლერი და ჰიტლერი მთუნსტერში სამხედრო განვითარებისა კვარდებიან. 1941 წ.





ჰიტლერი და რაინჰარდ ჰაიდრინი



რაინჰარდ ჰაიდრინი (ზემოთ) და მისი უფრომობილი თავდასხმის შემძღვევა (ქვემოთ)



რი დეტალურად იყო ინფორმირებული, რას აპირებდნენ კანარისი და ჰაიდრინი.

— მიუჟედაგად ამისა, ოფიციალური გზით მას არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ჰაიდრინის გავლენა ძალიან დიდი გახლდათ, — წერს ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსი ჰიუ ტრევორ-როუპერი.

ჰაიდრინის ავტორიტეტი გერმანელ ძალოვნებს (არმია, უშიშროება) შორის მართლაც დიდი იყო, თუმცა დასავლეთში მას არავინ აღიქვამდა ფიგურად, რომელთანაც მოლაპარაკება შეიძლებოდა. უინსტონ ჩერჩილი მემუარებში ამბობს, რომ ისეთებთან, როგორიც ჰაიდრინი იყო, მოლაპარაკების მაგიდასთან არავინ დაჯდებოდა.

— ჰიტლერი რომც ჩამოვალოთ, სეპარატისტულ ზავზე არავინ წავიდოდა, — წერს ჩერჩილი, — როგორც ჩვენი, ისე ამერიკელების მოთხოვნა კატეგორიული იყო: უსიტყვო კაპიტულაცია როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ფრონტზე!

ზოგიერთი აუტორის მტკიცებით, ჰაიდრინის ლიკვიდაციის ბრძანება პირადად ჩერჩილმა გასცა, ჰიმლერმა კი თავის აგენტურის წყალობით შეიტყო, რომ ჰაიდრინის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ტერაქტის თავიდან ასაცილებლად არაფერი იღონა.

ჩეხი ეროვნების ინგლისელი აგენტები ჩეხეთში პარაშუტებით გადასხეს. მათ პრაღაში დაუბრკოლებლად ჩასვლისა და ჰაიდრინის ლიკვიდაციის საშუალება მიეცათ. მას 1942 წლის ზაფხულში დაესხენ თავს. ჰიმლერი აქტიურ მოქმედებას მხოლოდ SD-ს შეფის სიკვდილის შემდეგ შეუდგა. პრაღაში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. გესტაპომ იერიში მიიტანა პრაღას მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, სადაც თავს აფარებდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები და თავდასხმის მონაწილეები. შტურმის დროს ბეჭრი მათგანი დაიღუპა. ჩეხთა მართლმადიდებლური ეკლესია აიკრძალა, პრაღის ეპისკოპოსი დააპატიმრეს, გისოსებს მიღმა უამრავი სასულიერო პირი აღმოჩნდა.

თუმცა ყველაზე ამაზრზენი ლიდიცეს ტრაგედია იყო — ჩეხური სოფელი ლიადიცე უშუალოდ ჰიმლერის ბრძანებით მოსპეს. ეს ე.წ. „შურისგების აქცია“ გახლდათ, რაც ჰაიდრინის მკვლელობას მოჰყვა. ლიადიცეს მცხოვრებნი, მათ შორის ბავშვებიც, დაიღუპნენ.

ფუჭი ტყვია

ჰაიდრინის სიკვდილით პიმლერს ძლიერი კონკურენტი ჩამოშორდა. ახლა აუცილებელი იყო მცირე სპექტაკლის დადგმა. რაიხსფიურერმა ეს წარმატებით მოახერხა „ტრუსტის“ მოდელის გამოყენებით. პიმლერს მოახსენეს, რომ ერთ-ერთი იატაკებში ჯგუფი ფიურურზე თავდასხმას გეგმვდა. თავდაპირველად პიმლერი მათ დაპატიმრებას აპირებდა. ანაზღაური რაიხსფიურერმა გეგმა შეცვალა. გაცილებით ეფექტური იქნებოდა, თუკი ის პიტლერს გადაეფარებოდა. თუმცა ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, სიკვდილი პიმლერს ნამდვილად არ სურდა. მისი ბრძანებით აგენტებმა ტერორისტს რევოლვერში ფუჭი ტყვიები ჩაუდეს. მიუხედავად ამისა, პიმლერს უკანასკნელ მომენტამდე ეშინოდა და ეს ცნობა გულდასმით გადაამოწმა.

სპექტაკლი შედგა. პიტლერს ფუჭი ტყვიები ესროლებს, პიმლერი კი მას გადაეფარა. როგორც მოსალოდნებლი იყო, პიტლერზე ამან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. — ჩემი ძმა ხართ, — უთხრა მან.


1943 წლის SS-ის რაიხსფიურერი პიმლერი გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მის დაქვემდებარებაში მთლიანად მოექცა გერმანული საპოლიციო ძალები. პიმლერს ემორჩილებოდა არა მხოლოდ დაკაუ, არამედ ყველა საკონცენტრაციო ბანაკი.

— ნაცია ებრაული პრობლემის საბოლოო მოგვარებას გაკისრებთ, — უთხრა მას პიტლერმა.

საქმიანობას პიმლერი ჩვეული ენერგიით შეუდგა. მისი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით, მესამე რაიხის სიკვდილის ფაბრიკა გამართულად მუშაობდა. პიმლერმა მესამე რაიხში უდიდესი გავლენა შეიძინა.

სეპარატული ზავის მიებაზი

პიმლერი საქმაოდ ინგორმინიტული კაცი იყო საიმისოდ, რათა მიმზვდარიყო, რომ ომი წაგებულია. შესაბამისად, გერმანიის სისტემის ხსნის ერთადერთი გზა სეპარატული ზავია. ამ საქმეში პიმლერს მართლაც უჭერდნენ მხარს საგარეო დაზუერვის შეფა შელენბერგი და ცნობილი SS-ელი გენერალი კარლ ვოლფი. შელენბერგი მიიჩნევდა, რომ პიტლერის ლიკვიდაცია აუცილებელი იყო. პიმლერი ამის გაგონებისთანავე შეზტა:



აღენ დალენი

კილპელმ კანარისი



— არავითარ შემთხვევაში!

— კეთილი, უბრალოდ ხელისუფლებას ჩამოვაშორებთ, — დააშვიდა შელენბერგმა.

კოლეგი მიაჩნდა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობას უნდა მისცემოდა პიტლერის მოკვლის საშუალება, შემდეგ კი თავად წინააღმდეგობის მოძრაობას მიხედავდნენ. პიმლერი ყოფილი შემდევ დათახვმდა.

— კეთილი, შეხვდით წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებს და შეცვალეთ შეთანხმებას მიაღწიოთ, — მიუგო პიმლერმა.

წინააღმდეგობის მოძრაობასთან კონტაქტები შელენბერგს დავალა. 1943 წლის გაზაფხულისთვის უკვე პირველი შედეგები



პიმლერი და
მისი ქალიშვილი
გუდრუნი
ბრიტონის სპორტის
სასახლეში

იყო: ბერნში განლაგებულ დალესის ბიუროსთან კავშირი დამყარდა, თუმცა ამტრიკელები კატეგორიული იყვნენ:

— თუკი მოღაპარაკება რაიხსფიურერ პიმლერის სახელით წარმოებს, ჩვენ მას დაუყოვნებლივ შევწყვეტ!

— პოსტპიტლერულ მთავრობაში პიმლერისთვის ადგილი არ იქნება, ის მხოლოდ ახლა გვჭირდება, — მიუგო დალესს ვოლფმა.

პიმლერმა ამის თაობაზე მაშინვე შეიტყო. შელენბერგის სიტყვებმა, რომ ეს მხოლოდ კომბინაციის ერთი ნაწილია, რაიხსფიურერი ვერ დაამშვიდა. პიმლერი უნდობლობით განწყო. შელენბერგი და ვოლფიც უნდობლობით პასუხობდნენ.

— პიმლერი არავის ენდობოდა, არც სამხედროებს, არც შელენბერგს, არავის, — წერს ტიპელსკირხი.

ნათელი გახდა, რომ რაიხსფიურერს, მიუხედავდ მის ხელთ არსებული უზარმაზარი ბერკეტებისა, საკუთარი თამაშის წარმოება არ შეეძლო. საამისოდ არც ჰქუა ჰყოფნიდა, არც განათლება, არც გამბედაობა. პიმლერი დიდებული შემსრულებელი იყო, ინტრიგების აგორებაც ბრწყინვალედ იცოდა, მაგრამ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად ვერ ჩამოყალიბდა. ის გასაოცრად ფრთხილი და უნდობი გახლდათ ეშინოდა ვოლფის, შელენბერგის, ბორმანის, რომელიც მისი მეტოქე და ანტიპიმლერული ინტრიგების ავანჩავანი იყო;

ეშინოდა მიულერის, რომელიც ბორმანისთვის მუშაობდა; ეშინოდა კალტებბრუნერის, რომელიც ასევე „ბორმანის კაცად“ ითვლებოდა; ეშინოდა სამხედროების, აბვერის შეფ კანარისის, თუმცა შექმნილი ვითარება მოითხოვდა მათთან ალიანსს. როცა 1943 წელს გესტაპომ გერმანული წინააღმდეგობის მოძრაობის რამდენიმე ხელმძღვანელი დააპატიმრა და პიმლერს ამის შესახებ მოახსენეს, მან დალესთან ყველა კონტაქტის გაწყვეტა ბრძანა.

პიმლერი აქტიურად მონაწილეობდა 1944 წლის 20 ივნისის შეთქმულების მხილებასა და ანტიპიტლერულად განწყობილ ოფიცერთა დასჯაში (მათ შორის იყო კანარისიც), თუმცა 1945 წლის გაზაფხულზე კვლავ სცადა დალესთან კონტაქტის აღდგენა. ამ მიზნით მან ბერმი კარლ ვოლფი მიავლინა. მოლაპარა კეტები არა სეპარატული ზაფის დადებას, არამედ იტალიაში გერმანული არმიის კაპიტულაციას შეეხებოდა. როცა ვოლფმა სეპარატულ ზაფის ჩამოუგდო საუბარი, დალესმა მიუგო, რომ ის მხოლოდ აშშ-ის რეზიდენტია და ასეთი საკითხების გადაწყვეტა მის კომპეტენციაში არ შედის. დალესმა ისიც აღნიშნა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ამას არასიღდეს დაეთანხმება. პრეზიდენტის დაყოლიერა რომც მოხერხდეს, ამერიკელი ხალხი გერმანიასთან რუსეთის ზურგს უკან შეთანხმებას არ დაუშვებს:

— თქვენ, გერმანულებმა, მთელი მსოფლიო აიმზედრეთ! — უთხრა კოლეფს დალესმა.

ბერლინში დაბრუნებულმა კოლეფმა ყოველივე ჰიმლერს მოახსენა. რაიხსფოურერმა პრამანა, ინფორმაცია ბერნში მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ რუსებისთვის მიეღოთ. „დეტა“ სრულყოფილად იყო დაშადებული. მალე მოსკოვში გადაიცა ინფორმაცია, თითქოს აშშ-ის რეზიდენტი შევიცარიაში დალესი SS-ის გენერალ კოლეფს საიდუმლო ვითარებაში შეხვდა, რათა სეპარატული ზავის შესახებ მოლაპარაკები წარემართა.

ჰიმლერი იმედოვნებდა, რომ სტალინი გააფირდებოდა და ანტიპიტლერულ კოალიციაში ბზარი გაჩნდებოდა. სტალინი საღი, პრაგმატული გონებისა იყო. მესამე რაიხი უკვე სულს დაფუფდა, ანტიპიტლერული კოალიციის ჯარები ბერლინს უახლოვდებოდნენ. სტალინიც მხოლოდ საპროტესტო ნოტის გაგზავნას დასჯერდა. მოგვიანებით, უკვე „ციფი ომის“ დროს, კოლეფ-დალესს მოლაპარაკებათა ფაქტი საბჭოთა პროპაგანდისტების ერთ-ერთ საყვარელ იარაღად გადაიქცა.

აღსასრული

შელენბერგი მაინც ჯიუტად ცდილობდა, ჰიმლერი დასავლეთან მოლაპარაკებებზე დაყოლიერინა. 1945 წლის თებერვალში შელენბერგის ძალისხმეული გაიმართა ჰიმლერისა და გრაფ ბერნადოტის შეხვედრა. შევდი მოღვაწე წითელი ჯვრის საზოგადოების ერთერთი ვიცე-პრეზიდენტი იყო, მრავალი ებრაელისა და ბანაკების ტყვეთი გადამრჩეული. გრაფმა ჰიმლერს ფიურერის დაუკონიქლივ გადაყენება და ახალი მთავრობის ფორმირება მოსთხოვა. ჰიმლერი დაეთანხმა, თუმცა შემდეგ კვლავ ყოფილი დაიწყო. რაიხსფოურერის ეს ძალიან ძვრად დაუჯდა. ბორმანმა მასზე შეტევები განაახლა. ფიურერის მაგიდაზე სისტემატურად ჩნდებოდა ცნობები ჰიმლერისა და დალესის მოლაპარაკებათა შესახებ. ბორმანი საქმეს ისეთნაირად წარმოაჩნდა, თითქოს ანტიპიტლერული შეთქმულება მან გახსნა. თავისი თვითმკვლელობის წინ ჰიმლერმა ჰიმლერი თანმდებობიდან გადაყენა და პარტიიდანაც გარიცხა.

მეორე მსოფლიო ომი დამთვრდა. მესამე რაიხი განადგურებული იყო. მისი მესვეურები თავის შეველას ცდილობდნენ. ჰიმლერმაც

ყალბი დოკუმენტები იშოვა და მიმაღვას შეუცადა, მაგრამ ის ინგლისელმა ჯარისკაცებმა დააკავეს. თავდაპირველად ვერც მიხვდნენ, რომ მათ წინაშე SS-ის რაიხსფოურერი იდგა. ჰიმლერი ჩვეულებრივი გერმანელი ოფიცერი გვინათ და ტყვეთი ბანაკები სხვებთან ერთად მოათვასეს. ნელ-ნელა ჰიმლერი სასოწარკვეთამ შეიძყორ. მან ყარაულის უფროსს უთხრა:

— მე ჰიმლერი ვარ, გესმით? მე SS-ის რაიხსფოურერი პაინრის ჰიმლერი ვარ!

პატიმარი ბანაკის უფროსთან წაიყვანეს. მათ წინაშე მართლაც ჰიმლერი იდგა, — ეს მაშინვე დადგინდა. ბანაკის უფროსმა ფოტოგრაფი გამოიძახა, შემდეგ ჰიმლერს მიუბრუნდა:

— გაიხადე! მსურს შიშველი რაიხსფოურერი ვიხილო!

ჰიმლერმა ეს უკვე ვეღარ აიტანა. მას კბილში შეამი ჰქონდა ჩამაღული. რაიხსფოურერმა, როგორც სტომატოლოგმა ასწავლა, კბილს დაჭირა. რამდენიმე წამის შემდეგ მისი სხეული უსულოდ დაენარცხა იატაზე. სასწარაფოდ მოწვეულმა ექიმებმა სიკვდილი დაადასტურეს.

ინგლისელმა ოფიცერმა შიშველი რაიხსფოურერის ფოტოფირზე აღბეჭდვა ვერ შეძლო. ჰიმლერი არც ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარმდგარა. რაიხსფოურერი, ისევე როგორც საერთოდ ნაციზმი, ისტორიაში გაასამართლა და მიუდგომელი მსჯავრიც გამოუტანა.

ნიკა თევზაპი


ისტორიის დოკტორი

ბანაკის უფროსის ოთახში თვითმკვლელობის შემდევ



ფარმაცევტი ვოლფენბერგის გთამომავლობა

ქართულ-ბალტიურ ურთიერთობებს ათ საუკუნეზე მეტი წნის ისტორია აქვს. წინამდებარე ნარკვეში მოთხოვობილია საქართველოში გადმოსახლებული ერთ-ერთი ლატვიელი ფარმაცევტის — ედუარდ კოლდეიტისა და მის შთამომავალთა შესახებ, რაც დღემდე არ ყოფილა შესწავლილი.



ედუარდ
კარლის ძე
ვოლდეიტი

XIX-XX საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა
პროფესიის ლატვიელები მოღვაწეობის

XIX საუკუნის მოწინავე ქართველი სახო-
გადღებრიობა, რომელიც ქართული სახელ-
მწიფოებრიობის აღდგენისთვის იღვწოდა,
თავის მოკავშირედ მიიჩნევდა რუსეთის იძ-
პერიის მიერ დაპყრობილ ხალხებს და მათ
შორის ლატვიელებს.

ლატვიურ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა
მასალები საქართველოს შესახებ. ქართულია
პრესაც დიდად ინტერესდებოდა რუსეთის
იმპერიაში მცხოვრები ქართველებთვით მცი-
რერიცხოვნი, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე
ხალხების იმდროინდელი ყოფით და მათ ბეჭს
ერთმანეთს ადარებდა.

საქართველოში სხვადასხვა დროს ცხოვ-
რობდნენ, მოღვაწეობდნენ, სამოგზაუროდ

ანდა სამკურნალოდ ჩამოდიოდნენ სხვადასხვა პროფესიის ლატვიელები, რომელთა შორის საც იყვნენ: მწერლები, პოეტები, კულტურის, ხელოვნების, მედიცინის მუშაკები, ფარმაცევტები, ინჟინერები და სხვ მათი ნაწილი კავკასიაში რუსეთის საიმპერიის აღმინისტრაციამ გამოგზავნა, ნაწილი კი საკუთარი ნებით ჩამოვიდა.

იმ ლატვიურთა შორის, რომლებიც საქართველოში სამედიცინო სფეროში საქმიანობდნენ, იყვნენ: ვაგენი ზემელი, ედვარდ აბილი, იან და რობერტ კუპრისები და სხვები.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან აღსანიშნავია მთელ კავკასიაში სახელგანთქმული პროგიზორ-აფთიაქარის, ევგენი ზემელის



ლატვიის ქალაქი კუნძული (ყოფილი გრძელი), სადაც კხოვრობდა აუგუსტი კოლეგიტის ოჯახი

მოღვაწეობა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მისი აფთიაქი, რომელიც ოვალური ფორმის შენობაში იყო განთავსებული, მდებარეობდა თბილისში, ყოფილ ვერის მოედანზე, ახლანდელი მიხეილ ჯავახიშვილისა და მერაბ კოსტავას ქუჩების შესაყარზე. თვით აფთიაქარიც იმავე სახლში ცხოვრობდა.

მართალია, გასული საუკუნის 30-იან წლებში, რუსთაველის მოედნის გაფართოებისას ეს აფთიაქი აიღეს, მაგრამ მიკროუბანს დღემდე არაოფიციალურად „ზემელს“ უწოდებენ.

საქართველოში სხვადასხვა დროს მცხოვრებ ლატვიელთა: მხატვარ იული სტრაუმეს, ქიმიკოს რობერტ კუპცისისა და სხვათა საქმიანობა კარგად არის შესწავლილი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ქართველების ლატვიელ რძალს, პროფესორ რევინა ააკობიძეს.

ლატვიიდან გადმოსახლებულთა შორის იყო რიგელი ედუარდ კარლის ძე ვოლდეტიც, რომელიც ჩვენს ქვეყანაში რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის პერიოდში დამკვიდრებულა.

ედუარდის პაპა (ანუ კარლის მამა) იყო ავგუსტი, დაბადებული 1810 წელს. იგი სხვადასხვა დროს მსახურობდა საოჯახო მასწავლებლად და მქადაგებლად ქალაქ პენზაში, მასწავლებლად პენზის გიმნაზიაში, მმართველ-მქადაგებლად პოდოლსკში და მქადაგებლად ნებიროვში, ასევე მასწავლებლად ადგილობრივ გიმნაზიაში. 1875 წლიდან ხანდაზმულობის გამო, პენზიაზე გავიდა და ლიფლანდის გუბერნიის ქალაქ ვენდენში (დღვანელი ცესისი) დასახლდა.

ავგუსტის ბიოგრაფია შეტანილია დორპატის (ტარტუს) საიმპერატორო უნივერსიტეტის აკადემიურ აღბომში *Album Academicum, der Kaiserlichen Universitat Dorpat.*

დორპატის საიმპერატორო უნივერსიტეტის
აკადემიური აღბომი. ზემოთ — თავფერებელი, ქვემოთ
— ავგუსტ კოლეგიუმის ბიოგრაფია (გვ. 194)

Bearbeitet von A. Hasselblatt (Dorpat) und Dr. G. Otto (Mitau), Dorpat, Verlag von C. Mattiesen, 1889 (იბ. გვ. 194), სადაც მისი გვარი აღნუსხულია, როგორც ვოლეიდტი (Volleydt). ლატვიელ მეცნიერთა განმარტებით, გვარის ასეთი უმნიშვნელო ცვლილება იმსანად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

თბილისში დამკვიდრებულმა ედუარდ ვოლდეტმა ჯვარი დაიწერა ქართველ ქალზე — ნატალია იოსების ასულ ჯიშკარიანზე. ეს მართლმადიდებლური აღმსარებლობის ლატვიურ-ქართული ოჯახი ცხოვრობდა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ — სოფელ თეთრიწყაროში. წყვილს შევძინა 12 შეილი: ნიკოლოზი, ვიქტორი, ვეგენი, ალექსანდრე, ვალერიანი, ანასტასია, ვალენტინა, ლუდმილა და კიდვე თოხი ბავშვი, რომლებიც ჩვილ ასაქში გარდაიცვალნენ.

უფროსი შეილი — ნიკოლოზ ედუარდის

Album Academicum

der Kaiserlichen

Universität Dorpat.

Bearbeitet

von

A. Hasselblatt und Dr. G. Otto
Dorpat Mitau.

Dorpat.

Verlag von C. Mattiesen.
1889.

Wolleydt, Aug. Heinr., a. Livil., geb. 21. Juni. 1810, theol. 29—33, grad. Stud. 1840. Hauslehrer, 1845—58 Prediger in Pensa u. 1846—58 Religionslehrer am Pensaschen Gymnas., 1858—75 Gouv.-Prediger von Podolien u. Prediger in Nemirov, auch seit 1859 Lehrer am dortigen Gymnas.; 1875 emeritirt, lebt bei Wenden.



ლატვიის ეროვნულმა ბანკმა 2001 წელს გამოუშვა საიუბილეო მინიგუბა ცესისის (ცენდენის) ციხესიმაგრის გამოსახულებით

ქ. კოლდეიტი (1886-1964) — თბილისში დაიბადა. იგი ცნობილი ექიმი-თერაპევტი იყო.

თვის მოგონებებში (მისი ხელნაწერი დაცულია ჩვენთან) ნიკოლოზ კოლდეიტი იყო. „Отец — Эдуард Карлович Вольдемарт... латыш из Риги, пришёл на Кавказ во время Русско-турецкой войны (1877-1878 гг.) в качестве фармацевта. После войны остался служить в Тбилиси, где и женился на

моей матери, грузинке Наталии Иосифовне Джишкариани, проживавшей в Тбилиси“.

წმინდა მიხეილის სააღადმყოფოსთან არსებული საფერმლო სკოლის II თანრიგის სამედიცინო ფერშეღის წოდებით დასრულების შემდეგ, ნიკოლოზ კოლდეიტი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურებოდა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს აღმოსავლეთ საქართველოში. სხვადასხვა დროს მუშაობდა: დუშეთის, მარნეულის, საგარეჯოს, გურჯაანისა და თელავის რაიონებში. მოგვიანებით მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა და ექიმის კალიფი გაცია მიენიჭა.

1918 წლიდან ნიკოლოზ კოლდეიტი ცხოვრიბდა თელავში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობაში პროფესიონალის სახელი და უძილესი ავტორიტეტი მოიპოვა. მას ცოლად ჰყავდა ეკატერინე ალექსანდრეს ასული ხატიაშვილი (1888-1959). მათი ერთადერთი ვაჟი აპოლონ კოლდეიტი (1919-1941), რომელიც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმია-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლიბდა, II მსოფლიო ომში მონაწილეობდა და 1941 წლის ზაფხულში უგზო-უკვლიოდ დაიკარგა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყე-

ცესისის (ცენდენის) ციხესიმაგრე, რომელსაც თვის წერილებში იხსენიებდა გრიგოლ ორბელიანი



ბისას ნიკოლოზ გოლდევიტი მსახურობდა თელავის რაიონულ საგადამყოფოში, თერაპიული განყოფილების ექიმ-ორნდინატორად. 1941 წლის ოქტომბერში, იგი, როგორც პოლიტკურად არასაიმედო, თანამდებობიდან გაათვავისუფლეს და მუსლიმესთა ერთად ყაზახეთში გადაასახლეს. ორ წელიწადზე მეტხანს მუშაობდა ქალაქ ლენინობროსკის პოლიკლინიკაში. უსაფუძღლოდ რეპრესიიზებული ექიმი 1944 წლის იანვარში გაათვავისუფლეს და საქართველოში დაბრუნების უფლება მისცეს. იგი მეუღლებასან ერთად თელავში დაბრუნდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ექიმად მუშაობდა.



ნიკოლოზ
ედუარდის ძე
ვოლდეიტი (1886-1964)

ნიკოლოზ ვოლდეიტის ხელნაწერი ავტობიოგრაფია

Абстрактное
Очень Эффектно Красиво сделано на
один моменте Мастерство Руки
художника Художник впервые Рисует
картины в Красоте фантазии, но не
хочет в краске ограничиться, хочет
сделать из красок сюрпризы в творчестве
и сделать на этом материале
какие-то новые
изобретения в изображении мира

ნიკოლოზ ვოლფერგანდის ნამსახურობის ნუსხის თრაგმუნტები

Послужной списокъ

ପ୍ରକାଶକ

I.	Чинъ, имя, отчество и фамилия Чиновникъ военного времени Николай Эдуардо вичъ Вольдемартъ
II.	Должность по службѣ Делопроизводитель 160 тылового эвакуационного пункта

მეორე
გვერდის
ზედა
ნაწილი

IV.	
Когда родился	3 февраля 1886 года
V.	
Какого вѣрованія	Православнаго
VI	
Изъ какого званія происходит и какой губерніи уроженецъ	Гражданинъ Тифлисской губерніи.

მეორე
გვერდის
ქვედა ნაწილი



ჯგუფი ერთობის ძე
ჯოლოვიტი (1888-1968)



ნიკოლოზ ჯოლოვიტი თანამშრომლებთან. თელავი (1951)

ნიკოლოზ ჯოლოვიტი მეუღლესთან,
ეკატერინე ხატიაშვილთან ერთად



ზო-უკვლოდ დამეკარგა. გარ უპარტიო. პასუ-
ხისგებაში არ კყოფილებარ. დაჯილილებული
გარ რამდენჯერმე მაღლობით და ფულადი
ჯილდოებითაც“.

1954 წლის 27 აგვისტოს, თელავში გა-
მომავალ რაიონულ გაზეთში „კოლმეურნის
ხმა“ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნული
იყო: „სამედიცინო მოღვაწეობის 50 წლის
განმავლობაში მრავალი ავადმყოფი განუკურ-
ნავს ნიკოლოზ კოლდეიტს, ან როგორც მისი
ყოფილი ავადმყოფები ამბობენ: „საიქიოდან
საქაოში დაუბრუნებია“, უამრავისთვის
აღუდგენია შრომის უნარი... კარგ ადამიანს
და საუკეთესო საეციალისტს „შხენელს“
უწოდებენ და ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათ
განკურნებას „ოუ არა კოლია ექიმი, სხვა
ვინმე შეძლებდა“.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ნი-
კოლოზ კოლდეიტმა დარია აბელის ასულ
აბელიშვილზე იქორწინა. აბელიშვილები იყ-
ვნენ კახეთის აზნაურები, რომლებიც სოფელ
ოუიოში ცხოვრობდნენ და იქაურ ანდრონი-
კაშვილებს ენათესაცებოდნენ. სხვათა შორის,
ამ შტოს წარმომადგენლები იყვნენ ადვოკატი
ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და მისი ვაჟები
— ირაკლი და ელეოფერი.

ნიკოლოზ კოლდეიტი 78 წლის ასაკში
გარდაიცვალა. ღვაწლმოსლი ექიმი თელავში
დაკრძალეს, ქართველთა სასაფლაოზე.

ეგგინი (1888-1968) — ექიმი-ფარმაცევტი
იყო და აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთ-
ში სპეციალობით მუშაობდა. მან ცოლად შე-
ირთო საქართველოში მცხოვრები ასირიელი,
მართლმადიდებელი ნინო ლაზარეს ასული

აპოლონ
ნიკოლოზის ძე
ჯოლოვიტის
(1919-1941)
სტუდენტური
ბილეთი



აპოლონ კოლდეიტის უკანასკნელი ფრთქ (დასკვლეული უკანასკნელი, 1.V. 1941) და მისი მამის სახელშე ბერლინიდან გამოვაჭინოლი ცნობა გაიმუშილის უზრუნველყოლობის შესახებ (21.VIII. 1957)

Монография описывает географию и гидрографию реки Камы в Казанской губернии. В работе описаны гидрологические и гидрохимические характеристики Камы, ее притоков и водоемов, а также водосборной территории реки. Особое внимание уделено изучению гидрохимических свойств воды Камы и ее притоков, а также изучению гидрохимических процессов в реке и ее бассейне. Работа включает описание гидрохимических исследований, проведенных в 1936 году, а также результатов изучения гидрохимии Камы в 1937 году. Особое внимание уделяется изучению гидрохимических процессов в реке Каме и ее притоках, а также изучению гидрохимических свойств воды Камы и ее притоков. Работа включает описание гидрохимических исследований, проведенных в 1936 году, а также результатов изучения гидрохимии Камы в 1937 году.

კაზა ხეთში გადასახლებული კოლეგიტები
ნოტარიუსად დამოწმებული ამ მეტრიკული
ამონაშებრის ს საფუძვლებზე საქართველოში დაპრუნდნენ

Г.Мария 153. Я. Государственный историко-литературный музей
Ильинская улица, 10, Москва

Родивший и
Писавший Эдуардовичем

Белый
Чеб.

718.9
Георгиевская Олимпиада

ბოგდანოვა, რომელსაც დედა გიუნაშვილი ჰყავდა. მათ შეეძინათ სამი ვაჟი: ანატოლი, ბორისი და გლები.

ანატოლიმ ცოლად შეირთო ელენე არ-ჯევანიძე, რომელთანაც შეეძინა შვილები — ნინო (ინგლისური ენის სპეციალისტი) და ვაკენი (ელექტრონიკისტინი). შეორე ქორწინებიდან ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟი — ვლადიმერი, რომელიც სმენუსში ცხოვრობს.

ბორისმა ცოლად შეირთო ვენერა ლექვი-
ნაძე. მათ შეეძინათ ვაჟები — გლები (ინფი-
ნერი) და ბორის თბილელი (კომპოზიტორი).
ორივე მათგანი დაოჯახდებულია.

გლებ ვაგინის ძე ვოლდეიტი შენებელი ინჟინერი იყო. მონაწილეობდა ქალაქ რუსთავის შენებლობაში. მიზნისა ,საქართველოს დამსახურებული ინჟინრის „წილება. გლებს და მის მეუღლეს ეთერ კვანტალიანს ორი ქალიშვილი შეეძინათ. ლია — მომდერალია, ქართული და რუსული რომანსების ცნობილი შემსრულებელი, ხოლო ნანა — გეოფიზიკოსი. ორივეს ჰყავს ქარ-შვილი.

გალერიან ედუარდის მე ვოლდეიტს გერ-
მანელ მეუღლესათ, ბერტასთან შეეძინა ორი
გაუ — იგორი და კონსტანტინე, რომელიც
(კობილი ინჟინერი) იყო.

ასეთია მოკლედ საქართველოში დამკვიდრებული ლატვიელების — ვოლდეიტების ოჯახის ისტორია.

ნიკო პავლესიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის პროფესორი

ნაცოლეონი ეგვიპტეში



ეიებ რომ მამაკათა ნინაალმედა

ნაპოლეონის ლაშქრობა ეგვიპტეში იყო ერთ-ერთი ყველაზე გზითიკური ლაშქრობა საფრანგეთის ახალ ისტორიაში. საფრანგეთის საფრანგეთის ბურჟუაზიას ბურბონთა მეფობის დროიდან კარგი ურთიერთობა პქნონდა ლევანტის ქვეყნებთან (სირია, ეგვიპტე, პალესტინა), რაც ხელსაყრელი იყო საფრანგეთის ვაჭრობისა და მრეწველობისთვის. ლევანტი ბრწყინვალე პორტას, ანუ ოსმალეთის იმპერიის შემაღენლობაში შედიოდა. თუმცა სულთნის გავლენა ძალიან იყო შესუსტებული ეგვიპტეში და ქვეყნის ფაქტობრივად მამლუქებ ბჟება განაგებდნენ.

ეგვიპტის ლაშქრობა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, შარლ მორის ტალეირანის იდეა იყო, რომელიც ნაპოლეონსაც დაუჯდა ჭკეუაში და მთავრობას სამხედრო ექსპედიციის მოწყობა შესთავაზა. მთავრობამ (დირექტორიამ) იდეა მოიწონა და აღსრულება ნაპოლეონს დაავალა. მან „ინგლისის არმიის“ სარდლობა მიიღო — არმიას ასე იმიტომ უწოდეს, რომ ფრანგები დეზინფორმაციას აურცელებდნენ, თითქოს ინგლისში ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ. ნაპოლეონს სურდა, დაეპყრო ეგვიპტე და ახლო აღმოსავლეთი და იქ პლაციდარმი მოწყობი ინდოეთში ლაშქრობის დასაწყებად — სწორედ ასე აპირებდა

საფრანგეთის მოწინააღმდეგე ინგლისის ეკონომიკის განაღვურებას.

ბრიტანელები ინდოეთის რესურსებს მოხერხებულად იყენებდნენ. მათ აქ დაარსეს აღმოსავლეთ ინდოეთის (ოსტ-ინდოეთის) საფრანგ კომპანია, რომლის საშუალებით ინგლისი თანდათან მთელ ქვეყანას უფლებოდა. ინგლისელი მოხელეები ინდოეთიდან ეზიდებოდნენ ოქროს, სანელებლებს და რაც მთავრია, ჩაის. ვაჭრობიდან მიღებულ მოგებას კი იყენებდნენ საფრანგეთის საწინააღმდეგო კოლოციათა დასაფინანსებლად.

ეგვიპტის ლაშქრობა ისეთი გასაიდუმლობებული იყო, რომ მის შესახებ საფრანგეთის



**ბრძოლა პირამიდებთან. ლუ-ფრანსუა ბარონ
ლუურის ტიოლო, 1808 წ.**

მმართველი დირექტორის (სიესი, ბარასი, როე-დიუკო, გოიე და მულენი), ჟოზეფ ფუშეს (პოლიციის მნისტრი), ტალეირანისა და ნაპოლეონის გარდა, არავინ არაფერი იცოდა. ნაპოლეონს კარგად მოქსენებოდა, რომ თუ ამ ლაშქრობის შესახებ ინგლისის აღმირალი პორაციო ნელსონი შეიტყობდა, იგი ფრანგთა საეჭსპედიციო არმიის ფლოტის ჩაძირვას ეცდებოდა. შედეგად, ფრანგები დაკარგავდნენ თავიანთი ჯარის საუკეთესო ნაწილს, ფლოტის 13 სახაზო გეშსა და რამდენიმე ფრეგატს. ამით კი ნაპოლეონის განზრახვას საბოლოოდ მოედებოდა ბოლო.

ლაშქრობაში, არმიასთან ერთად, ნაპოლეონმა 167 მეცნიერი წაიყვანა ამ უძველესი ქვეყნის გამოსაკვლევად. მათ შორის იყვნენ მონუ, ბერთოლე, ფიურე და სხვ. ფრანგებმა 32-ათასიანი არმია მოაშადეს და ფლოტის სახაზო ხომალდებში ჩასხეს. ფლოტს ადმირალი ფრანსუა-პოლ ბრუე ხელმძღვანელობდა.


ნაპოლეონმა გვიპტის ლაშქრობის წინ

ტალეირანს სთხოვა დახმარება. ტალეირანი გაქმილი და მექრთამე კი გახლდათ, მაგრამ ბრწყინვალედ ფლობდა დიპლომატიის ხელოვნებასაც. ნაპოლეონის ეგვიპტეში შექრის სთანავე ტალეირანი სტამბოლში უნდა ჩასულიყო და სულთანი დაერწმუნებინა, რომ ნაპოლეონი ეგვიპტეში ოსმალეთისთვის ზიანის მისაყენებლად კი არ იყო ჩასული, არამედ მხოლოდ ინგლისისთვის დარტყმის მისაყენებლად.

ამას გარდა, ნაპოლეონი გაანადგურებდა მამლუქებს, რომლებიც ოსმალებს აღარ ემორჩილებოდნენ და დამოუკიდებლობა სურდათ. ბორაპარტი ისმალეთისთვის თვალის ახვევა დროებით სჭირდებოდა, სანამ ეგვიპტეს დაიპურობდა და იქ ფქს მოიკიდებდა. ამის შემდეგ ფრანგები ლეგანტის ქვეყნების სრულად დამორჩილებას აპირებდნენ.

ლაშქრობის დაწყებამდე ნაპოლეონმა მოახერხა თავი აერიდებინა ინგლისის ფლოტისთვის. ხმა დააგდო, რომ გიბრალტარის სრუტის გაფლით ინგლისში შეჭრას გვემავდა. ნელსონის ფლოტის ნაწილი გიბრალტარის-კენ გაეშურა, რათა ფრანგების შეტევა არ დაეშვა, მეორე ნაწილით კი ნელსონი ტულონის მახლობლად იდგა.

1798 წლის მაისში მის გემებს ქარიშხალმა



ოსმალეთის სულთანი სელიმ III (1761-1808), რომელიც ამ დროისთვის ფორმალურად მართავდა ეგვიპტეს



ადმირალი ჰორაციო ნელსონი

გადაუარა და ძალიან დააზიანა, რის გამოც ნელსონი იძულებული გახდა, გიბრალტარში დაბრუნებულიყო. სწორედ ამ დროს ნაპოლეონი ჯართან ერთად მშვიდად გაეშურა ეგვიპტისკენ.

ნაპოლეონის ეპოქის სამხედრო გემები ხის მასალით იგებოდა. ფლოტისთვის ძირითადად იგებოდა რამდენიმე სახის გემი: ფრეგატი, სახაზო ხომალდი და ბრიგი. ბრიგს ორი ანბა ჰქონდა, ფრეგატს — სამი. სახაზო გემი ყველაზე დიდი იყო. მასაც სამი ანბა და კიდევ ცხვირის დამატებითი აფრები ჰქონდა. სამხედრო გემები აღჭურვილი იყო საზღვაო ქვემწებით. ბრიგსა და ფრეგატს შედარებით ნაკლები ზარბაზანი ჰქონდა, ვიდრე სახაზო გემებს. სახაზო გემების ქვემებთა რიცხვი ზოგჯერ 120-მდე აღწევდა. სწორედ ამდენი ქვემები იყო განლაგებული ნაპოლეონის ფლოტის ადმირალის, ბრუეს საფლაგმანო გემზე. სახაზო გემების ეკიპაჟი რიცხობრივადაც საგრძნობლად აღეძატებოდა ფრეგატისას და ბრიგისას. ნაპოლეონის ბრძანებით, ეგვიპტის ლაშქრობის მონაწილე თითოეულ გემზე გნალაგეს ხუთასი ვეტერანი საფრანგეთის „იტალიური არმიის“ რიგებიდან. ნაპოლეონმა გაითვალისწინა, რომ ინგლისის სწრაფი ფლოტი შევაში საფრანგეთის პოზიციის გასამყარებლად სჭირდებოდა. კუნძული ახლო იყო იტალიასთანაც და აფრიკასთანაც. ამას გარდა, ნაპოლეონმა კუნძულზე დიდალი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში. ფრანგები შეჩერდნენ კუნძულ კრეტაზეც, სადაც ახლაც შემორჩენილია სახლი, სადაც ნაპოლეონმა დამე გაათავა.

ბონაპარტის ჩანაფიქრით, როცა ინგლისელთა გემები მიუახლოვდებოდნენ, ფრანგებს აბორდაჟებე უნდა აკეთა ისინი და ეკიპაჟი ხელჩართულ ბრძოლაში გაენადგურებინათ. ნაპოლეონის ომებში გამობრძედილ მეომრებს არ გაუჭირდებოდათ ინგლისელ მეზღვაურთა დამარცხება. ამიტომ ფრანგებს ნელსონის ფლოტის არ ეშინოდათ.

გზადაგზა ნაპოლეონი ხმელთაშუა ზღვის პატარა კუნძულებს იკავებდა. ფრანგებმა დაბყრეს კუნძული მაღტა და იქ სამხედრო გარნიზონი დატოვეს. ნაპოლეონს მაღტა ხმელთაშუა ზღვაში საფრანგეთის პოზიციის გასამყარებლად სჭირდებოდა. კუნძული ახლო იყო იტალიასთანაც და აფრიკასთანაც. ამას გარდა, ნაპოლეონმა კუნძულზე დიდალი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში. ფრანგები შეჩერდნენ კუნძულ კრეტაზეც, სადაც ახლაც შემორჩენილია სახლი, სადაც ნაპოლეონმა დამე გაათავა.

1798 წლის ფლოტის ნაპოლეონმა ჯარი ალექსანდრიაში, ელინისტური ეგვიპტის ძეველ დედაქალაქთან გადასხა. ფრანგებმა შეიტყვეს, რომ ინგლისის ფლოტს მათი ფლოტისთვის დაესწრო — ისინი ეგვიპტეში 48 საათით ადრე მისულან. ინგლისელებს უნახავთ, რომ ეგვიპტეში არც ერთი ფრანგი არ იყო. ამიტომ ნელსონმა ივარაუდა, რომ ნაპოლეონი სტამბოლისკენ გაეშურა და ინგლისელებიც იქით დაიძრნენ. ნაპოლეონმა კი ჯარი შევიდად გადასხა ეგვიპტეში და ალექსანდრია აიღო. თავის მოხსენებაში ეგვიპტის ლაშქრობაზე ის წერდა: „19 მესიდორს არმია ალექსანდრიიდან გავიდა. 20-ში უკვე დამანკურთან ვიყავთ უდაბნოზე გადასვლის დროს უწევულო ჰაპანაქებამ და უწევლობამ გაგაწამა. ნილოსის სანაპიროზე, რაპმანიესთან, სადაც 22 მესიდორს გავედით, ბრძოლა გადავიხადეთ“ (მესიდორი, საფრანგეთის რევოლუციური კალენდრის მიხედვით, აღნაშნავს პერიოდს 19-20 ივნისიდან 18-19 ივლისამდე. ეს კალენდარი კონვენტმა 1793 წელს მიიღო და 1806 წლამდე მოქმედებდა).

ციტატიდან ჩანს, რომ ფრანგთა ჯარი ეგვიპტეში ძალიან ეწამებოდა სიცხითა და უწყლობით. ნაპოლეონის ჯარი რაპმანიესთან მამლუქებს შეებრძოლა და უკუაქცია ისინი. მამლუქებმა დანაკარგი განიცადეს და უკან დაიხიეს. მურად-ბეი ჰატარა ფლოტილიისა და ზარბაზნების იმედით ფრანგებს სოფელ

შებრიზთან ელოდა. ნაპოლეონი კარეუბად (საბრძოლო წყობა კვადრატის ან სწორ-კუთხედის სახით) დაწყობილი ჯარით მიუ-ახლოვდა მამლუქებს. მას მხოლოდ 200 მხედრარი ჰყავდა. მამლუქები საუკეთესოდ იყვნენ შეიარაღებული დამბახებით, კარაბინებითა და აღმოსავლური ხმლებით. მამლუქთა ფლოტის დაუპირისპირდა ფრანგთა ფლოტილია პერეს სარდლობით. ფრანგებმა მამაცურად იბრძოლეს და მტრის ფლოტი ხელთ იგდეს.

მამლუქებმა კავალერიით შეუტიეს კარეუბად დაწყობილ ფრანგებს, რომლებმაც მათ მიახლოების საშუალება არ მისცეს. მრავალი მამლუქი დაჭრა და დაიღუპა, დანარჩენებმა კი უკან დაიხიეს. ამ ბრძოლაში მამლუქებმა სამასამდე კაცი დაკარგეს. ფრანგებმა სწრაფად მიაღწიეს სოფელ იმბაბას, სადაც მამლუქი ბეგები იყვნენ გამაგრებული. გიზის პირამიდებიდან დახლოებით 15 კილომეტრში, იმბაბასთან მოხდა დიდი ბრძოლა ნაპოლეონსა და მურად-ბეის შორის. ფრანგთა შებრძოლები ისევ კარეუბად განლაგებულიყვნენ, როგორც შებრიზთან ბრძოლაში. მამლუქებმა შეუტიეს, მაგრამ ფრანგთა ტყვიებით მრავალი მათგანი მოიცელა და დაიჭრა. ისინი შეიჭრნენ ორ ფრანგულ ქვედანაყოფს შორის. ფრანგებმა გრიგალისებური ცეცხლით მოიგერიეს, ხოლო შემდგომ გენერალ ბეჟეს შეთაურობით მამლუქთა სანგრებს შეუტიეს.

მეორე ფრანგულმა შენართმა გენერალ ვიოლეს მეთაურობით, სანგრებსა და მათზე


მოიერაშე ბეჟეს რაბმს შორის ტერიტორია დაიკავა, რითაც სამი მნიშვნელოვანი ამოცანა გადაჭრა: 1. ხელი შეუშალა მამლუქთა რაზმებს სანგრების დამცველთათვის მიშველებაში. 2. გარეთ შემოსასვლელი გზა გადაუკეტა მამლუქებს, რომლებიც სიმაგრეს იცავდნენ. 3. თუ საჭირო იქნებოდა, მარცხნიდან თვითონ მითანდა იერიში მტრის სანგრებზე. გენერალ ბუეს შემტკიც ქვედანაყოფის რამდენიმე კოლონა, რომელსაც გენერალი ბაშპონი სარდლობდა, მტრის სანგრებს უშიშრად დააცხრა თავს და მამლუქთა ქვეითები დაამარცხა. მამლუქთა კავალერია კვლავ გადავიდა შეტვეზე, მაგრამ ნაპოლეონის ქვეითებმა ძლიერი ცეცხლით უკან დაახვინეს. უამრავი მამლუქი ბრძოლის ველზე დაეცა. ფრანგებმა ხელთ იგდეს 50 ზარბაზანი და საომარი მასალით დატვირთული 400 აქლემი. 2 ათასზე მეტი მამლუქი დაღუპა. მათ შორის რამდენიმე ბეგი. მურად-ბეი დაიჭრა და დარჩენილი ჯარით უკან დაიხია. იმავე დამეს მამლუქებმა კარიღდან უკავაცია მოახდინეს. ხალხმა მათთვის აძელველ მამლუქთა სახლებს ცეცხლი წაუკიდეს.

ბრძოლაში მამლუქებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს. ისინი თავიანთ სიმძიდრესა და ძალაუფლებას იცავდნენ. მამლუქები ოქრო-ვერცხლში იყვნენ ჩაფლული. ყოველ მოკლულ მამლუქს დიდძალი სიმძიდრე აღმოაჩნდა.

მამლუქთა ერთ-ერთი მეთაური იყო ქართველი იბრაკიძე-ბეი (შინჯიკაშვილი) რომელიც შეის ალ-ბალადის ტიტულს ატარებდა.



„დმერთო ჩემთ,
მეჩვენება, რომ
ის სენტექსი“
— აღმოხდა
ბონაპარტის
შვილის
უდიდესი
ფარაონის,
რამზეს II-
ის მუმიის
დანახვისას



ნაპოლეონის ჰეგიატური კაშპანია. სამხდრო მოქმედებები 1798 წელს (© ნიკა ხოჭერია)

ქართული წარმოშობის უნდა ყოფილიყო მურად-ბეი, მამლუქთა მთავარსარდალი ნაპოლეონთან ომში. საერთოდ, მამლუქთა მაღალი ფენის ერთ ნაწილს ქართველები შეადგინდნენ. თურქები იტაცებდნენ ქართველ, ალბანელ, სომებს და თურქ ბიჭებს და შეძლებ ეგვიპტუში მეომრებად, მამლუქებად ზრდიდნენ („მამლუქი“ თეორ მონას ნიშნავს).

მამლუქებთან გამარჯვების შემდეგ ნაპოლეონი კაიროში შევიდა. ფრანგებმა უძველესი ქვეყნის დაპყრობა შეძლეს. ნაპოლეონის ჩამოყვანილი მეცნიერები ეგვიპტის სიძველებს იკვლევდნენ. მათ ლაშერობის დასასრულისთვის აღმოაჩინეს როზეტას ქვა, რომელზე დაყრდნობითაც 1822 წელს უან ფრანსუა შამპოლიონმა ეგვიპტური დამწერლობა გაშიფრა. ფრანგებმა აღმოაჩინეს ფარაონ რამზეს II-ის სარკოფაგი, რომელზეც ასეთი ამბავი გავრცელდა: ნაპოლეონმა მოითხოვა, მასთან მიეტანათ სარკოფაგი რამზეს II დიდის მუმიით. როცა უიუნომ ჰკითხა, ნამდვილად სურდა თუ არა მუმიის ნახვა, ნაპოლეონმა უპასუხა: „მე მსურს ვიზილო აღაშიანი, რომელსაც მტრებიც კი ღმერთად

მიიჩნევდნენ; მსურს ვიზილო დიდი ფარაონი, რომელიც საბერძნეთის დაარსებამდე ხუთასი წლით ადრე ცხოვრობდა, ხოლო რომის დაარსებამდე ათასი წლით ადრე“.

მცირე ხნის სიჩრმის შემდეგ ნაპოლეონმა თქვა: „ეგვიპტელები ეველაზე დიადი ხალხია, ვისაც კი დედამიწაზე ოდესმე უცხოვრია. მათ დაგვიტოვეს უდიდესი ისტორია ქვეყნისა, რომელსაც მართავდნენ დიადი ფარაონები. ეგვიპტელებმა ამ პირამიდებთა და ტაძრებით, ამ მუმიებით დაამტკიცეს თავიანთი უკვდავება და სიკვდილი დაამარცხეს“.

ნაპოლეონი სულთნის სასახლის საიდუმლო ოთახთან იყო, საიდანაც ფრანგებმა სარკოფაგი ამოიტანეს და გახსნეს. მუმია ცოცხალივით გამოიყურებოდა. „ღმერთო ჩემო, მეჩვენება, რომ ის სუნთქვას!“ — აღმოხდა ბონაპარტის (აქამდე მისგან სიტყვა ღმერთი არავის გაუვნა). ნაპოლეონმა დოინჯი შემოიყარა და კარგა ხანს უცქერდა ეგვიპტის უდიდესი ფარაონის მუმიას.

სანამ ნაპოლეონი ეგვიპტეში იბრძოდა, პორაციო ნელსონი ინგლისის ფლოტით სტამბოლიდან გამობრუნდა, სადაც ნაპოლე-

ონის გვიპტეში დაგვიანების გამო მოხვდა. ნელსონი თავს დაესხა ფრანგთა ფლოტს ელ აბუკირის კურეში და სასტიკი ბრძოლა გაუმართა. ფრანგების აღმირალმა შეცდომები დაუშვა, ბრძოლისთვის უხეიროდ მოემზადა და ნელსონის სვლები ვერ გაითვალისწინა. ნელსონმა კი მოხერხებული მანეურირებით დაამარცხა იგი. თუმცა ინგლისელთა გემებიც საკმაოდ დაზიანდნენ. ნაპოლეონს ფლოტი აღარ ჰყავდა, მაგრამ ჯარის წინაშე გამოსვლისას მეორებს ეს ამბავი ისე აუწყა, თითქოს მნიშვნელოვნი არაფერი მომზდარიყოს. იგი ამბობდა, რომ ფრანგებს უკან დასახვევი გზა აღარ ჰქონდათ და ბრძოლა უნდა განეგრძოთ. ნაპოლეონი გვიპტის ახალ, განვითარებულ ქვეყანაზე ოცნებობდა და ამის განხორციელება სურდა.

ტალეირანი სტამბოლში არ ჩასულა. ოსმალეთი სწრაფად ამოქმედდა. ინგლისელებმა სულთანს მოის დაწყებისკენ უბიძებეს. თურქებმა ორი 50-ათასინი არმა შეკრიბეს და ფრანგების წინააღმდეგ დაძრეს. ოშმალებს ინგლისის ფლოტი ყველანაირად ქმარებოდა. ნაპოლეონს სამ ფრონტზე ორი უწყვდა: ერთ მხარეს მამლუქების ახალი შემოტევა იყო მოსალოდნელი, მეორე მხარეს პირველი თურქული არმიისა, რომელიც დაზისა და სინას ნახევარკუნძულის გვლით მოემართებოდა, მესამე მხრიდან კი სხვა თურქული არმია ეგვიპტის ჩრდილოეთში აპირებდა გადმოსვლას. ფრანგებმა რამდენიმე ქალაქსა და მნიშვნელოვნი პუნქტში გარნიზონები დატოვეს.

ზემო ეგვიპტის დასაპერობად ნაპოლეონს გენერალი დეზე ჰყავდა გაგზავნილი 10 ათასი ჯარისკაცით. ამას გარდა, ნაპოლეონს მხოლოდ 13 ათასი კაცი ჰყავდა. მიუხედავდა ამისა, იგი სირიისკენ დაიძრა. ნაპოლეონთან იყვნენ რჩეული ფრანგი გენერლები: კლებერი, ლანი, მიურატი და უიუნო. ფრანგებმა აიღეს დაზა და იაფა. იაფასთან ფრანგებმა დანებებული თურქული გარნიზონი ამოწყვიტეს, რადგან სურსათი ცოტა ჰქონდათ და 2 ათასი ტყვე მათ ისედაც მწირ მარაგს ბოლოს მოუდებდა. ფრანგებსაც აკლდათ ტყვია-წმალიც, ამიტომ სარდალმა ტყვები ხაშტებით ამოწყვეტინა. ნაპოლეონმა ალყა შემოარტყა ძლიერი გალავნით დაცულ ქალაქ აკრას (იგოვე აკკო, სენ-ჟან დ'აკრი). ამ ქალაქს იცავდა თურქთა გარნიზონი, რომელიც უხვად იყო

მომარაგებული ტყვია-წმლითა და იარაღით (ინგლისის ფლოტი მუდმივად ამარაგებდა თურქებს).

ინგლისის ფლოტს აკრასთან მეთაურობდა სიღნეი სბიტი. ფრანგებს არ ჰქონდათ საალყო არტილერია, რადგან გვიპტიდან პატარა გემებით გამოგზავნილი ზარბაზნები ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელთ. ამიტომ აკრის სქელი გაღავნის აღება უაღრესად გაჭირდა. თუმცა მიუხედავდა ინგლისელთა დახმარებისა, თურქებიც ცუდ დღეში იყვნენ. ფრანგებს გააფთორებული იერიშები მიჰქონდათ. ბრძოლისას დაიღუპა ნაპოლეონის ერთ-ერთი რჩეული გენერალი კაფარელი. თურქებმა აკრის გარნიზონის დასახმარებლად 30-ათასიანი არმია დაძრეს. ნაპოლეონმა ჯარის ნაწილი საალყოდ დატოვა და თურქების წინააღმდევ გენერალი კლებერი გაგზავნა. ბრძოლა ნაზარეთთან მოხდა. კლებერს 3-ათასიანი არმია ჰყავდა და თურქების შეტევებს მამაც მამაცურად იგერივებდა. ნაპოლეონი ხვდებოდა, რომ ესოდენ მცირე ჯარით კლებერი ვერ გაიმარჯვებდა და იძულებული გახდა, მიხმარებოდა.

ბონაპარტის შეტევა მოულოდნელი აღმოჩნდა თურქებისთვის და მათ რიგებში არეულობა გამოიწვია. ფრანგებმა სწრაფი შეტევით მურად ბე. ანდრუ დაუტერტი, 1809 წ.





ბრძოლა
პირამიდებთან.
მამლუქებს
წინ მურად
ბეგ მოუძვის.
პაორამას
ფრაგმენტი,
კოცქ
კოსკის ტილო
(1900 წ.)


გაფანტეს ისინი. კლებერმაც ჯარი თავდაცვიდან იერიშე გადაიყვანა და ბონაპარტიან ერთად, ოსმალების ჯარი დამარცხა. ფრანგებს ამ ბრძოლაში მხოლოდ 6 ათასი ჯარისკაცი ჰყავდათ 30 ათასის წინააღმდეგ. ნაპოლეონმა აკრის აღება ვერ მოახერხა და 1799 წლის 20 მაისს უკან დაიხია. სირიის ლაშქრობისას ფრანგებს შეეყარათ შავი ჭირის ეპიდემია, თუმცა დიდი მსხვერპლი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ჯარისკაცები შეშინებული იყვნენ ასეთი საშინელი დაავადებისგან. ნაპოლეონმა მათ გასამხნევებლად იაფაში ყოფნისას ერთ-ერთი დაავადებული ხელში აიყვანა და საავადმყოფოში გადაიყვანა. როცა ნაპოლე-

ონი ევიპტეში დაბრუნდა, იქ უკვე აჯანყება იყო დაწყებული. კაიროს აჯანყება ფრანგებმა სასტიკად ჩაახშეს. მუსლიმები მალე დამშვიდლენენ და ნაპოლეონმა ახლა ნილოსის დელტასთან, აბუკართან ინგლისელთა ფლოტის მიერ გადმოსხმული ოსმალური არმიისთვის მოიცალა. მან სასტიკად გაანადგურა თურქები. გენერალმა მიურატმა კი ამ ბრძოლისას დამარცხა თურქების დასხმარებლად მოსული მამლუქთა ჯარი (მიურატი კავალერიის საუკეთესო მეთაური იყო, რომელიც იმპერიის პერიოდში მარშალი გახდა). ევიპტის ლაშქრობისას, მიურატის გარდა, თავი გამოიჩინეს დეზემ, კლებერმა და ლანმა.

საზღვაო ბრძოლა აბუკირთან.
თომას უიტკომბი, 1816 წ.



ნაპოლეონი და
სფინქსი. ფან-
ლუონ ჟერომის
ნახატი,
1868 წ.



ნაპოლეონი გვიპტელების გადმობირებას ცდილობდა. მუსლიმები ნაპოლეონს სულთან ალ-ქაბირს უწოდებდნენ (ცეცხლოვან სულ-თანს, ცეცხლის მბრძანებელს), იმის გამო, რომ ფრანგების ჯარი მარჯვედ ხმარიბდა ცეცხლსასროლ იარაღსა და ზარბაზნებს. ნაპოლეონმა შეიტყო, რომ ამასობაში საფრანგეთი ანტიფრანგულ კოალიციასთან ომში ჩაბმულიყო და ერთად ებრძოდა რუსეთს, ავსტრიას, ნეაპოლსა და ინგლისს. ფრანგებს ამ ომში არ გაუმართლათ თანაც მათი რამდენიმე საუკითხოს გენერალი და არმიის ნაწილი გვიპტეში იყო.

კოალიციამ საფრანგეთს წაართვა ნაპოლეონის მიერ ადრე დაპყრობილი იტალია. ფრანგები დამარცხდნენ ნოვის ბრძოლაში, სადაც დაიღუპა მათი გენერალი უუბერი. ნაპოლეონმა საფრანგეთში დაბრუნება გადაწყვიტა. მან სარდლობა გენერალ კლებერს დაუსწრებლად დაუტოვა (კლებერმა არ იცოდა, რომ ნაპოლეონი გვიპტეს ტოვებდა და მეთაურობა ძალაუნებურად ჩაიბარა) და მცირე რაზმითა და დანარჩენი გენერლებით 1799 წლის 22 აგვისტოს საფრანგეთში ფარულად გაემგზავრა ორი პატარა საოუზზაო გემით. ამით დასრულდა ნაპოლეონის ლაშქრობა მსოფლიოს უძველეს ქვეყნაში.

გენერალი კლებერი გვიპტეს გონივრულად მართავდა. მამაცმა გენერალმა 1800 წლის 20 მარტს პელიოპოლისთან დაამარცხა


თურქების ჯარი იუსუფ ფაშას მეთაურობით, რომელიც ეგვიპტეში შეიჭრა. კლებერმა მრავალი ეგვიპტელი გადმოიბირა, მაგრამ საბოლოოდ მუსლიმი ფანატიკოსის ხანჯლით დაიღუპა. ის გენერალმა მენუმ შეცვალა, რომელიც გამაპმადიანდა და აბდულა-მენუ დაუწევა. მენუ მამაცი გახლდათ, მაგრამ მმართველობის ნიჭის მოკლებული იყო. მალე მას თურქებმა და ინგლისელებმა შეუტიეს. შევიწროებული მენუ 1801 წლის 27 ივნისს დანებდა, მისოვეს მისაღები და საპატიო პირობების გამოტყეუბის შემდეგ. 9 ივლისს მისი რაზმი ინგლისელებმა საფრანგეთში გაგზავნეს.

საბოლოოდ, ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობა მარცხით დასრულდა, მაგრამ მეცნიერებისთვის ეს ნაყოფიერი წლები იყო, მათ ეგვიპტის სიძველეები გამოიკვლიერ. ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობა გახდა საფუძველი მომავალი დიდი მეცნიერების, ეგვიპტოლოგის ჩამოყალიბებისა. ეგვიპტის ლაშქრობა წარმოადგენდა ერთი სამყაროს (დასავლეთის) დაპირისპირებას მეორე სამყაროსთან (აღმოსავლეთთან). ნაპოლეონის ლაშქრობებს შორის ეგვიპტის ლაშქრობა ყველაზე გაზიარებული და არაჩვეულებრივია. თუმცა ამ ომმა ბონაპარტი დაარწმუნა, რომ მისი ოცნების — აღმოსავლეთის დაპყრობა და იქ დასულური კულტურის შეტანა — აღსრულება შეუძლებელი იყო.

ნიკა ხოზანია

წმიდა მიქაელის მთა

მიორი
სანახაობა
საყრანგეთში,
პარიზის
შემოგაბ



წმინდა მიქაელის მთა — მონ სენ-მიშელი, კლდოვანი კუნძულია საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში, სენ-მიშელის კურეში, მდინარე კუნონის შესართავთან. ბრეტანისა და ნორმანდიის საზღვარზე მდებარე მონ სენ-მიშელს მიქცევის დროს ზღვა დიდ მანძილზე შორდება. მრავალი საუკუნის განმავლობაში აქაურ სააბატოში უამრავი მომლოცველი მოედინებოდა სიწმინდეთა თაყვანსაცემად. თანდათან სააბატო ციხესიმაგრედ იქცა, სადაც ერთმანეთი შეერწყო სამშედრო და რელიგიური არქიტექტურა. სიმაგრეს, რომელიც სამ დონეზეა განლაგებული, მრავალი შეიარაღებული თავდასხმის მოგერიებამ მოუწია, ხოლო საფრანგეთისა და ინგლისის ასწლიან ომში (1337-1453) გახდა უკანასნელი ფრანგული ფორპოსტი ნორმანდიაში, რომლის აღება მტერმა ვერაფრით მოახერხა. სააბატო მონ სენ-მიშელი 1979 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი და დღეისთვის უდიდესი ტურისტული ღირშესანიშნაობაა. წელიწადში აქ დაახლოებით 3,5 მლნ დამთვალიერებელი მოდის და საფრანგეთში პოპულარობით მხოლოდ პარიზი უსწრებს...



კლდეს თავდაპირველად სამარის მთა წოდებოდა. ლეგენდის თანახმად, 708 წელს, ახლომდებარე ქალაქ ავრანშის ეპისკოპოს ობერს მთავარანგელოზი მიქაელი გამოეცხადა და მთაზე, რომელიც იმ დროისთვის ხმელეთზე იყო აღმართული, სამლოცველოს აგება უბრძანა. ეპისკოპოსმა იფიქრა, მომეჩვნაო და დაცდა ამჯობინა. მთავარანგელოზი მეორედაც გამოეცხადა, მაგრამ ობერმა შესრულება კვლავ გადადო. მესამე გამოცხადებისას მიქაელმა თავისი მახვილით ობერის ანაფორაში ხვრელი გამოწვა (ლეგენდის სხვა ვერსიით, თავში ბეჭედი ჩაუკაგუნა), რის შემდეგაც უზენაეს ნებაში საბოლოოდ დარწმუნებულმა ეპისკოპოსმა შშენებლობის დაწყება ბრძანა...“

რაკი წმინდა მიქაელის კულტი იტალიაში V საუკუნეში წარმოიშვა და მთავარანგელოზი პირველად ქალაქ მონტე-სანტ-ანჯელოსთან მდებარე მონტე-გარაგანოს მთაზე, მდვიმეში გამოეცხადა, ამიტომ ობერმა ელჩები გაგზანა იტალიაში წმინდა ნივთების შესაძენად. გადმოცემის თანახმად, როცა ელჩები დაბრუნდნენ, იხილეს, რომ მთა უკვე კუნძულად გადაქცეულიყო. მთავარანგელოზის ნებით, კუნძულზე მღვიმის ფორმის ეკლესია აიგო. ამ ვერსიას ადასტურებს გათხრებისას ნაპოვნი VI საუკუნის ქრისტიანული სამლოცველოს ნაშთი. იმ დროიდან სჯეროდათ, რომ „წმინდა მიქაელის დღებში ზღვა მიდის და ადამიანებს გზას უთვისუფლებს“.

933 წელს ნორმანებმა კოტანტენის (იმავე შერბურის) ნახევარკუნძული დაიპყრუს და სენ-მიშელზე პირველი ქვის ეკლესია ააგეს. 966 წელს ნორმანდიის ჰერცოგმა რიშარ I-მა კუნძულზე ბენედიქტელთა მონასტრის დაფუძნების უფლება პაპისგან მიიღო. სააბატო ზემო ნორმანდიის სან-ვანდრიის მონასტრიდან მოსულმა ბენედიქტელმა ბერებმა დაარსეს, აბატ მაინარის წინამდლოლობით. მონასტრერს თანდათან სახელი გაუვარდა და სანაპიროზე მცირე დასახლება გაჩნდა, რათა მრავალრიცხოვან მომლოცველებს დამე გაეთიათ. 992 წელს ხანძარმა პირველი ნაგებობები მოთლიანად გაანადგურა და 1023 წელს აბატმა პილდერბერტმა მონასტრის ცენტრალური ნაწილის მშენებლობა დაიწყო.

1066 წელს ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა ინგლისზე გალაშერების წინ მონას-



ეპისკოპოს ობერისთვის მთავარანგელოზ მიქაელის გამოცხადება სენ-მიშელის ერთ-ერთ კუდილზე აღმეჭვილი



ეპისკოპოს ობერის თავის ქალა დაცულია ქალაქ კრისტეს სენ-შერევეს პაზილიკაში

მონ სენ-მიშელი შეა საუკუნეების რუკაზე





ლეგენდის
თანახმად, როცა
ებისკოპოსმა
ოძერმა
მონასტრის აგება
პრანა, კლდოვანი
მთა ჯერ კუნძული
არ იყო

ტერს ფინანსური შემწეობა სთხოვა და სააბატოსგან მიღებული ფულით ოთხი სამხედრო ხომალდი ააგო. ჰასტინგზის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ჰერცოგმა, რომელიც მალე ინგლისის მეფე უილიამ დამპყრობელად აკურთხეს, მონასტერს საჩუქრად რამდენიმე მამული უბოძა ინგლისში.

1090 წელს სააბატო პირველად აღმოჩნდა ალყაში ვილჰელმის გაუებს შორის ატებილი სამოქალაქო ობის დროს, როდესაც ვილჰელმ წითური და ნორმანდიის ჰერცოგი რობერტ კურტგიოზი (მოკლე შარვალი) უმცროს მმას, ჰენრიხს ებრძოდნენ.

1103 წელს სააბატოს ჩრდილოეთის კედელი ჩამოინგრა. აბატმა როუე II-მ მთის ჩრდილოეთ ფერდობზე ქვის კოშკის დიდი შენებლობა დაიწყო. მალე სააბატო მთელი დასავლეთ კერობის მომლოცველთა ცენტრად იქცა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები აბატ რობერ დე ტორინის დროს (1154-1186) მოხდა. მან დაასრულა სააბატოს ტაძრის რომანული ნაწილის შენებლობა და ნაგებობას დასავლეთის მხრიდან 1184 წელს ორი კოშკი მიაშენა. საუკუნის მიწურულს დასრულდა სააბატოში აღმოსავლეთიდან ახალი შესასვლელის დიდი კიბის შენებლო-



მონ სენ-
მიშელის მოული
საფრანგეთი
ამაყობას

ბაც. მიუხედავად იმისა, რომ ბენედიქტელთა წესის მიხედვით, საძინებელი ანუ დორმიტორიუმი აბატმა სხვა ბერებთან ერთად უნდა გაიყოს, ტორინიძი თავისთვის ორი უბრალო ოთახი მაიც ააგო. მის დროსვე მონასტრის ბიბლიოთეკა შეიფარილი იყ მონასტერში შექმნილი ხელნაწერებით, რომელთავან უმეტესობა მის კალამს ეკუთვნოდა. მონასტრის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა ტორინის ურთიერთობები ნორმანდიის პერიოდ პენრის II პლანტაგენეტთან და ინგლისის მეფესთან. ისინი აბატმა მომლოცველთა რანგში მიიღო, რათა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ VII-სთან შეეხვედრებინა. მონასტრის ხაზინა გაიზარდა, ბერების რიცხვმა 60-ს მიაღწია.


XIII საუკუნის დასაწყისში ვითარება შეიცვალა. 1204 წელს ინგლისის მეფე ჯონ უმიწვიაულო პლანტაგენეტისა და საფრანგეთის მეფის ფილიპ-ოგიუსტის დაპირისპირებაში სააბატო პლანტაგენეტის შხარეს დადგა. ფილიპ-ოგიუსტის მოკავშირე გი დე ტურმა სააბატოს ალყა შემოარტყა, მაგრამ ვერ აიღო, თუმცა კი მთლიანად გადაწყვა პატარა დასახლება მონასტრის ძირში. ხანძარმა დააზიანა მონასტრის ნაგებობებიც. ამ ცოდვის გამოსასყიდად, ნორმანდიის დაპყრობის შემდეგ, ფილიპ-ოგიუსტმა მონასტერს 1211 წელს დიდი თანხა შესწირა და ჩრდილოეთ ფერდობზე მიდინარე შენებლობა დააფინანსა. საბოლოოდ, გოტიკური სტილის ნაგებობათა ამ კომპლექსს, რომელიც 17 წლის შემდეგ დასრულდა, „სასწაული“ უწოდეს.

კომპლექსის ზედა სართულზე აღმოსავლეთ შხარეს სატრაპეზოა, მის გვერდითაა სამზარეულო, დასავლეთით სამონასტრო ეზოა — ე.წ. კიოსტრო, გარშემორტყმული შიდა მხარეს გახსნილი გალერეით. სართულით დაბლა, სატრაპეზოს ქვეშ სტუმართა დარბაზია, ხოლო ეზოს ქვეშ — რაინდთა დარბაზი, სადაც ბერები წიგნებს გადაწერდნენ და ადგენდნენ. სულ დაბლა კი კაპელანების სათავსი და სარდაფია. სააბატოს ჩრდილოეთ კედელი მთლიანად გამაგრდა კონტრფორსებით, რამაც იმდენად ძლიერი მხატვრული ეფექტი შექმნა, რომ ვიქტორ პიუგომ „ვერობის ყველაზე ლამაზი კედელი“ უწოდა. XIII საუკუნეში მონასტრის არქიტექტურა აღარ შეცვლილა.



მონასტრის შიდა ეზოს კუთხი

ბერებს ტვირთი პანდუსის საშუალებით აპქონდათ





გამაგრებული შესასვლელი

გოტიკური კომპლექსის, ე.წ. „სახწულის“ კოლონადა
შიდა ეზოში

ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომის დროს მონასტერს 1356 წლიდან მთლიანად შეუწყდა ინგლისის მამულებიდან შემოსაგალი. თუმცა უშედეგო გამოდგა ინგლისელთა რამდენიმე ალყა. 1386 წელს აბატი პიერ რუა გახდა, რომელმაც მონასტრის შესასვლელი საფუძვლინად გამაგრა და რამდენიმე კაშპი ააგო. მომდევნო აბატმა რობერ უოლივემ კი მონასტრის ძირში ქალაქის დასაცავად გალავანი ააშენა. 1421 წელს ხანძარმა ჩამოანგრია ტაძრის რომანული ქორედი.

მორიგი, 1424-1434 წლების ალყის ბოლო წელს, დიდი მსხვერპლის ფასად ინგლისელებმა მონასტრის კედლებამდე მადწიეს, თუმცა მონასტერი მაინც ვერ აიღეს, პატარა ქალაქი კი მთლიანად დაანგრიეს. 1450 წელს ინგლისელები ნორმანდიიდან საერთოდ გააძვევს.

1469 წელს საფრანგეთის მეფე ლუი XI-მ მონასტერში წმინდა მიქაელის რაინდთა ორდენი დააფუძნა. ადრე ჩამონიშვრუული რომანული ქორედის ნაცვლად, 1523 წელს გოტიკური ქორედი აშენდა, მაგრამ ამავე წლიდან მონასტრის აბატს ბერები ვეღარ ირჩვდნენ — აბატის დანიშნის უფლება უშუალოდ მეფეს გადაეცა. დამოუკიდებლობის დაკარგვის



გამო, ასევე იმის გამო, რომ მეფის მიერ დანიშნული „აბატები“ შორს იყვნენ სულიერი ცხოვრებიდან და აქტიურად ფლანგავლენენ მონასტრის ხაზინას, ბერებს აღარ სურდათ აქ დარჩენა — სამონასტრო ცხოვრება თანდათან ჩაკვდა, მომლოცველთა ნაკადი კი დაიშრიოტა. 1580 წლისთვის სააბატოში სულ 13 ბერი რჩებოდა. 1594 წელს მებმა სამირკვლამდე დაანგრია სამრეკლო, თუმცა ბერები იმდენად ცოტანი იყვნენ, რისამე აღდგენაზე ფიქრი ზედმეტი იყო. ტაძრის რომანული შესასვლელი 1776 წელს უკანასკნელმა დიდმა ხანძარმა მოსპო... .

აბატების მეფის მიერ დანიშვნა მონასტერს 1790 წლამდე ანგრევდა. ამ წელს კი საფრანგეთის დიდი რევოლუცია მოხდა. მონასტერი დახურეს და ციხედ აქციეს, ბერები გარეკას, ნივთები ვალებში სრულად გაყიდეს. 1792-1799 წლებში მონასტრის დილევებში 300-მდე მღვდელმსახური იყო გამოკეტილი...

მხოლოდ 1874 წელს გააუქმა ნაპოლეონ III-მ მონასტერში ციხე და მრავლისმნახველი მონ სენ-მიშელი ეროვნული ისტორიულ ძეგლად გამოაცხადა. დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები არქიტექტორ ედუარდ კორუერის



სააბატოში აღმოსავლეთ შესასვლელის დიდი კიბე

მთავარი ტაძრის ინტერიერი





საოცეან მიქცევა-მოქცევის ამპლიტუდა ამ ყურეში კროპაში უფიდესია, მოფლიოში კი მეორუ — მოქცევის ტალღის სიმაღლე 14 მეტრს აღწევს



სააბატოს ჩრდილოეთი ჭედელი მთლიანად გამაგრდა კონტრფორსებით, რამაც იმდენად ძლიერი მხატვრული ეფექტი შექმნა, რომ ვიქტორ ჰიუგომ „ვრომის კველაზე ლამაზი კუდელი“ უწოდა.

სელმედვანელობით და უკვე 1886 წლისთვის სააბატომ თანამედროვე სახე მიიღო. 1966 წელს სააბატოში ბერები დაბრუნდნენ.

* * *

პარიზის დასავლეთით 285 კილომეტრში, ნორმანდიაში, კერძოდ, მანშის დეპარტამენტში სენ-მიშელის კურეში არსებული სამი კუნძულიდან მხოლოდ ერთია დასახლებული — წაკვეთილი კონუსის მსგავსი მონ სენ-მიშელი. კუნძულები აგებულია მაგმატური, ე.წ. ლეიკონგრანიტის ქანებით, რომელიც კოროზიასაც უძლებს. მთა, რომელზეც სააბატოს კომპლექსია შეფენილი, 78,8 მეტრი სიმაღლისაა და თვალწარმტაცი პეიზაჟის ფონზე მკვეთრად გამოირჩევა. მონ სენ-მიშელის გარშემოწერილობა ერთი კილომეტრია, თავად სააბატოს ფართობი კი 55 ათასი კვმ. დღელამეში ოჯახერადი საოცეანო მიქცევა-მოქცევის ამპლიტუდა ამ ყურეში კროპაში უდიდესა, მსოფლიოში კი მეორე. მოქცევის ტალღის სიმაღლე აქ 14 მ-ია და 6 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს. წყალი ზამთრობით 8 საათს ჩერდება, ზაფხულობით კი 9 საათს, მიქცევის დროს ის სენ-მიშელს 18 კმ-ით შორდება, მოქცევის დროს სანაპიროზე 20 კმ-ის სიღრეში შედის. მოქცევის ტალღის სიმაღლე, მოძრავი ქვიშები ფსკერზე და ციცაბო კლდე საუკუნეთა განმავლობაში საიმედოდ იცავდა სააბატოს მომზღვრთაგან.

საკირველია, მაგრამ თავდაპირველად კლდე ხმელეთზე იყო აღმართული და ტყით გარემოცული. შემოგარენი კელტთა ტომები სახლობდნენ, მთაზე კი დრუიდები ასრულებდნენ თავიანთ რიტუალებს. შემდგომში ნიადაგის ეროზიის, ზღვისა და სამი მდინარის მოქმედების გამოისობით, ზღვამ იმძლავრა და ხმელეთი მიიტაცა, მონ-სენ-მიშელი კი კუნძულად იქცა. სააბატოს რესტავრაციის დროს, 1877 წელს, ძეგლის დაცვის მომხრეთა პროტესტის მიუხედავად, ერთ-ერთი მდინარის — კუნძულის შესართავთან ჯებირი აიგო, რომელმაც ყურეში წყლის ცირკულაცია დაარღვია. ამის გამო კუნძულის შესართავში კაშხლის რეკონსტრუქცია გახდა საჭირო. ამჟამად მიმდინარეობს კუნძულთან დამაკავშირებელი ფეხით მოსიარულეთა ხიდის მშენებლობა, რომელიც 2014 წელს დასრულდება. ჯებირს კი დაანგრევენ.

რამაზ გურგენიძე



მწვანე ჯეჯილი და წითელი ყაყაჩოები

მახსოვს პირველი ინტერვიუ ემზ
თათარაბაძეს მიან. მეცმეტე
საროტელზე მის პატარა ბინაში ვისხედით
და ვსაუბრობდით. როგორც მაშინ
ეთერომ თქვა, ხან სულეიმან გაფალ, ხან —
სამხეოსო. მეც მოვევებოდი და მოვევებოდი.
გზადაგზა თვალს მის უკან თენგიზ
მირზაშვილის ნახატებით საუსე კუდელზე
გადავიტანდი ხოლმე, ხომ ზმირად
ამბობდნენ, თუშეთს ხატავსო...
მერე ეთეროს შვილები მოვიდნენ. რა
კარგია, როცა ასეთი ოჯახი გაქვს! იმ
შეტველრისას ვიფიქრე ხმამაღლა: რომ
გიყურებ, მინდა ბევრი, ბევრი შვილი
მყავდეს-მეთქი. ჰოდა კა დაწერუო...
ვერ დავწერე, არ ვიცი, რატომ. რამდენი
წელიწადი გავიდა, არც მახსოვს... ეთერო
კა არ შეცვლილა. ისევ ისეთია, უბრალო
და ამაღლებული, მისი ცხოვრების
ვითარებანი ხომ ზღაპარივით ლამაზი და
შორეულია, მაინც ყველაზე ახლობელი
გბონა...

— მკვეთრად მახსოვს, რომ მენატრებოდა მოხუცები. ერთი შურიც ვიცოდი, რაზეც
ჩუმად ვიტრინებდი უბანში გამოსული და შინ
შებრუნებული, — რომ მე შინ არ მყავდა ბებო
და პაპა... ერთი ბებო მყავდა — დედის დედა,
ათას ვარამგმოვლილი... ის ქვემი ალვანში
ცხოვრობდა, ჩვენ — ზემო ალგანში. ეს არის
ორი სოფელი ნათლისმცემლის გამყოფი ქე-
დით. ყანებით უერთდებოდნენ ერთმანეთს.
მახსოვს იმ ყანების მწვანე ჯეჯილი, წითელი
ყაყაჩოები. სოფლის ბოლოში ვცხოვრობდით.
დედა რომ იტყოდა, დედა უნდა მოვიდესო, —
მარაამ ბებოზე, დილითვე გავიქცეოდი, შშიე-
რიც კი შემეძლო ვმჯდარიყავი და მელოდა.

...გამოწმდებოდა შავი სილუეტი ჩიხტი-
კოპზე დადებული შავი მანდილით. ეს სურა-
თი ჩემთვის სიკვდილმდე წარუვალი იქნება.
როგორ გავრბოდი ამ მწვანე ყანაში, ხან სად
წავიჩოებდი, ხან — სად. ახლა რომ ვარ, ისე-
თი დანდალაკ ხომ არ ვიყვაი... კნაჭა ვიყვაი,
ხუჭუჭა თმით. ბებოს ტყავის წნულებიანი ბა-
ლე მოპქონდა, რომელშიც ქწყო ნაზვდები, —
როგორც თუშები ამბობენ, — ძაფები. ხელში
ჩინრები ეჭირა და ქსოვდა რომელიმე შვი-



ეფურ თათარაძე

ლიშვილისთვის დაწყებულ წინდას. მოდიოდა
და მოქსოვდა...

ქსოვა თუშის ქალების პირდაპირი საქმეა,
არ მოსცდებოდა. ახლა აღარ არის ეგ დრო
და ალბათ აღარც დადიან გერე... რომ მივუ-
ახლოვდებოდი და დავიყვირებდი: ბებოო!
— ის წინდას შორს გადააგდებდა ყანაში,
რომ მე არ შეეხეთქებოდ ჩხირებს. ხელებს
გამიშლიდა და ჩამუხხლებოდა. ჩავეკვრებოდი
გულში. მერე უკვე ნელა მოვდიოდით შნისკენ.
ყანიდან ხან რა ამოფრინდებოდა, ხან — რა.
ბებო გენაცვალოს, ბებო გენაცვალოსო! —
წენარად მეუბნებოდა ბებო.

რამდენი რამ მაქეს მოსაგონარი, სულ
ბაჟშობის სურათებით ვცოცხლობ.

პირველ კლასში თუშეთში ვსწავლობდი. იმით ვიცი თუშეთის ზამთრები. ძალიან ხში-
რად მეგითხებიან ხოლმე, ლელო, როგორ
გახსოვს ეგრე თუშეთის ზამთარი, დიდიც
ყოფილ ხარ იქო... არც ერთი ზამთარი არ
ვიცი ერთადერთი ზამთრის მეტი თუშეთში.
ზაფხულს კი არ გაგვაცდენიებდნენ, აუცი-
ლებლად თუშეთში წაგვიყვანდა მამა.

მამა მეცხვარე კაცი იყო, მეცხვარული

ლოგინები, იმისი სურნელი, ხურჯინში ჯდო-
მა, მუხლის დაღლები — ყველაფერი მასსოუს,
აბა, რა ერთი გიამბო... ეს არასდროს არ
ქრება ჩემი არსიდან, უფრო მძაფრდება და
უცნაურად სანატრელი ხდება.

მეცხვარული ლოგინი სად მინახავს? —
კავკასიონზე. ჩვენც მიგყვადით მეცხვარუებს.

მეცხვარუები როგორ გვივლიდნენ? მაგათ-
ზე უკეთესად ვინ მოგვიყლიდა... მეცხვარუე-
ბის ბრიგადა რომ აიყრუბოდა და წავიდოდა,
სანდახან სამოცი ცხენი მიდიოდა ოჯახებად.
აბარგული ცხენები... მეცხვარეს თავისთვის
ერთი ცხენი სჭირდებოდა, ცოლისთვის —
მეორე, პროდუქტისთვის კიდვე მესამე, მერე
ბალდებისთვისაც ერთი-ორი ცხენი... პატარა
ბალდები ხურჯინებით გადაჭვადათ, უფრო-
სები — მსედარს ჰყავდა უკან შემოსტული...
თითო ოჯახი ათ ცხენს მაინც საჭიროებდა.
მიღიოდნენ მგზავრულად მეცხვარუების ოჯა-
ხები. კავკასიონზე ყველაფერი გენიალური
იყო, მკვანე ვაშლიც კი დათაებრთვი გეჩვე-
ნებოდა, საზამთროს ქერქს თუ ვინმე გადა-
აგდებდა, ბიჭები დაიტაცებდნენ და ქერქის
მწვანემდე სჭამდნენ ხოლმე. იქ ყველაფერი
გენატრებოდა და გერგებოდა. რასაც შმობ-
ლები გწვდიდნენ, ეს იყო მძიმედ და ძნელად
ატანილი პროდუქტი.

ორ დაბეს მაინც ვატარუბდით კავკასიონ-
ზე. ჩემს თვალში არასდროს ქრება, როგორ
გაშლიდნენ საზიარო მგზავრულ ლოგინს,
ბრეზენტს აგებდნენ ქვეშაც და ზემოდანაც

იფარებდნენ. ცა რომ სულ კამკამა იყოს, კავ-
კასიონზე მაინც გაკანკალებს და გცივა. ამო-
ლებდნენ დანიურულ დედლებს, ყველს, არაყს.
ნივრიანს გვაჭმვდნენ აუცილებლად, რომ არ
გაჟცივებულიყავით, ჭაჭასაც დაგვალვინებდ-
ნენ თითო ყლუპს, რომ გვხურებულიყავით და
ჩაგვაწვდნენ ლოგინში. ერთიანად დაგვაფა-
რებდნენ ყველას.

მასოუს ის ადგილი, სადაც მამა ხშირად
გვაჩერებდა. იქვე ბალაზე ზგავის ნადნობი
წყალი მოდიოდა. აქცვდა ბალახს. მერე სა-
ნამ მეორე ნაკადი წამოვიდოდა, ბალახი ფქშე
დგებოდა. ამას ვხედავდი და გაოგნებული
ვიყავი, ეს რა ხდება-მეოქე. ის ადგილი ისე
მნატრება... ვეძებე და ვერ ვიპოვე.

ცხვარში სწყინდებოდათ? „არ მოგწყინ-
დაა, მთას ყოფნა? არ მოგინდაა ბარია?“
სწყინდებოდათ ახალდაქორწინებულ მეცხ-
ვარუებს, ოჯახის მამებს ენატრებოდათ ცო-
ლები, ბალდები. მაგრამ ეგ იყო ტრადიცია,
რომელსაც უნდა მაჲოლოდა თუში კაცი.

ჩვენ ხო მამებს არ ვცნობდით წესირად.
ცხინიანი კაცი რომ გამოჩნდებოდა, დავიწყებ-
დი გახარებული ძახილს — მამაა! დედას
შეცხვებოდა: შემოდითო, შემოდითო! გან,
თქვენი მამაიაო... ყველას ეგეთი ავაღობა
გვჭირდა. ბალდები არ სცნობდნენ მამებს,
იმიტომ რომ, წელიწადში ორჯერ მოდიოდნენ
მხოლოდ შინ.

მერე რომ მოგვიყიდოდა მამა, ამოიღებდა
საფულეს, რომელიც გერმანიიდან ჩამოუ-

გაფა-ფშველას
ქალიშვილი
გულექანი
ფოტოსურათშე
ეთერ თათარაიძე
აღბეჭდა





„ძალიან დღით დონება, რაც უფალია პროფესიალ მომცა. ეს რომ არ მქონდეს, აქამდე კარგა ზნის გაღმა გასული ვიწევთდა“

ტანია... ტყვედ იყო იქ და რამდენიმე ნივთი ჩამოჰყავა. ესთეტი კაცი იყო. ჰოდა, ის საფულე იყო დავიძლისუერი, ბევრჯაბიანი... ხელფასს ხან ატანდნენ შინ, ხან ვერ აწვდენდნენ და უგროვდებოდათ. მოიტანდა იმ საფულეს სავსეს. მე არ მაინტერესებდა ქაღალდის ფული. ღარიბ კაცს ჭეუაც ღარიბი აქვსო... მე ჩემს ფულს ველოდებოდი... განსინდა წეპუნით ხურდების განყოფილებას მამა, ჩამოახვებდა მაგიდაზე და — ეს ეთეროსიაო... ყველაზე პატარა ვიყავი და ყველაზე მეტად მახარებდა ის ხურდა.

უნივერსიტეტში, ფოლკლორის კათედრაზე ვმუშაობდი, არქივში, რომელშიც ძალიან ბევრი კარგი მასალა ინახებოდა და სამწუხაროდ დაიკარგა (არ ვიცი რის გამო, ღიად იდო და ახლა ვინ გაიგებს, რის გამო გაქრა), ვიპოვე თავის დროზე იურა ჯაფარიძის ჩანწერები — რომელიც დანოში მუშაობისას მოუგროვებდა.

გამახსენდა, როგორ მოვიდა ექსპედიცია დანოში, როგორ დაუხვდით ჩიტათაას. იქ ჩა-

უწერია ჩემგან თუშური გამოცანები. დიდხანს ვეღარ ვხვდებოდი იურას, მრცხვნოდა, ის გამოცანები ძალიან სკაბრეზული იყო სათქმელად, თუმცა შინაარსი უბრალო პქონდა. იმდენად პატარა ვიყავი, — 5 წლისა, ის გამოცანები გულუბრევილოდ ვუთხარი... მერე ისევ ვეძებდი იმ მასალას და ვერ ვიძოვე. ახლა ვნახობ, რომ ცალკე არ შევინახე... მინდა მოვძებნო და მივაგნო ამ და სხვა მასალებსაც. იურა ჯაფარიძე არის უფსებრო ოქანე ფოლკლორისტიკაში, ყველა ვალში ვართ მის წინაშე. მასზე ყოველდღე უნდა ლაპარაკობდე, რომ სინდისის, სიბრძნის, პროფესიონალის ნიმუში აცოცხლო...“

მახსოვს ქსენია სიხარულიძის ექსპედიცია რომ ამოვიდა მთაში. შეიანი დღე იყო, კამკამაცა... სტუდენტი ქალები შევიდნენ ჯვარში, გამოცვილენენ მოხუცები — დანოს ბერდედები, რა ქენითო თქვენო... ეს რა ჩაიდინეთო. დაიბნენ გოგოები, რაო, რა ვქენითო... არ გასწავლესთო, რო აქ შესვლა არ შეიძლებოდა? რა მოხდა, ბოდიშს ვიხდითო, — შეწუხდნენ... ქალებმა ის ადგილი არ უნდა დალახონო... მახსოვს თან ეცნებოდათ კიდევც, რა მოხდებაო, — ეკითხებოდნენ ბერდედებს. ქლა წნახავთო, რო ჭექა-ჭეხილი ასტყდებაო! ათ წუთში საიდან მოვიდა არ ვიცი, მაგრამ ისეთი კიასპირული დასცხო, ეს ბავშვები ლამის მუხლებზე დაგარდენ... ესენი დამფრთხალები, სანამ დანოში იყვნენ, იმ წმინდა ადგილს ლამის კილომეტრებზე უვლიდნენ... ყველას შეუყვარდა მერე ისინი...“

სკოლა დაგამთავრე და თბილისში ვცხოვრობდი, სტაჟიანი აბიტურიენტი ვიყავი... სოფელში სად უნდა გემუშავა... აქ უნდა გებოვა სამსახური, რომ მერე უმაღლესში სწავლის ნება მოეცათ. რა არ ვყოფილგარ, სად არ მიძუშავია... მახსოვს, დასწევისში სამსახურს ვეძებდი, მაგვაინდებოდა, სტაჟი მშირდებოდა, ქუჩაში განცხადება ვნახე: გვესაჭიროება დამლაგებელიო — პოლიკლინიკაზე იყო გამოკრული. შევედი. მთავარი ექიმი ლუარსაბ ბოცგაძის შვილი აღმოჩნდა, უკეთილშემობილესი ადამიანი, ღმერთმა განანათლოს მისი სული...“

მთავარ ექიმს ვუთხარი, მე ვიმუშავებ-მეთქი. რისთვის გინდა ეს სამსახურიო. ავუხსენი, რომ სტაჟი მჭირდებოდა. მიმიღო, მაგრამ შენ როგორ დაგალაგებინო, შენ მარტო მტვერი

გადაწმინდე ამ ოთახში, კაბინეტებში ნურც შეხვალო... მახსოვს, ორი თვე ვიმუშავე დამლაგებლად, მერე რეგისტრატურაში ადგილი გამოჩნდა და იქ გადამიყვანა.

1979 წელს, როცა პირველი ხალხური შემოქმედების საღამოს აფიშები დაიკიდა, მე აბიტურიენტი ვიყავი. გამოვიარეთ ფილარმონიასთან მე და ჩემმა მეგობარმა, ბილეთები მოვიკითხეთ, სად იყო ბილეთები... წამოვედით გულდაწყვეტილები...

ჩემი ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ, რომ ლექსებს ვწერდი. მხოლოდ ლელამ (ჩემმა დამ) იცოდა, ერთხელ მომასწრო, რომ უფთანი ვერდოთ დავწევი ჩემი ნაწერები. მერიდებოდა... რატომ დავწევი... სულელი არ უნდა იყო ადამიანი, თუნდაც სიყვარულზე მწერებოდა, ვინ მკლავდა მაგისტვის, რატომ არ შევინახე... ახლა გული მწყდება... ლელა სულ მეუბნებოდა, ვინმეს აჩვენე ეს ლექსებიო... უარს გმბბობდი, მარტო ჩემთვის ვწერ, საინტერესო არ არის-მეთქ.

იმ საღამოს კარჩე ზარი გაისძა, გაგადეთ და — ლელა გარმონით. საღამოზე ჩამოგვიყვანესო. დავუწევთ ხვეწნა, კულისებიდან მაინც გვაყურებინე მაგ საღამოსთვის-თქო. კულისებიდან კი არა, წამოიღე შენი რვეულები და შენი ლექსები წაიკითხეო, უკვე ვუთხარი ყველასო. ბატონი ვახუშტი, ლექსი ჭინჭარაული, ციური აზიკური და თენგიზ მირზაშვილი გელოდებიან, უნდა მოგისმინონ...

გამახსენდა ძველი ამბავი: პირველად ჩემს ბაგშეობაში ვნახე ხალხური მთქმელის — კობა ხაპრიძის რვეულში ჩახატული ცხენი. ეს ცხენი ვისი დახატულია-მეთქი... ესო ისეთი შხატვარი იყოო, — კობა ძირმ, — ძალიან პატარა ამოიყვანეს თუშეთში სასახლიდანო, მაშინ ჩამისატა რვეულში ცხენი და დღემდე ვინახვო...

უარზე დაგდექი, მაგრამ იმ საღამოს ისე მეჩხებნენ, რომ ძალა აღარ დამრჩა... მეორე დღეს ტირილ-ტირილით ავდექი, თვალები კიდვე ერთხელ დაგიბანე, ერთი რვეული ჩავიგდე ჩანთაში და წავედით.

ვფიქრობდი, დავიწევებ კითხვას და ეგრევე მეტყვანან, წადი სახლშიო... რას გაიგებენ თუშერ დიალექტზე დაწერილს-მეთქი. ფილარმონიაში შევედით ვიღაც ახალგაზრდა კაცმა სწრაფად გაიარა და თვალს მიეფარა.

ლელამ — თენგიზ მირზაშვილიაო. მე

ვთქვი, ეს როგორ იქნება თენგიზ მირზაშვილი, როცა ჩემი ბავშვობიდან ვიცოდი მისი ნახატი, და ახლა მოხუცი უნდა ყოფილიყო ჩემი აზრით. ხმა აღარ ამოვიდე. ხალხის ზღვა იყო. გახუშტი, ალექსი და ციური ისხდნენ... მოვიდა თენგიზიც. დაგიწევე კითხვა. კველა გაჩუმდა. შემთხვევით გადავშალე და წავიკითხე ლექსი, რომელიც ჩემი პაპისგან ირმის მოკვლას ეხებოდა. ჩუბიჩამ დაიყვირა, ნახე, რა ლექსიაო! გახუშტიმ რაღაც დაიძახა... ალექსის ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები...

იმ დღეს წითელი კაბა მეცვა და წითელი ბაფთა მეცვათა. მეორე დღეს საღამოსთვის გამოუიპრანჭე, შაბაიაშნისფერი კაბა ჩავიცვა. თენგიზი სულ საყვედურს მეუბნებოდა, ისევ წითელი კაბით რატომ არ მოხვედიო... თვითონ ხომ სულ წითელკაბიან თუშის გოგოებს ხატავდა... ახლა მეც მწყდება გული, ნეტა ჩამეცვა წითელი კაბა...

იმ დღიდან თენგიზის სიკვდილამდე, თვეები შემიძლია დაგთვალო, როცა საქართველოში არ იყო, თორემ სხვა დროს არ იყო დღე, რომ ჩვენ არ შევხედროდით, ან ტელეფონით არ გველაპარაკა. საერთოდაც ვცხოვრობდით თენ-

მომდერალი ლელა თათარაძე, ეთერ თათარაძის და



გიზის სახელოსნოში მე და ამირანი. როგორ გვივლიდა, ცალკე თუმა... რომ გამოვდიოდით ოთახიდან, თვითონ აღარ იყო იქ და მისი მოტანილი პროდუქტები ელაგა... მერე როგორ გვამუშავებდა, როგორ გვაჟალებდა, რა უნდა დაგვწერა, როგორ გვირჩევდა... თვითონ მეორე სართულზე იჯდა, ხატავდა. დაიძახებდა: წამევიდა! და თვეზე გვაყრიდა ნახატებს...

გაუშტი კოტეტიშვილის, ალექსი ჭინჭარაულისა და ედუარდ შევარდნაძის დახმარებით უგამოცდოდ მიმიღეს უნივერსიტეტში.

ამირანი ერთი კეირითა ჩემზე უფროსი, მაგრამ პირველ კურსზე რომ ვიყავი, ის უკვე ასპირანტურაში სწავლობდა...

მერე მოგვერიდა, გაუეპარეთ თენგიზს... ფქმებიმედ ვიყავი... გადავედით სტუდენტაქში. ამირანი ცხოვრობდა ჩერქეზ სერგეი პლაზოთან ერთად, მერე სერგეიმ სადღლაც პატარა ოთახი იპოვა და გადავიდა, დაგვიძახა, მოდით, თქვენს ოთახში იცხოვრეთო. დასაჯდომი ადგილი არ გვქონდა, ისეთი პატარა ოთახი იყო. ამირანი დისერტაციას დერეფანში, მაცივარზე წერდა...

თუნგიზ მირზაშვილისა და სოლიკო ზაბეგიშვილის წყალობით, ბინა მივიღეთ ნუ-ცუბიძეზე... მეცამეტე სართულზე 22 წელი

ვიცხოვრეთ ჩვენს შვილებთან ერთად... ახლა ნარიყალაზე ვცხოვრობთ.

ადვილი არ იქნება მიმწუხრი. მიიკრიფებიან ჩვენი საყვარელი ადამიანები, ეს იცი როგორი ვარამია?.. მათ გარეშე ბედნიერი ვერასადროს ვეღარ იქნები. ჩუბჩიკა ადარ არის, გოდერი აღარ არის... ისეთ ხალხთან ვიყავი, რომლებთანაც ათი წუთით შეხვედრას ნატრობენ ხოლმე... მე კი მათთან ვცხოვრობდი, გმეგობრობდი.

სულის ნაწილი დამიღუმდა... ეს არის მიმწუხრი, როცა ნელ-ნელა სული გიღუმდება...

მინდა მყავდეს ჭკვიანი და კარგი შვილიშვილები, რომ იმათთან გავერთო. ახლა მე ხომ ბალლობის ასაკისკენ გადავდიარ, ვეთამაშებოლი, შევუკერავდი თოჯინებს შვილიშვილ გოგონებს და ძალიან მაგარ ამბებს ვუამბობდი შვილიშვილ ბიჭებს.

მყანან მოლექსეები, ეგენი ხომ სუფთა ბალლები არიან, ეგენი არიან ჩემი ძალის მომცემები...

და კიდევ იცი, რა? ძალიან დიდი ღონეა, რაც უფაღმა პროფესიად მომცა. ეს რომ არ ქონდეს, აქამდე კარგა ხნის გაღმა გასული ვიქნებოლი.

ლელა ჯიმაშვილი

„ისეთ ხალხთან ვიყავი, რომლებთანაც ათი წუთით შეხვედრას ნატრობენ ხოლმე... მე კი მათთან ვცხოვრობდი, ვმეგობრობდი“ (გაუშტი კოტეტიშვილიან ერთად)





ყველა ფრონტის
საყვარელი
სპორტული გაზიარები

1934 წლის ივნისი

მხიარული ამბები „ივარიდან“

რუბრიკაში
 „XIX საუკუნის
 ჟურნალ-გაზეთები“
 შემოგთავაზებთ
 საინტერესო
 ამონარიდებს პირველი
 ქართული ჟურნალ-
 გაზეთებიდან.
 „ივერია“ ქართული
 პოლიტიკური და
 ლიტერატურული
 პერიოდული გამოცემა.
 მისი, როგორც
 ყოველგვირული
 გაზეთის პირველი

ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიძეჭდა თბილისში. 1879-1885 წლებში ჟურნალის სახით გამოდიოდა, ხოლო 1886 წლიდან 1906 წლის 27 აგვისტომდე — ყოველდღიურ გაზეთად. „ივერიის“ დამარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგე მესხი (1881 წლიდან, „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქტორიბის გაერთიანებისას). „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ ასევე: ფანე მაჩაბელი (1882-1884 წლებში), ალექსანდრე სარაჯიშვილი (1901 წელი), გრიგოლ ყოფშიძე (1903-1905 წლები), შემდეგ გაზეთის დახურვამდე — ფილიპე გოგიაშვილი.

ერთი ჩვენებური მწერალი ამბობდა, რომ ძილშიაც ვეღარ მომისვენია, სიზმრები მა-წუხებენ, გუნდად და გუნდად მუზები თავს მქვევანო!

მეორემ დაუწერა:

ჩვენმა პოეტმა სიზმარში ნახა, გარს ქვე-ოდნენ გუნდად მუზები, მაგრამ თვალი რომ გამოახილა, დაურჩა სელში მხოლოდ ბუზები.

ბერი მაჭუტაძე სადილად ერთს ოჯახში დაესწრო. ოთხშაბათი იყო. სხვებს ხორცი მოართვეს და ბერმა კი ლობიო მოატანინა. ერთმა ღარიბმა თავაღმა ლობიოს დანახვა-ზედ შესძახა:

— ბერო, ევ რა არისო!

— ევ ის არის, რასაც სხვის სახლში მარხ-ვიშაც არ ჰყადრულობ და შენსაში — ხსნილ-შიაც კი პნატრულობო, — მიუგო ბერმა.

ერთი უცხოელი სჩიოდა:

— მე რომ აქ თქვენთანა ვარ, თქვენთვის წწვალობ, თქვენთვის ვიტანჯებიო და თქვენ კი არ მაფასებთო.

— როგორ არაო, — მიუგო აგაკიმ: — მეტი არა შგვიძლიან-რა და ღმერთს კი ყო-ველდღე ამას ვეზვეწებით: „ყოვლად შემძლეო, ნუ სტანჯავ ამ კაცს უბრალოდ ჩვენთან, შენ მოუმართ ხელი და საიდამაც მოსულა, იქვე წაიყვანეო“.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს პკითხეს: ჩიბუხს რატომ არა სწევო.

„გოგჩის ტბის“ დამწერმა უპასუხა:

მე ჩიბუხისა წევითა;
 ვერ გადავივლი მთასაო;
 ასე რომ ბოლი მიყვარდეს,
 ბუხარში შევყოვ თვესაო.

პლატონ იოსელიანი სადილად თ. გიორგი მუხრან-ბატონთან იყო და ლაპარაკი ჩამოვარ-



და ვიღაცა მდიდარ კაცზედ, რომელსაც დღე-ში ასი თუმანი აქვსო შემოსავალი. პლატონმა ინატრა, ნეტავი მე მქონდეს ეს შეძლება!

— რად გინდათ, ჩემო პლატონ, — ჰყითხა თ. გიორგიმ, ჭამა შენ არ იცი და სმაო, რაში გამოიყენებო?

— როცა მაგოლენა სიმდიდრე მექნებაო, — უპასუხა პლატონმა, — შენისთანა დიდკაცებს მოჯამაგირედ დავიჭერ, სმასაც მასწავლიან და ჭამასაცაო!

* * *

სასტუმროში ერთმა ადვოკატმა ქეხვი მოითხოვა, ბევრი ქწევალა და კანი ვერ გააცილა. გულმოსულმა ადვოკატმა იკითხა:

— არ გიკვირთ, რომ კანი არა სბურება ამ ქეხვსაო?

— ეს არ მიკვირსო, — მიუგო იქვე მყოფმა აკაკიმ, მაგრამ ის კი გასაკვირველია, რომ ადვოკატი ხარ და ტყავის გაძრობას ვერ ახერხებო.

* * *

გრაფი პასკვიჩი რომ თავრიზზე მიდიოდა, მოწინავე ჯარით წინ გაისტუმრა თავადი გიორგი ერისთავი, „დიდ კნიაზად“ წოდებული. შტაბის უფროსად გიორგი კნიაზს ჰყოლია მურავიოვი. ეს წინა ჯარი, თავრიზს რომ მიახლოებდა, გიორგი კნიაზს აღარ მოუცდია პასკვიჩისთვის და მოუწადინებდა თავრიზის აღება მარტო თავისის ჯარით. ვიდრე იერიშს მიიტანდნენ, გიორგი კნიაზმა სათათბიროთ მოიწვია ყველა თავისი ხელ-ქვეითი აფიცრები. ყველამ ერთხმით მოიწონა წადილი გიორგი კნიაზისა, მხოლოდ მურავიოვი წინააღუდგა და სთქვა:

— ნუ ინებებთ, ბატონო, მაგას, მოუცადოთ პასკვიჩს, ჩვენ ცოტა ჯარი გვყვს, ყიზილბაშები სიმაგრეებში არიან და უსათუოდ დაგვამარცხებენო. რაც აქამდის გაფიმარჯვეთ, სულ ამაოდ ჩაგვივლის და დიდ პასუხისებაში მივეცმით.

— ჩვენ კი ან ავიდებთ ან გავწყდებით და ვაი თქვენი ბრალი, რომ მარტო თქვენ გადარჩებით და პასუხიც თქვენ მოგეკითხებათ, — უთხრა თურმე გიორგი კნიაზმა.

„ივერია“, 1886 წელი
მრამზადა
თუა ცაგურიშვილმა



აკაკი წერულული

პლატონ იოსელიანი



ჩიტების ნაბეჭობები

ა სოფლიო რელიგიების მიმდვერთა უმეტე-სობა ლოცვასთვის განსაკუთრებულ ნაგებობებს იყენებს. ამ შენობებს სხვადასხვა სახელი აქვთ ეკლესია (ქრისტიანობა), მეჩეთი (ისლამი), სინაგოგა (იუდაიზმი), ტაძარი (ინდუ-იზმი, სიქიზმი, ბჟეზიზმი). ზოგი სალოცავი ნაგებობა შორეულ წარსულშია აშენებული.



კლდის გუმბათი იერუსალიმში მუსლიმებმა იმ აღგილზე ააგეს, საიდანაც მაპმადი ზეცად ამაღლდა.

ამრიტსარის ოქროს ტაძარი ინდოეთში სიქების უწმინდესი ადგილია. სიქიზმი გურუ ნანაქმა, სულ მცირე, 1400 წლის წინ იქადაგა.

ძველი ბერძნები თავიანთი ღმერთების სახელზე ულამაზეს ტაძრებს აგებდნენ. ეს საბერძნეთში, დელფოში მდებარე აპოლონის ტაძრის ნაგრევებია.



ებრაელები იერუსალიმში გოდებას კედელთან იერიბებიან. ეს არის მეორე ტაძრის გალავნის ნაწილი. პირველი ტაძარი მეფე სოლომონმა ააგო.



ლონდონის წმ. პავლეს საკათედრო ტაძრის ინტერიერი. იგი სერ კრისტოფერ რენა ააგო 165 წლის დიდი ხანძრით განადგურებული ძველი ეკლესიის აღდილზე.



ცენტრალურ ამერიკაში მცხოვრები მაას ტომის ხალხი საფეხუროვან პირამიდებს აგებდა, რომელთა თავზე ტაძარი მდებარეობდა. სურათზე გამოსახულია პალენკეს ტაძარი მექსიკაში.



დასაუფისი იხ. „ისტორიანი“ № 34-35

ნაცყვატი ჭიბნილან „ცოდნის სამყარო“. გამომცემლობა „კალიტრა ლ“

ბუდისტები ტაძრების შიგნით და გარეთ ბუდას ქანდაკებებს განათვესტნ. კბის თავზე მდებარე ეს ქანდაკება ტალანტში, სამუს კუნძულზეა.



ინდუსური ტაძრები შიგნით და გარეთ ხშირად მორთულია ქანდაკებებით, რომელებიც კაშკაშა ფერებით არის შეღებილი.

მსოფლიოს უდიდესი ბუდისტური ტაძარია ანგკორ-ვატი კამბოჯაში. იგი XI ს-ში აიგო და XIV-ში მიატოვეს.

ისლამურ მეჩეთს მინარეთები აქვთ. ეს მაღალი კოშკებია, სადანაც მოლა ლოცვისთვის მოუწოდებას მორწმუნებს.



იაპონიაში სინტოისტურ სალოცავში შესვლამდე მორწმუნებ ჯერ წმინდა ჭიშკარი, ტორიი უნდა გაიაროს. ეს ჭიშკარი მიაიჯიშავია.

1506-1614 წლებში აგებული წმ. პეტრეს ტაძარი რომში უდიდესი ქრისტიანული ეკლესია ეკროპაში. მისი გუმბათის დიამეტრი 42 მ-ია.

გასამიმდევრო

წმ. პეტრეს ბაზილიკა მდებარეობს კატიკენში. ქალაქ რომის ეს პატინინა უძნი რომის კათოლიკური ეკლესიის ცენტრი და მსოფლიოს ყველაზე პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ცოცხები


ც პოსები გრძელი პო-
ემებია, რომელებშიც
მოთხრობილია მაგიურ
არსებებთან შეჭიდებული და
სახელოვნად დაღუპული გმი-
რების თავგადასაყვალი. ეპოსები,
ძირითადად, ზეპირად გადაე-
ცემოდა თაობებს და მხოლოდ
მოვარდინებით ჩაიწერა. მათი
დახმარებით უძველეს ხალხებ-
ში ყალიბდებოდა შექედულება,
თუ რა არის კარგად განელილი
ცხოვრება.

დედალოსი და იკაროსი

ერთ-ერთი კველაზე ცნობილი
მით დედალოსა და იკაროსზე გვამ-
ბობს. დედალოსმა თვალისფიზი და თვა-
სი ვაჟისთვის სუმბულისგან ფრთხი
დააშავადა. მათ ახლა უკვე ფრუნა
შექმლობ და მეფე მინოსს კუნძულ
ტროტიდნ გაეცენენ. მაგრამ იგროსი
ძალიან მიუახლოება შეს და ცვალი,
როთაც ფრთხი იყო დამაგრებული,
გადნა. იკაროსი ზღვაში ჩავარდა და
დაიღუპა.



ც ბევრულფი იმავე
სახელწოდების ანგ-
ლოსაქსურა ეპოსის
გმირია. იგი სამ
საზარელ ურჩხულს
— გრუნდელს, გრუნ-
დელის დედასა და
დრაკონს შექმნდო-
ლა. აქ გამოსახუ-
ლია, როგორ ეშვება
ბევრულფი ზღვის
ფსერზე, რათა
გრუნდელის დედას
დაუპირასპირდეს.
ამ ძველი დანიელი
მებრძოლის ამბჯი
მოვარდინებით ძველ
ინგლისურ ენაზე
ჩაწერეს.



ც კველაზე ცნობილი ბერძნული
ეპოსებია „ილიადა“ და „ოდი-
სეა“. ზოგიერთი ისტორიითისას
აზრით, ისინი ძვ. წ. VIII ს-ში
მცხოვრებმა ბრძა პოეტმა, პომე-
როსმა შექმნა. სხვების აზრით კი
რამდენიმე პოეტის თხზულებები
საუკუნეება განმავლობაში ზეპირ
გზით ვრცელდებოდა.

ც არქეოლოგებმა „ილიადასა“
და „ოდისეას“ ძვ. წ. IV ს-ში
ჩაწერილ ფრაგმენტებს მიაგნეს.
ამ ეპოსების კველაზე სრული

კვერსიები X ს-ის ხელნაწერშია
შემოხატული.

ც სკანდინავიურ, ბრიტანულ და
გერმანულ მითოლოგიებში ზიგფ-
რიდს (ნორვეგიულად სიგურ-
დის) თავგადასვლის განსხვავე-
ბული კვერსიები არსებობს.

ც სკანდინავიური ეპოსის უძ-
ველების ჩაწერილი კერსია ბერ-
კველფის შესახებ ეპოსის ნაწილი.
პოემა მეომრების გასართობად
არის შექმნილი.

ც მითის კველაზე დეტალური
კერსიაა „ეოლსუნების საგა“
(დახსლოებით XIII ს-ში უცნობი
აეტორის მიერ ჩაწერილი).

გასარცარია

ინდუსტებს სწამთ, რომ პოემა
„რამაანას“ მთავარი პერსო-
ნაჟი რამა ღმერთი ვაშნუს ათი
ადამიანური განსაზიერებიდან
ერთ-ერთია.

○ ინდური ეპოსი „რამაიანა“ სიკეთისა და ბოროტების ძალების ბრძოლაზე მოგვითხრობს. ისტორიუსების აზრით, იგი ძვ. წ. II და ახ. წ. II საუკუნეებს შორის პერიოდში უნდა დაწერა პოეტ პალმიკის.

○ ბერძნული „ოდისეას“ მსგავსად, „რამაიანას“ მთავრი პერსონაჟი (უფლისწული რამა) ხანგრძლივ და სახიფათო მოგზაურობას იწყებს.

○ უფლისწულ რამას მეტოქეა დემონი რავნა. ის ყოვლასშემ-ძლე ჯადოქარია, თუმცა, მისი მოკვლა შესაძლებელია.



აღილევსის შუსლი

უდიდესი ბერძენი მეომარი „ილიადას“ მიხედვით აქილევსია. დედამისა, ქალღმერობის თეოტიადმ, წეილი ქვესენელის მდინარე სტიქსის წელით განბანა, რათა ვერც ერთ თარაღს მისი სხული ვერ დაუზიანებინა. აქილევსის სხულის სუსტი ადგილი მხოლოდ ქუსლი იყო, რითაც ის დედას ეკირა. სწორედ ქუსლში მიიღო მან სასიკვდილო ჭრილობა.



○ დემონ რავნას მომზრუებს რაკ-შასბი ქწოდებს. მათ სახის შეცვლა და შენიღება შეუძლიათ, რათა არ გამჟღავნონ ნამდვილი ბუნება. ბოროტ რაკშასებს სჩვენიათ კეთილ ადამიანების შეცდენა.

● „რამაიანას“ მთავრი პერსონაჟი რამა ღმერთ პანუმანის დახმარებით დემონ რავნასგან დეღოფალ სიტას გასათავისუფლებლად იბრძვის.



○ შუმერული ეპოსი „გილგამეში“ ძვ. წ. 2700-2500 წლებში ქალაქ ურუქის მეფის ამბავს მოგვითხრობა. პოემის მიხედვით, უწვეულოდ ძლიერი გილგამეში ღმერთების რჩეული იყო. მეცნიერთა აზრით, „გილგამეში“ თავდაპირეველად თინის ფირფიტებზე დარსებული დამწერლობით გადაიტანეს.

● „ილიადაში“ მოთხოვობილია, ათი წელი როგორ ცდილობდნენ ელინები აეღოთ ქალაქი ტროა. ომი მას შემდეგ დასრულდა, რაც ბერძენმა მეომრებმა ქალაქში უზარმაზარ ხის ცხენით დამალულებმა მუხანათურად შეაღწიეს. ხის ცხენის ამ ასლის ნახევა თურქეთშია შესაძლებელი.

ბმიჩები

გითხის, ლეგენდებისა და ეპოების მრავალი გმირი ზეადამიანური თვისებების მქონეა და მათ ღმერთები ან სულები ქმარებიან. როგორც წესი, მათ მაგიური იარაღი ან საგანი აქვთ.

○ „ოდისეა“ აღწერს ტროელების დამარცხების შემდგომ ერთ-ერთი გმირის, ოდისების შინ დაბრუნების გრძელ და ხიფათიან თავგადასაცალს.

○ მოგზაურობის დროს ოდისევ-სი და მისი მეგობრები მრავალ უცნაურ განსაცდელ სეკურნენ, ებრძოლენ ურჩეულებსა და გი-განტებს.

○ 20 წლის შემდეგ ოდისევსი, როგორც იქნა, კუნძულ ითყა-ზე თავის სასახლეში დაბრუნდა. მათხოვრის სამოსში გადაცმული, მხოლოდ მისმა ერთგულმა ბე-ბერმა ძალმა იცნო.

○ „ენეიდა“ პოემა, რომელიც ტროელი უფლისწულის, ენეასის თავგადასაცალს აღწერს ტრიას ომის დასრულების შემდგომ.

○ 20-წლიანი მოგზაურობის შემ-დგინ თვისების თავის სასახლეში მათხოვრის სამოსში გადაცმული დაბრუნდა. იგი მხოლოდ ერთ-გულმა ძალმა იცნო, რომელიც პატრონის ნახვით გახარჯული მოევდა.

რომელია და რეალი


ამბავი რომელია-სა და რეალის შესახებ მოგვითხრიას, თუ როგორ იზრდებოდნენ ტეუპა მება, რომელებმაც შეძლევ ქალაქი რომი დაარსეს. ტახტის დაკარგვის შიშით ტეუპას გარდაცელილი ბატუს კე-რაგმა ძმამ ბაჟშვები თავიდან მიიშორა, ტეუში დაატო-ვებინა. ისინი მუ მცენმა იპოვა და თავისი რძით გამოკვება, ჩიტს კი პატარებისთვის პურის ნამცეცხბი მაპერნდა. 20-წლიანი მოგზაურობის შემდგომ ერთგული თავის სასახლეში მათხოვრის სამოსში გადაცმული დაბრუნდა. იგი მხოლოდ ერთგულმა ძალმა იცნო, რომელიც პატრონის ნახვით გახარჯული მოევდა.



○ „ენეიდა“ ზეპირი გზით არ გურცელებულა. იგი რომაელმა პოეტმა კერგილიუსმა ლათინურ ენაზე დაწერა.


○ კელტური ლეგენდა ფინ მაკ-კოლის შესახებ შეიძლება ეფუძ-ნებოდეს III ს-ში ირლანდიაში მცხოვრები მეომრის თავგადასა-ვალს.

○ ლეგენდის თანახმად, ფინ მაკ-კოლი შოტლანდიელ გოლიათს შეებრძოლა. ისინი ერთმანეთს ქვებს ესროდნენ, ვიღრე არ წარ-მოაქმნა ის, რასაც დღეს „გი-განტების ქაფებინდა“ ეწოდება. სინაძღილეში ის გაცივებული ვულკანური ლაჟის შედეგადა შექმნილი.




თვეზებისი

მრავალი მითი შეიქმნა ბერძენი გმირის, თუშე-
სის შესახებ, რომელმაც მოკლა ურჩისული მინოტაური
— ზღაპრული არსება ადმინის სხეულითა და სარის
თყით ისტორიებისა აზრით, მეფე თუშეს რეალურად
უნდა არსებულიყო.



¶ ვიწგილიუსი გლეხის შეი-
ლი იყო, თუმცა, შესანიშნავი
გნათლება მიიღო. მას რომის
იმპერატორი ოქტავიანე აუ-
გუსტუსი მფარველობდა. ვირ-
გილიუსმა „მენეიალ“ ბერძნული
„ილიადას“ და „ოდისეას“
გაფლონით დწერა. იგი გა-
მარტივს, როგორ დატბარნენ
ღმერიუბებისას, ფირულად
დაუტოვებინა ქალაქი ტროა,
რომ შემდგე რომის მეფეთა
დინასტია დაეკრძებინა.



პერაპლას თურმეტი გმირობა

უკვდავი რომ გამზღარიყო, პერაკლემ 12 გმირობა ჩაიდინა:

1. მოკლა კაციჭიმია ნებების ლომი.
2. მოკლა ცხრათავიანი შხამიანი ჭაობის ურჩისული პილრა.
3. დაიჭირა ოქროსრეგებიანი ირუმი, რომელსაც ქალლმერთი არტემიდე მფარველობდა.
4. დაიჭირა ერისმანთოსს გამბეინგარუსული ტახი.
5. დაიჭირა ხარი, რომელიც ბოსეილონმა გააცოფა.
6. დაიჭირა და მოათვინიერა თრაკიის მეფე ლიომედეს კაციჭამია ულა-
ები.
7. განდევნა სტიმფალიდები — მტაცებელი ფრინეფელები, რომელთა
ფრთხები ისრებივით ერჭობოდა ეველაცერში და ხმალივით ჭრიდა.
ფრთხების ისრებივით ისროლნენ.
8. ბრძოლით მოაძოვა აპამონია დედოფალ პიპლიოტეს სარტყელთა
9. ბეჭმების გერიონის ულამაზესი მუქ-წითელი ხარგის ჯიგი წაართვა.
10. გაწმინდა მეფე ავგას სიბინძურით საუსე თავლა.
11. დედომინტის კიდემდე იმოგზაურა ჰესპერიოდების ბალის ოქროს ვაჭ-
ლების მისაწევეტად.
12. ქვესკელის მრისახანე დარაჯი, სამთავიანი ძალი კრბერი დედამი-
წაზე ამოიყვანა.

¶ კუსულაინი ირლანდიელი
გმირი მეომარი იყო, რომელიც,
საკარაუდოლ, I ს-ში ცხოვრობდა.
იგი ბრძოლაში დაიღუპა, გამომ-
ცემით მმიმედ დაჭრილი ქვაზე
მიება, რომ სისხლის უკანასკნელ
წვეთმდე ფეხზე მდგარი შეპეტე-
ბოდა მტერს.

გასამოცარია

ფინ მაკ-კოლს
ჯადოსნური „ცოდ-
ნის კბილი“ პეტრება,
რომელიც უამბობდა
ეველაცერს, რისი გა-
გებაც სურდა.

მაბინ ეა ჯალოქეობა

უ ძველესი დროიდან არ-სებობდა რწმენა, რომ განსაკუთრებული რიტუალების დახმარებით შესაძლებელია ბუნების ძალების ან ზებუნებრივი ძალების კეთილგანწყობის მოპოვება. ეს მაგალა მრავალი ქვენის ლეგენდებსა და მითოლოგიაში ნახსენები ჯაღოქრები და მინები ფერიებისა და ელფების მსგავსად საოცარ საქმებს სხადიან.



გასაოცარია

არსებობს გადმოცემა, რომ დედოფალ ელისაბედ I-ის დროს ჰემერის გველა ჯაღოქარი შეკრიბეს, რათ მათ მათ ესპანელთა „უძლეველი არმადის“ დასამარტებლად ეწ. ენერგიის ჭანუსი შეკმანათ ცნობილია, რომ ზღვაზე უძლიერესი ქარიშხალი ამოკარდა და ესპანელთა მხოლოდ რამდენიმე ხომალდი გადარჩა.

○ ესტრადის მსახიობები ინდონეზიის კუნძულ ბალიდან ხშირად განასახიერებენ მითებს რანგდას შესახებ. მას რეალური პოლოტიპი ჰყავდა – 1000 წლის წინ მცხოვრები ბოროტი დედოფალი მაპენდრადატა.

○ ჯაღოქარი მერლინი მეფე ართურის სანდო მრჩეველი იყო. მერლინმა ართური გააფრთხილა, რომ გვინვერა, მისი მეუღლე, დიდ მწუხარებას მოუტანდა და ასეც მოხდა – გვინვერას რაინდი ლანსელოტი შეეყვარდა. ლანსელოტი მრგვალი მაგიდის რანგდების სამმორდან გააძლიერა, დამწუხარებული მეფე ართური ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო გვინვერა მონასტერს მიაშურა და სიცოცხლე იქ გაატარა.

○ სიკიმი ჰიმალაეპში მდებარებარა პატარა სამეფოა, სადაც მაგიდის რწმენა ისევ ძლიერია. მის მმართველ მაპარაჯას, სერ ტაში ნამგალს ამინდის მართვის ზებუნებრივ უნარს მიაწერდნენ.

○ მანდრაგორის ფეხი ცნობილია როგორც მაგიური სასმლის უმთავრესი ელემენტი. ლეგენდის თანხმად, ის უსაფრთხო მაშინ იყო, თუ საგსემთვარებობისას განსაკუთრებული ჰიმნების თანხლებით ამოიღებდნენ მიწიდან.



○ ამბავი მერლინის შესახებ იმ ფორმით, როგორითაც დღეს ვიცით, XIIს-ში აღწერა გაღიფრიდ მომუ-თულმა.



ვერიების დაღოფალი

ტამ ლინის შესახებ შოტლან-დიურ ლეგენ-დაში ფერიების დედოფალს მაგიური ძალა აქვს. მამაც-მა გოგონამ დედოფლის მიერ დატეკვევ-ბული მამაცი დასასუთოა – დედოფალი მამაკაცს რიგრი-გობით საზარელი ურჩულების სახეს აძლევდა, თუმცა, გოგონა არ შეშინებულა და მისთვის ხელ არ გაუშვა.



¶ მოტირალი ქალები ზღაპრული არსებები იყვნენ, რომლებიც თუს ამჟღანებდნენ შემაპრწუნებელი მოთქმით კლტების წრმოდებით, ვინც მათ გოდებას გაიგონებდა, უახლოეს ხანში მოკვდებოდა.

○ ბერძნები და რომაელები სიბრძლის ქალ-ლერთ ჰეკატეს თაყვანს გზაჯარებინებზე სცემდნენ. დღეს მას შევი მაგიის მიმღევრუბი ეთავგანებიან.


○ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებში გავრცელებულია თქმულებები ჯადოქარ ბაბა-აგაზე. მისი სახლი ქათმის ფეხებზე დგას და სირბილი შეუძლია. ბაბა-აიაგას პოვნის მსურველმა ცეცხლის მდინარე უნდა გადალახოს.



○ 1487 წელს ჯეიმს სპრინგერმა და პენრი კრა-მერმა დაწერეს ნაშრომი „The Malleus Malefi- carum“ („ურო ჯადოქრებისთვის“), რომელშიც ხამოყალიბებული იყო რჩევები ჯადოქრების აღმოსახჩანა. მას ევროპის ეკლესია 300 წლის განმავლობაში იყენებდა, რომ ადამიანებისთვის ჯადოქრობა დაებრალებინა და სიკვდილით დაესაჯა.

○ აცტეკი ჯადოქრები მომავლის განსაჭვრეტად ობსიდიანის შაჟ სარკეებს იყენებდნენ. მათი მფრი-ველი იყო ღმერთი ტეცკატლი-პოკა – „დაბურული სარკეების მბრძანებელი“.

○ ბერძნული მითოლოგიის თანახმად, გრძნეულ კირკეს ჰყავდა ულამაზესი ჯადოქარი მისიშვილი შედეა. ორივე მაგიის დიდი მცოდნე იყო.



¶ ვეროპულ ფოლკლორში ჯადოქრებს ხშირად ბირიტებას მიაწრეუ, მაგრამ აღ-რეულ შესა საუკუნეებში მათ მიიჩნევდნენ ბრძენ ქალებად, რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ მცენარეებით მკურნალობა.

ვერლინი და ტბის ჩალბატონი

ართურის შესახებ ლეგენდის თანახმად, მერლინის შეუკარდა ტბის ქალბატონი, რომელმაც ართურს ჯადოსნური ხმა-ლი ექსალიბური უძოძა. მერლინმა მას თავისი ჯადოქრობის ცენტრი სადუმლო გაანდი. სამგიეროდ, ტბის ქალბატონმა მერლინი მიზის კოშკში გამოამწვდია.

გამოჩენილი ბრიტანელი
აღმირალი



სანვორდი გარემო
„კანვორდისგან“

ორიენტი

უცხოური მუსიკური, მისიკური, თავისური და

სამართლებული მუსიკური უცხოური მუსიკური

1	2		3	4
დადა ფრანცი შეტრაპი	პლატონ სამინისტროს მარაზნ სახე		ადგიანის უტორი	სანვორდის რივე წასიძის დატეჭა სტრუქტურა
5				
მადაგასკარის ფრანცის კრონული				
6				
პორტუგალიის ინდონეზიას დალავალის ძევლად				
8	9			
მამაკაცა უკანასკნელი ცეკვა	ცხრი, ბერეზი, მერანი ანუ			
10				
მოძღვანი საფრანგეთში				
11				
12				
	სელოსანთა ერთობა ძევლად			
13				
				კოლონიკები- ქეთა საერთოსოფა
14	15			
ბერეზა და ჭედი მტრავი	მუსიკი ქალთა ტრადიციელი კამა			
16				
				„ოტელოს“ ბორიტი პერსინაფა
17	18			
ითან პეტრიწი ანუ ითან ...	ნაპოლეონის მარშალი			
19				
		აქტორების სუსტი აღგორი		
20				
		აპონიის საიმირო ძელაქი		
21				
				სამუშაო უკუნისა ობიდისში
22				
23				
		მონადირე გასწორობები ფრანგელი		

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

- ჯევილი
- ჯუანშერი
- ლიკანი
- ლაფაში
- ნაიგარა
- საკურა
- კიტოვანი
- ლეგანიძე
- პაშიში
- ქსანე
- იმპერია
- იმპერია
- იმპიტი
- აა
- აა
- მონდა
- დელფო
- რუბა
- ალდე
- დუნაი
- ნოტა
- ნეფერტიტი
- ნოტა
- რა
- ფოტოზე: ჯავაპარლალ ნერუ.